კონტრაბანდული ტვირთი ისევ შემოდის A2
პუტინმა დანგრეულ სკოლამდე ვერ მიაღწია A8
დიპლომატიის ისტორიიდან B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 6 სექტემბერი, 2004 წელი. №211 (760)
ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### საქართველოს ენერგოსისტემა ზამთრისთვის ემზადება

პარასკევს, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" მომხდარი ავარიის გამო, თბილისის გარეუბნებს ელექტროენერგიის მიწოდება თითქმის ერთი საათით შეუწყდა. როგორც ხაზის მფლობელი კომპანიის "საქრუსენერგოს" გენერალურმა დირექტორმა შოთა მაისურაძემ განაცხადა, ხაზზე მომხდარი ავარიის მიზეზი, სავარაუდოდ, ჭექა-ქუხილი იყო.

A4

## უცხოეთი

### ჯორჯ ბუში საპრეზიდენტო მარათონში წინ გაიჭრა



A5

## საზოგადოება

### საჭიროა თუ არა აკრედიტაცია კერძო უმაღლესი სასწავლებლებისათვის?



ყველა უმაღლესი სასწავლებელი არ არის ვალდებული ერთიან ეროვნულ გამოცდებს, შესაბამისად კი საკრედიტაციო პროცესს შეუერთდეს.

A6

## სამართალი

### თენგიზ ასანიძემ 155 ათასი ევრო მიიღო



ყოფილ უკანონო პატიმარს, თანხის დაგვიანების გამო, სახელმწიფომ პროცენტიც გადაუხადა.

A7

## ამინდი

| | 5/9 | 6/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | 27 |
| ქუთაისი | 29 | 26 |
| ბათუმი | 27 | 21 |
| სოხუმი | 27 | 22 |
| ფოთი | 27 | 22 |
| თელავი | 27 | 26 |
| ზუგდიდი | 29 | 25 |
| გორი | 22 | 20 |
| ახმეტა | 27 | 26 |
| ჭიათურა | 27 | 24 |
| გაგრა | 26 | 21 |
| სამტრედია | 27 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7200 |
| ევრო | 2.0922 |
| გირვანქა სტერლ. | 3.0762 |
| რუბლი | 0.0588 |

# გივი იუკურიძე: შეუცდომელი ამ ქვეყანაზე არავინაა

## მაგრამ ამ ყველაფერს ცხინვალის მოვლენებს რომ აბამენ, უსინდისობაა



*გივი იუკურიძე: "არ ვიცი, იყავით თუ არა 26 მაისის აღლუმზე და ნახეთ თუ არა უბრალო ხალხის თვალზე სიხარულის ცრემლი... მე ვნახე და ეს ჩემთვის საკმარისია..."*

ბესო გულაშვილის ფოტო

*გენერალური შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი გივი იუკურიძე ამჟამად წყნეთის აგარაკზე ისვენებს. ცოტა ხნის წინ გენერალ იუკურიძეს თრომბოზის დიაგნოზი დაუსვეს, იგი სამი დღეა, რაც ლოგინიდან წამოდგა. გენშტაბის ხელმძღვანელის პოსტიდან გათავისუფლების ამბავიც ავადმყოფობის დროს შეიტყო.*

*როგორც თავად ამბობს, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება ხელს აძლევდა მათ, "ვისაც ჯარში ბუნტები და შიშველი ჯარისკაცები მოენატრა".*

*გენერალური შტაბის ახალ ხელმძღვანელზე იუკურიძე არაფერს ამბობს, ისევე, როგორც საკუთარ მომავალ კარიერაზე. იუკურიძემ ერთი დანამდვილებით იცის, რუსეთში სამხედრო ატაშედ წასვლას, მას პენსიაზე გასვლა ურჩევნია.*

სოფო ბუკია

**- ბატონო გივი, თქვენი თანამდებობიდან გათავისუფლება საზოგადოებამ ცხინვალის რეგიონში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს დაუკავშირა. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ამგვარი აზრი?**

- ვერ გეტყვით. გათავისუფლების მიზეზის თაობაზე, ალბათ, ცალსახად უნდა დავეყრდნოთ იმას, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა. ის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გახლავთ და მან აღნიშნა, რომ გენერალური შტაბის რეფორმირება და ჩამოყალიბება დასავლეთში განათლებამიღებულმა სამხედრო პირებმა უნდა ითავონ. ალბათ, ამოცანა, რომელიც გათვლილი იყო გენშტაბის იმ შემადგენლობაზე, უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში რომ ხელმძღვანელობდა ამ სტრუქტურას, ამოწურულად ჩაითვალა. პრეზიდენტის ბრძანების ზედმეტი ინტერპრეტაციისგან თავს შევიკავებ, მისი გადაწყვეტილება კანონია ნებისმიერი სამხედროსათვის.

**- დოკუმენტში, რომლის შინაარსიც "24 საათში" გამოქვეყნდა, პირველ რიგში აღნიშნულია, რომ არ განისაზღვრა ცხინვალის რეგიონში ჩასატარებელ ოპერაციათა ტიპი; არ ჩამოყალიბდა**

გაგრძელება A3 გვერდზე

## დაპატიმრება ობიექტური რეპორტაჟებისთვის

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, საქართველოს საგარეო უწყება ბესლანში გუშინწინ დაკავებული, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტის ნანა ლეჟავასა და ოპერატორის ლევან თეთვაძის გასათავისუფლებლად რუსეთის საგარეო სამინისტროსთან და სხვა სამთავრობო სტრუქტურებთან აქტიურ კონსულტაციებს მართავდა. მოლოდინი, რომ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადამღებ ჯგუფს მოლაპარაკებების შედეგად გაათავისუფლებდნენ, არ გამართლდა. ბესლანში განვითარებული მოვლენების ობიექტურად გაშუქებისა და "აქტიურობის გამო" დაკავებული ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცავებმა სისხლის სამართლის საქმე, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მუხლით აღძრეს. მათი პატიმრობის 48-საათიანი ვადა დღეს იწურება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## საქართველო უცხოური პრესის ფოკუსში

ნინო გომართელი

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს რუსეთი შემაშფოთებელი და ტრაგიკული მოვლენების ცენტრად იქცა, საქართველო და მისი კონფლიქტური ზონები კვლავ უცხოეთის დიდი დაინტერესების სფეროდ რჩება. პრესაში კვლავ აქტიურად იბეჭდება რეპორტაჟები საქართველოს სეპარატისტული რეგიონებიდან – აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან.

გუშინ **"THE WALL STREET JOURNAL"**–მა გამოაქვეყნა რეპორტაჟი სათაურით - "რა ხდება სინამდვილეში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში", სადაც ავტორი ვლადიმერ სოკორი ორივე შემთხვევაში ხაზს უსვამს რუსეთის არცთუ პოზიტიურ როლს.

**"ორი კვირის წინ მე საქართველოს ორ სეპარატისტულად განწყობილ რეგიონში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვიმოგზაურე და რაც იქ ვნახე, სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის მოქმედების უცვლელი და ჩვეული**

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსეთში გლოვის დღეებია

## ბესლანის ტრაგედიასთან დაკავშირებით წარმოშობილი კითხვები კვლავ უპასუხოდ რჩება

რუსეთის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ტერაქტის შედეგად, ოფიციალური ინფორმაციით, 350-მდე ადამიანი დაიღუპა, კიდევ 260 უგზო-უკვლოდ დაკარგულად (?) ითვლება. საავადმყოფოში მოთავსებულია 700-მდე ბავშვი და მოზრდილი. ტრაგედიას, რომელსაც პუტინი მთელი რუსი ერის გამოწვევად მიიჩნევს, ჯერ კიდევ ნათელი არ მოჰფენია და საეჭვოა, როდესმე აეხადოს ყველა დეტალს საბურველი. პირველი დღეებიდან წარმოიშვა კითხვები, როგორც დასავლურ მედიაში, ასევე რუსულ პრესაშიც. ჩრდილოეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ გავრცელებულმა ურთიერთგამომრიცხავმა ინფორმაციამ თავიდანვე ეჭვები წარმოშვა. დასავლური მედიასაშუალებები წერდნენ კიდეც, რომ რუსეთი ვერაფრით გამოდის საბჭოური ცენზურის პერიოდიდან. ბუნებრივია, ადრე თუ გვიან ზოგიერთ კითხვას პასუხი გაეცემა. თუმცა, რუსეთის ხელისუფლების მიერ პირველ დღეებში გაკეთებული განცხადებებიდან თუ ვიმსჯელებთ, საეჭვოა, ჩრდილოეთ ოსეთში დატრიალებულ ტრაგედიას როდესმე ბოლომდე აეხადოს ფარდა.

გაგრძელება A8 გვერდზე





A2 ამბები | A3 ინტერვიუ | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ტერაქტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 დიპლომატიის ისტორიიდან | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## დაპატიმრება ობიექტური რეპორტაჟებისთვის

პირველი გვერდიდან

არადა, ორივე დაკავებული ყაზბეგის რაიონშია რეგისტრირებული, რაც მათ უფლებას აძლევდა, საზღვარი ვიზის გარეშე გადაეკვეთათ. ქართველი ჟურნალისტები ვლადიკავკაზში, ფედერალური უშიშროების სამსახურის განყოფილებაში იმყოფებიან. მათთან შეხვედრის საშუალება გუშინ მთელი დღის განმავლობაში არ მიეცა რუსეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელს ნუგზარ გრძელიშვილს. რისი გაკეთებაც მოხერხდა, მხოლოდ ის გახლავთ, რომ ნანა ლეჟავასა და ლევან თეთვაძესთან პირადი ნივთების შეტანის ნებართვა გაიცა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველების მიერ უმიზეზოდ დაკავებული, ქართული გადამღები ჯგუფის გათავისუფლება გაჭიანურდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გუშინ იმედს გამოთქვამდა, რომ ინციდენტი დროულად ამოიწურება და ქართველ ჟურნალისტებს უპირობოდ გაათავისუფლებენ. ბოლო ინფორმაციით, ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველი სტრუქტურები პირობას იძლევიან, რომ ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის გადამღებ ჯგუფს დღეს გაათავისუფლებენ.

*24 საათი*

## სისასტიკით გამორჩეული თავდამსხმელები დააკავეს

ქუთაისის პოლიციამ გუშინ დილით, სამი დღის წინ მომხდარი მძიმე დანაშაული გახსნა. საქმე ისაა, რომ დანაშაული, რომელში მონაწილე ორი ეჭვმიტანილი – აპოლონ უგულავა და ზაზა ჩიხლაძე სამართალდამცველებმა ქუთაისში დააკავეს, მარტვილის რაიონში მოხდა.

ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული თავდამსხმელი ბართაიების ოჯახში შეიჭრა. მათ ოჯახის წევრებს ოქროული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. თავდამსხმელებმა ბართაიების ოჯახის ყველა წევრი, დაწყებული ბავშვებით - მოხუცებით დამთავრებული, სასტიკად სცემეს და აწამეს. ოქროს სამკაულები, საოჯახო ძვირფასი ნივთები გაიტაცეს და გაიქცნენ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ბართაიების სახლში ამ დროს, ოჯახის წევრების გარდა, 12 წლის სტუმარიც იმყოფებოდა. თავდამსხმელებმა ოჯახში მყოფებს თავზე პოლიეთილენის პარკები ჩამოაცვეს, შემდეგ კი ცხელი უთოთი აწამეს. განსაკუთრებული სისასტიკით კი ოჯახის უფროსს მოექცნენ, რომელიც, როგორც სამართალდამცველებმა განგვიცხადეს, უკვე მეხუთე დღეა, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება.

**“ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ორი პიროვნება დავაკავეთ, სწორედ ის ორი აღმოჩნდა იმ ოთხი თავდამსხმელიდან, რომლებმაც მარტვილის რაიონში მცხოვრები ბართაიების ოჯახში არნახული სისასტიკე ჩაიდინეს. დაკავებულ აპოლონ უგულავასა და ზაზა ჩიხლაძეს სწორედ ბართაიების ოჯახიდან გატაცებული ნივთები ვუპოვეთ. ისინი უკვე ქუთაისის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. იმედი გვაქვს, რომ დანარჩენ ორ თავდამსხმელსაც, რომლებმაც ბართაიები სასტიკად დააზარალეს, მალე მივაგნებთ,“** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქუთაისის პოლიციის უფროსმა თენგიზ მორჩაძემ.

*24 საათი*

## კობა დავითაშვილი თანაგუნდელის დაპატიმრებას აპროტესტებს

ბათუმის სასამართლომ ქალაქის ცენტრალური ბაზრიდან მოვაჭრეების გამოსაყვანად ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული 13 ეჭვმიტანილიდან 11-ს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. დაკავებულთაგან ორი, რომლებმაც დანაშაული აღიარეს, და გამოძიებას თანამშრომლობის პირობა მისცეს, სასამართლომ გაათავისუფლა.

წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა ორგანიზაცია "საქართველოს ერთიანობის ალიანსის" კოორდინატორს ჯუმბერ თავართქილაძეს. დავითაშვილი, ისევე, როგორც სხვებისთვის შეფარდებულ აღმკვეთ ღონისძიებას, თანაგუნდელისთვის შეფარდებულ წინასწარ სამთვიან პატიმრობას აპროტესტებს.

"ვინაიდან სასამართლო ხელისუფლების იმედი არ მაქვს, თავართქილაძეს მაჟორიტარ კანდიდატად ვასახელებ“,- აცხადებს პარლამენტარი. როგორც თავართქილაძის ადვოკატი ჯუმბერ ხაჟალია აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავებისა და ეჭვმიტანილად ცნობისას ადგილი ჰქონდა საპროცესო დარღვევებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მაინც შეუფარდეს.

*24 საათი*

## დაპატიმრებული გემი აუქციონზე გაიყიდა

წელიწადნახევრის წინ ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებული თურქული ტვირთმზიდი გემი "სელიმ–1", ბოლოს და ბოლოს, აუქციონზე გაიყიდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აუქციონზე სამი განაცხადი იყო შესული, გემის მფლობელი კი, საბოლოოდ, აზერბაიჯანის მოქალაქე აღმოჩნდა, რომელმაც დაპატიმრებული გემი 44.600 ლარად შეიძინა. "სელიმ–1" მესაზღვრეებმა აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში საზღვრის დარღვევის ბრალდებით მაშინ დააკავეს, როცა ბიჭვინთიდან თურქეთისკენ დიდი რაოდენობით ხე-ტყე მიჰქონდა.

სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, გემის მფლობელს ტერიტორიულ წყლებში შეჭრის გამო 200 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. მან ეს გადაწყვეტილება ჯერ ფოთის საქალაქო, შემდეგ კი ქუთაისის საოლქო სასამართლოებში გაასაჩივრა, თუმცა სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გემის მეპატრონემ ქართული მხარის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდა ვერ შეძლო.

*24 საათი*

### გასწორება

**“24 საათის” 4 სექტემბრის ნომერში, მესამე გვერდზე დაბეჭდილ ინტერვიუს ”სამართალწარმოების სიმარტივე და ეკონომიურობა – საპროცესო შეთანხმების ძირითადი მიზანი”, ტექნიკური მიზეზების გამო, არ ჰქონდა შესავალი, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს: “ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ნიკოლოზ რურუასთან”.**

რედაქცია ბოდიშს უხდის რესპონდენტსა და მკითხველს.

# ეუთო-ს წარმომადგენლობითი დელეგაცია თბილისში

ეუთო-ში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნის ელჩები გუშინ საქართველოში ჩამოვიდნენ. ეუთო-ს დელეგაციაში 23 ელჩი შედის. საქართველოში იმყოფებიან ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის დირექტორატის წარმომადგენელი, ეუთო-ს გენერალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი ივან ნაიდენოვი, ეუთო-ში ნიდერლანდების სამეფოს, სლოვენიის, აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და სხვა სახელმწიფოების მისიების ხელმძღვანელები. ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებმა თბილისის აეროპორტში არავითარი კომენტარი არ გააკეთეს. ეუთო-ს დელეგაცია საქართველოში ვიზიტის პერიოდში შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს, სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გოგა ხაინდრავას და სხვა ოფიციალურ პირებს. იგეგმება ეუთო-ს დელეგაციის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვიზიტი. ეუთო-ს დელეგაცია საქართველოში 9 სექტემბრამდე დაჰყოფს.




*ეუთო-ს წარმომადგენლებმა მგზავრობის შემდეგ სული მოითქვეს და აეროპორტი უკომენტაროდ დატოვეს.*

# კონტრაბანდული ტვირთი ისევ შემოდის

როგორც ჩანს, ცხინვალის რეგიონიდან კონტრაბანდული ტვირთი კვლავ უპრობლემოდ შემოდის. უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ გორში გუშინ აღმოჩენილმა კონტრაბანდულმა ტვირთმა, როგორც ირკვევა, გორი-ცხინვალის მაგისტრალზე განლაგებული საგუშაგოები დაუბრკოლებლად გაიარა. ცხინვალიდან შემოტანილი 20 ყუთი რუსული წარმოების 10 ათასი უაქციზო კონტრაბანდული სიგარეტი უშიშროების სამინისტროსა და შიდა ქართლის უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა ნადიბაიძეების ოჯახში აღმოაჩინეს.

კონტრაბანდული ტვირთი საქართველოს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოვიდა. მომხდარ ფაქტზე უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მასალები შემდგომი რეაგირებისათვის კი ფინანსურ პოლიციას გადაეცა. ტვირთის მფლობელის ვინაობა ჯერ დადგენილი არ არის. ამოღებული კონტრაბანდული სიგარეტი გორის საბაჟო ტერმინალზე გადაიტანეს.

*24 საათი*

# საქართველო უცხოური პრესის ფოკუსში

პირველი გვერდიდან

**მეთოდებით საერთაშორისო ნორმების და მსოფლიო უსაფრთხოების უწყვეტი ნგრევა. მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციის მიერ მეზობელი სუვერენული სახელმწიფოების ფაქტობრივ შესრუტვას,”** – ასე აღწერს საკუთარ შთაბეჭდილებას ცნობილი ამერიკული გამოცემის მიმომხილველი.

ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ საქართველო, რომელმაც განვითარების დასავლური გზა აირჩია, ამჟამად არის რუსეთის ხელში საცდელი კურდღელი და თუ საერთაშორისო საზოგადოება ყველაფერზე თვალის დახუჭვას განაგრძობს, მსგავსი პრეცედენტი სხვა ტერიტორიებზეც განხორციელდება.

**“აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ყველაფრით ღარიბია, გარდა იარაღისა, რომელსაც რუსეთი აკონტროლებს. ამ ორი ტერიტორიის შესრუტვა რუსეთს ხელს აძლევს, რათა კონტროლქვეშ ჰყავდეს მთელი საქართველო, რომელიც, თავის მხრივ, სტრატეგიული მნიშვნელობისაა ევროატლანტიკური თანამეგობრობისთვის,”** – წერს ვლადიმირ სოკორი.

ჟურნალისტს ყურადღების მიღმა არ რჩება პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ქმედებები. მისი პოლიტიკური კურსის საილუსტრაციო მაგალითად კი მოჰყავს გასულ კვირას, სოჭში გამართული შეხვედრა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან და დე ფაქტო პრეზიდენტობის ნომერ პირველ კანდიდატთან რაულ ხაჯიმბასთან. საბოლოოდ კი ასკვნის, რომ შესრუტვის პოლიტიკას რუსეთი, როგორც მინიმუმ, რვა პარალელური გზით ახორციელებს.

ჟურნალისტის ხედვით, პირ[illegible]

მოჰყავს. ამასთან, რუსეთის ფედერაცია ამ რეგიონების ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცევას ახერხებს, არ უშვებს იქ უცხოელ ჟურნალისტებს მაშინ, როდესაც ყველანაირად ხელს უწყობს რუსი კორესპონდენტების მუშაობას. რუსეთის მეოთხე გზა, ეს არის ადგილზე შექმნილი სეპარატისტული ძალები, რომელსაც ხელმძღვანელობენ რუსეთის ჯარის ოფიცრები და კიდევ ერთი მთავარი საკითხი - ერთადერთ “კანონიერ” ვალუტად რუსული რუბლის გამოცხადება.

“პუტინის საფირმო ინგრედიენტად” და მისი “გამომგონებლობის” ნაყოფად აფასებს სოკორი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას, რამაც შედეგი სულ ცოტა ხნის წინ გამოიღო, როდესაც წამყვანი რუსი პოლიტიკოსები – ანდრეი კოკოშინი, დმიტრი როგოზინი და ვლადიმირ ჟირინოვსკი გაემგზავრნენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში “რუსეთის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად”.

**“ახლა კი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა ორგანოები აცხადებენ, რომ მათ აქვთ უფლება, ჩაერიონ კონფლიქტში რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით,”** – ირონიულად წერს ჟურნალისტი.

მეშვიდე გზა, რომლითაც მოსკოვის მიერ შესრუტვის პოლიტიკა ხორციელდება, არის რუსეთის მიერ საქართველოს საკუთრების მითვისება და თბილისთან შეთანხმების გარეშე, სარკინიგზო თუ საზღვაო მიმოსვლის განხორციელება აფხაზეთში.

და ბოლოლ, მერვე გზა, ეს არის საქართველო-რუსეთის საზღვრების გაკონტროლება მხოლოდ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის თუ აფხაზეთის ძალებთან ერთად. **“სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო საზოგადოების მიერ კანონიერად აღიარებული საზღვარი, ფაქტობრივად, რუსეთის ნაწილია,”** – წერს ვლადიმირ სოკორი.

**რთო ინტერესი - ორივე მხარე ირწმუნება, რომ მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს არა დამოუკიდებლობა, არამედ რუსეთთან შერწყმა. და მეორე, რამაც ამ ლიდერებთან საუბარში შემაშფოთა, იყო ის, რომ ისინი საერთოდ არ თვლიან საჭიროდ საკუთარ პოლიტიკურ მოქმედებებში დასავლეთის პოზიციის გაზიარებას. და რადგან დასავლეთი უკვე ათი წელია, რაც ჩუმადაა, ეს ლიდერები, თვითკმაყოფილებით აღსავსენი, დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, მათთან ერთად და მათთვის, მოსკოვში წყდება,”** – წერს ვლადიმირ სოკორი.

“ჯეიმსთაუნის ფონდის” მიმომხილველი მიიჩნევს, რომ დასავლეთმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა გაამახვილონ ყურადღება იმაზე, თუ როგორ უხეშად არღვევენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერები საერთაშორისო ნორმებს. მისი აზრით, აუცილებელია სწრაფი რეაგირება მოვლენებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი პრეცედენტები ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიებზე და მის გარეთაც აუცილებლად განხორციელდება.

■ ■ ■

როგორც გახსოვთ, სულ ცოტა ხნის წინ “Новая Газета”–ს ცნობილი ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია მოწამლეს. ამ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, ელექტრონულმა გაზეთმა გამოაქვეყნა პოლიტკოვსკაიას რეპორტაჟი სამაჩაბლოდან, ორი დღის წინ კი გამოქვეყნდა მისივე რეპორტაჟი აფხაზეთიდან.

ანა პოლიტკოვსკაია ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღწერს დანგრეულ, გაპარტახებულ და, ფაქტობრივად, განადგურებულ აფხაზეთს.

**“სოხუმის ქუჩები ნაგვითაა და დანგრეული გზებით გავსებული. ვაჭრობის ნიშნები არ ჩანს, მაღაზიები ძალიან ცოტაა. თვალში საცემია, რომ სახლების უმეტესობა ცარიელია და იქ არავინ ცხოვრობს. კედლები ჩამონგრეულია და მათში ხეებია ამოსული, სიღარიბე ვირტუალურად ფარავს ფანტასტიკური ტროპიკული მცენარეები. სოხუმის ცენტრში ძალიან ცოტა ხალხია და ვინც ჩანს და ვისთან დალაპარაკებასაც ახერხებ, თვალებს მალავენ და ცდილობენ, თავი აარიდონ ისეთ შეკითხვებსაც კი, როგორიც არის, მაგალითად – რამდენია საშუალო ხელფასი. საბოლოოდ კი არადამაჯერებელ პასუხს ვიღებთ: “სადღაც ათასამდე რუბლი,”** – წერს ცნობილი რუსი ჟურნალისტი და აქვე გაკვირვებას გამოთქვამს. მას წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ, მაგალითად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩეჩნეთში ბრუნვაში იყოს ქართული ლარი.

**“მაგრამ, ჩვენმა რუბლმა აფხაზეთს აყვავება და ბედნიერება ვერ მოუტანა. იქ მდიდრები და ბედნიერები არ შეიმჩნევიან. არ იგრძნობა ცნობილი აფხაზური ყავის არომატიც,”** – წერს პოლიტკოვსკაია.

ცნობილი რუსი ჟურნალისტი დიდ აქცენტს აკეთებს იქ დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზეც.

**“ამბობენ, რომ არჩევნებში 200 ათასამდე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, რომელთაგან მხოლოდ 18 პროცენტია აფხაზი ეროვნების, სხვა ყველა კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალია, რომელთა 75-მა პროცენტმაც საქართველოს დაუკითხავად მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. რა კანონით მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას ისინი, გაურკვეველია... ეს არის საიდუმლო, რომელზეც “პირველი პირები” ნაძალადევი ღიმილით საუბრობენ. 3 ოქტომბერს დანიშნული არჩევნები არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ და დამკვირვებლებიც არ იქნებიან,”** – წერს რუსი ჟურნალისტი.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის “პირველ პირებთან” შეხვედრის და საუბრის შემდეგ, ანა პოლიტკოვსკაია ასკვნის, რომ აფხაზეთი არის “შავი ხვრელი”, იგი საერთოდ არ არის დამოუკიდებელი და რუსეთის ტერიტორიულ დანამატს წარმოადგენს, სადაც არანაირი კანონები არ არსებობს.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს სამძიმრის წერილი გაუგზავნა. როგორც წერილშია ნათქვამი, “ბავშვების წინააღმდეგ მიმართულმა ბარბაროსულმა აქტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ტერორიზმის სულ უფრო მზარდი საშიშროება და ბოროტების წინააღმდეგ ერთობლივი ძალისხმევით ბრძოლის აუცილებლობა”. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა პირადად და საქართველოს დიპლომატიური კორპუსის სახელით, დაღუპულთა ოჯახებისა და რუსი ხალხის მიმართ გულწრფელი თანადგომა გამოხატა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავიაკომპანია “საქართველოს ნაციონალური ავიახაზები” ხელისუფლებისგან ქუთაისის აეროპორტში უსაფრთხოების ზომების შემოღებას მოითხოვს. როგორც ავიაკომპანიაში განაცხადეს, ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმები გაამკაცრა, თუმცა ამგვარი რამ ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტში არ მომხდარა. ”საქართველოს ნაციონალური ავიახაზები” ხელისუფლებას სთავაზობს, ერთად შექმნან აეროპორტში უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები დღეს ჰუმანიტარულ ტვირთს მიიღებს. შინაგანი ჯარების სამედიცინო-სანიტარულ ნაწილს “ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, მომხმარებელთა და იმპორტიორთა კავშირი” მაისურებს და ინვალიდის ეტლებს გადასცემს.

როგორც კავშირის პრესსამსახურში განაცხადეს, ამგვარი საქველმოქმედო აქცია მათი ორგანიზებით ადრეც გაიმართა და შინაგანმა ჯარებმა დიზელის საწვავი და 7000 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის დახმარება მიიღო. დღევანდელ ღონისძიებას “ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, მომხმარებელთა და იმპორტიორთა კავშირის” თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ფრაქცია “კონსერვატორების” თავმჯდომარე გიორგი ტაბიძე ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში ქართველი ჟურნალისტის ნანა ლეჟავასა და ოპერატორ ლევან თეთვაძის დაკავებას აპროტესტებს და საკრებულოს ხვალინდელ სხდომაზე საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილის გაწვევის საკითხის დაყენებას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ბადრი ბიწაძე სამშაბათს, ოფიციალური ვიზიტით ჰელსინკში მიემგზავრება, სადაც ფინეთის სახმელეთო საზღვრის დაცვის და სანაპირო დაცვის მიმართულების მეთაურს, ბრიგადის გენერალს მიკო კირიავაინენის შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სხვადასხვა კურორტზე მყოფი 2700 ბავშვი და მათი მშობლები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ფრონესა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ორ ეტაპად დაბრუნდებიან. მათ ტყვიავის საგუშაგოზე, შიდა ქართლის გუბერნატორთან მიხეილ ქარელთან ერთად, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გოგა ხაინდრავა და რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილიც დახვდებიან. მათი განცხადებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ამჟამად შექმნილი ვითარება იძლევა იმის საფუძველს, რომ ბავშვები ცხინვალის რეგიონში დაბრუნდნენ.

გოგა ხაინდრავას თქმით კი, ბესლანში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ შეუძლებელია, ვინმეს კვლავ გაუჩნდეს სურვილი, “ხელი აღმართოს მშვიდობიან მოსახლეობაზე და მით უფრო, ბავშვებზე”. მისივე განცხადებით, ბესლანის ტრაგედიის შემდეგ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება და მშვიდობიანი მოსახლეობა უნდა მიხვდეს, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ხელისუფლების იმედი და მათი ერთადერთი დასაყრდენი საქართველოა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბესლანი.** ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად, ქართული გვარის მქონე სამი მოქალაქე დაიღუპა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ამ დროისთვის დაღუპულთა მოქალაქეობა და რეკვიზიტების დადგენა [illegible] 28-47-47 [illegible] 1 სექტემბერს ბესლანში [illegible]. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 ჰოლდინგი. მთავარი რედაქტორი [illegible]

# გივი იუკურიძე: შეუცდომელი ამ ქვეყანაზე არავინაა, მაგრამ ამ ყველაფერს ცხინვალის მოვლენებს რომ აბამენ, უსინდისობაა

პირველი გვერდიდან

**ამოცანები, როგორც შენაერთებისთვის, ისე ცალკეული დანაყოფებისთვის, რამაც გამოიწვია დაბნეულობა და შეუთანხმებელი მოქმედებები. თქვენ როგორ აფასებთ ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებს?**

- ჯერ ერთი, ამას მე დოკუმენტს ვერ ვუწოდებდი. თუ დოკუმენტი მართლაც არსებობდა, მე მის შესახებ მხოლოდ თქვენი გაზეთიდან შევიტყვე... ამ დოკუმენტს, ალბათ, აუცილებლად უნდა ჰყავდეს ავტორი, რომელიც არ უნდა იმალებოდეს. მე ამ ავტორის ვინაობა არ გამიგია. მეორეც, თუ ეს დოკუმენტი ასეთი სერიოზულია, ის უნდა ინახებოდეს შესაბამისად და ჩემთვის გაუგებარია, როგორ მოხვდა იგი პრესის ფურცლებზე... დაბოლოს, რაც შეეხება დოკუმენტის შინაარს... ეს გახლავთ დილეტანტების მოსაზრებები, ვიღაცის შეკვეთით, სადღაც ქუჩა-ქუჩა შეკრებილი. ამ ე.წ. დოკუმენტში ჩამოყალიბებული არც ერთი პუნქტი სინამდვილეს არ შეეფერება. სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ ვაპირებდი არანაირი პასუხის გაცემას. სამხედრო ვარ და ჩემი სამხედრო სამსახურის პერიოდში დაახლოებით ოცამდე თანამდებობა გამოვიცვალე. ამდენად, ჩემთვის თანამდებობის დატოვება პრობლემას არ წარმოადგენს. ერთ სკამზე მიბმული ნამდვილად არ ვარ...

თუმცა, "24 საათში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ისეთ თემებს შეეხნენ, რომ აქ მხოლოდ ჩემს თანამდებობიდან გათავისუფლება-არგათავისუფლებაზე არ არის საუბარი. ამ პუბლიკაციით ერთი რამ დავინახე – ვიღაცას, ალბათ, ძალიან მოენატრა შიშველი, ტიტველი, ნახევრადმშიერი ჯარისკაცი; ვიღაცას, ალბათ, გაუჩნდა ნოსტალგია ჯარში ბუნტისა; ვიღაცას მოენატრა უპატრონოდ, მოუვლელად მიყრილი სამხედრო ტექნიკა; ალბათ, ვიღაცამ ვერ აიტანა ის, რომ გენშტაბისა და მინისტრების ძალისხმევით აპრილის ბოლოს საკმაოდ ეფექტური სწავლებები ჩატარდა და ამ სწავლებებმაც განაპირობა აჭარის მოვლენების უსისხლოდ განვითარება; ალბათ, ვიღაცას ძალიან ეწყინა საქართველოს მოსახლეობის სიხარულის ცრემლები 26 მაისის აღლუმზე; ალბათ, ვიღაცებმა და მათმა მფარველებმა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ვერ აიტანეს ის, რომ ქართველი ჯარისკაცი ცხინვალში განვითარებული ბოლო მოვლენების დროს არ გამოიქცა ბრძოლის ველიდან, ან ტყვედ არ ჩაბარდა; ბევრს არ მოეწონა, რომ ქართველმა ჯარისკაცმა პირნათლად შეასრულა თავისი ამოცანა ქვეყნის წინაშე.

**- ვის ეწყინა ეს ყველაფერი?**

- არ ვიცი, კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ. თქვენს შეკითხვას და იმ ე.წ. დოკუმენტს დავუბრუნდები: იყო თუ არა განსაზღვრული ამოცანები ქვედანაყოფებისა და შენაერ- ბის მიერ ამოცანა განსაზღვრული იყო იმ ბრიგადისადმი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ეს ბატალიონი. ერთი ბატალიონი შემდეგ მეორე ბატალიონმა შეცვალა, მაგრამ ერთდროულად ორი ბატალიონი ცხინვალის რეგიონში არ ყოფილა. ამდენად, საუბარი იმაზე, რომ გენერალურ შტაბს უშუალოდ ამ საბრძოლო მოქმედებების რაღაც დაგეგმარება უნდა გაეკეთებინა, სისულელეა, რომელსაც მხოლოდ დილეტანტი იტყვის. დაგეგმარება გააკეთა ბრიგადის შტაბმა, მას შემდეგ, რაც გენშტაბიდან შესაბამისი მითითება მიიღო. იყო გამაფრთხილებელი ბრძანება და იყო ოპერატიული ბრძანებაც, რაც ჩვენგან უნდა წასულიყო და ამაზე პასუხს აგებდა უშუალოდ ბატონი კაპანაძე, რომელიც ახლა გენერალური შტაბის უფროსი გახლავთ. ბრიგადის შტაბის ხელმძღვანელობა უშუალოდ ევალებოდა ბატონ კაპანაძეს. რაც წასასვლელი იყო ჩვენგან, ყველაფერი წავიდა ქვედანაყოფში, მე-11 ბრიგადის შტაბმა მიიღო ეს ამოცანა, მან დაგეგმა, ჩამოაყალიბა, მისცა შესაბამისი ამოცანა ბატალიონს და უკვე ბატალიონის მეთაური ბრიგადის მეთაურის ხელმძღვანელობით აკეთებდა ბრძოლის ორგანიზებას. მე მგონი, ამათ ისევ ნოსტალგია აქვთ 1990-1992 წლებზე, როდესაც აფხაზეთში ვირთხებივით გამორბოდნენ ზოგიერთები... ისევ მაშინდელივით უნდათ, რომ ვიღაცა, გენერლის ჩინით ან სხვა ვეებერთელა თანამდებობით, ათ კაცს ხელმძღვანელობდეს. ასე არ შეიძლება, ჯარში ყველა მეთაურს თავისი ამოცანა, თავისი ფუნქციები აქვს. თუ დიდი უფროსები უშუალოდ ასეულის, ოცეულის ან ბატალიონის მეთაურის ფუნქციების შესრულებაში ჩაერივნენ, მაშინ ის კაცი, ჯერ ერთი, იკარგება, როგორც მეთაური და მეორეც, ამგვარ ჩარევას ავის მეტი არაფერი მოაქვს.

ცხინვალის მოვლენების დროს ამოცანები განსაზღვრული იყო. მთავარი ამოცანა შემოვლითი გზის დაცვა გახლდათ. შემოვლითი გზა – ეს სიტყვები შეიძლება არაფერს ამბობს, მაგრამ ეს გახლავთ გზა, რომელიც დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობების დასაკავშირებლად საქართველოს ხელისუფლებამ ორჯერ გააკეთა. ამ გზის გარეშე დიდი ლიახვის ხეობის სოფლები, თამარაშენი და სხვები, აღმოჩნდებიან სრულ იზოლაციაში, მოწყდებიან ქართულ სახელმწიფოს. მანამდე იქ შინაგანი ჯარი იდგა და ჩვენ შინაგანი ჯარის შეცვლის ამოცანა მივიღეთ. ჩვენ უნდა დაგვეცვა ქართული სოფლები. ეს გახლდათ ამოცანა – მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვა და ჩვენი ჯარისკაცები ამას პირნათლად ასრულებდნენ.

**- მას შემდეგ, რაც ამგვარი დოკუმენტის არსებობის შესახებ "24 საათის" ფურცლებიდან შეიტყვეთ, თუ დაინტერესდით, ვინ არიან ამ დოკუმენტის ავტორები... თუ ნახეთ ეს დოკუმენტი?**

- მე გამომძიებელი არა ვარ. ვერაფერი გავიგე ამ დოკუმენტის შესახებ და კარგი იქნებოდა, თუ ამ დოკუმენტით შესაბამისი პიროვნებები, ან ორგანიზაციები დაინტერესდებოდნენ, გაიგებდნენ, ვინ შექმნა იგი, ვის აქვს? ალბათ, გასარკვევია, როგორ ხვდება ტყუილით და ცილისწამებით გამოტენილი მსგავსი დოკუმენტები პრესის ფურცლებზე? ეს ჩემთვის გაუგებარია. გაუგებარია ისიც, როგორ შეიძლება პოლიტოლოგებმა, რომელთაც არასოდეს უსწავლიათ სამხედრო ტაქტიკა და არანაირი პრაქტიკული შეხება არ ჰქონიათ მასთან, ილაპარაკონ ტაქტიკის საკითხებზე. აი, ეს არის ჩვენი უბედურება. საუბარი იმაზე, რომ ვიღაცამ იუკურიძეს მოუტანა დოკუმენტი სამხედრო მედიცინის ფორმირების თაობაზე და ვითომ მე ვთქვი, რომ სამხედრო ექიმის ცნებას არ ვცნობ, სისულელეა. შეიძლება ვინმე ქოიავას, და გაიკითხეთ, უბრალოდ, ვინ არის იგი და რას აკეთებს, უფრო მეტად სტკიოდეს გული ქართულ ჯარზე და სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობაზე, ვიდრე მე? არ შეიძლება, თვითმფრინავის მგზავრმა, რომელიც შეიძლება ათასჯერ დაფრინავს აქედან ამერიკაში ან ჩინეთში და ათ საათს ატარებს თვითმფრინავში, თქვას, რომ მას თვითმფრინავის მართვა შეუძლია. ვერ მართავს ის თვითმფრინავს.


ბესო გულაშვილის ფოტო

*"მე სამხედრო ატაშედ არ წავალ. ატაშედ წასვლას პენსიაზე წასვლა მირჩევნია".*

**- სამხედრო ექსპერტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ "კომანდოს" შენაერთების არაეფექტურ გამოყენებას. დავით თევზაძის თქმით, "კომანდოს" პოზიციებზე ყოფნის ვადა, მაქსიმუმ, 72 საათია, სარდლობამ კი ისინი 168 საათის (7 დღე-ღამე) განმავლობაში სანგრებში დატოვა. ეს იყო ელემენტარული შეცდომა თუ სხვა გამოსავალი არ არსებობდა?**

- აბსოლუტურად არავითარი შეცდომა აქ არ ყოფილა. შეცდომას უშვებს ექსპერტი, რომელიც ამ მოსაზრებას გამოთქვამს. ასეთი ნორმატივი მსოფლიოში არ არსებობს. სადღაც რაღაც წაუკითხავთ და ბოლომდე ვერ გარკვეულან, რა წაიკითხეს. აქ არის საუბარი იმაზე, რომ 72 საათი მაშინ აქვთ სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებს, როდესაც ისინი გარკვეულ სპეციალურ დავალებას ასრულებენ. ეს ამოცანა ნიშნავს სხვა ძალებისგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად მოქმედებას. ამ შემთხვევაში დრო განისაზღვრება, რასაკვირველია, ე.ი. ამ დროის მონაკვეთში სპეცდანიშნულების ბატალიონს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და ამ დროის გასვლის შემდეგ სხვა ქვედანაყოფი უნდა მივიდეს და დაეხმაროს მას გარკვეული ამოცანის შესრულებაში. მაგალითად, ბრიგადა უტევს, დავუშვათ, ცხინვალის მიმართულებით - ამ შემთხვევაში, ვთქვათ, "კომანდოს" სპეცდანიშნულების ქვედანაყოფს შეიძლება დაესვას ამოცანა, რომ მან დაიკავოს რომელიღაცა პლაცდარმი და უზრუნველყოს ძირითადი ძალების შეტევა ამ მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ "კომანდოს" შეუძლია, დამოუკიდებლად იმოქმედოს მხოლოდ 72 საათი. ეს დრო, საერთოდ, საიდან მოდის? - გათვლილია, ბატალიონს რამდენი შეიარაღება, პროდუქტი, სხვა რესურსები გააჩნია... ხოლო ცხინვალის მოვლენების დროს "კომანდოს" სპეცდანიშნულების ბატალიონი თავდაცვაში იდგა, იგი მოწყვეტილი არავისგან ყოფილა... ამდენად, ეს მოსაზრება ხელოვნურია.

**- სერიოზული პრეტენზიებია დაზვერვის მიმართაც. საუბარია იმაზე, რომ ჩვენი შენაერთები ხშირად წამოეგებოდნენ ხოლმე მოწინააღმდეგის ცრუ მანევრს. თქვენი შეფასება ამასთან დაკავშირებით.**

- რაც შეეხება მოწინააღმდეგის ცრუ მანევრებზე წამოგებას, ეს მართლაც ცრუ სიტყვებია, მაგრამ დაზვერვა რომ სრულყოფილად ვერ მუშაობდა, ფაქტია. ამის მიზეზი რამდენიმე ფაქტორი იყო. პირველი და მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ სამი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა დაზვერვის დეპარტამენტის შტატის შეცვლა და მისი შესაბამისი კადრებით დაკომპლექტება, რატომღაც არ დაგვიმტკიცეს ახალი შტატი. არ შეიძლება რეფორმირების პროცესში მყოფ ქვედანაყოფს მოსთხოვო იმაზე მეტი, ვიდრე მას შეუძლია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს დეპარტამენტი მაინც მუშაობდა, მაგრამ სწორედ ცხინვალის რეგიონში გახურებული საცეცხლე დუელის დროს დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლა მოხდა. ვთვლი, რომ ეს სრულიად გაუმართლებელი და მიუღებელი ქმედება იყო, რადგან ახალი ხელმძღვანელის სამუშაო ატმოსფეროში შესვლასაც თავისთავად დიდი დრო სჭირდება. მეორე მიზეზი - უკვე გითხარით, რომ ჩვენ შევცვალეთ შინაგანი ჯარი, რომელიც ცხინვალის რეგიონში პოზიციებზე იდგა. ჩვენ ორი კვირის განმავლობაში უნდა ჩაგვენაცვლებინა ისინი და მერე ისევ შინაგანი ჯარი უნდა მოსულიყო. თავისთავად ცხადია, რომ დაზვერვის წარმოებას სჭირდება გარკვეული მომზადება და საამისო დრო ჩვენ, პრაქტიკულად, არ გვქონია. დაზვერვითი ქმედებები უკვე პოზიციაზე მყოფი ქვედანაყოფების პირობებში დავიწყეთ. იმის თქმა, რომ ქვედანაყოფების ხელმძღვანელები მოწინააღმდეგის ცრუ ქმედებებს წამოეგნენ, არასწორია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო "კომანდოს" ბატალიონის მეთაური, რომელიც თავის ბატალიონს ხუთიანზე მართავდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ იქიდან ერთი ჯარისკაციც არ გამოიქცა, რომ ქვედანაყოფი ასე შეკრული იდგა იქ. მისი დამსახურებაა ასევე ისიც, რომ მოწინააღმდეგემ შემოვლითი გზა არ დაიკავა. ხუთი აგვისტოს შემდეგ ერთი ღამეც არ გათენებულა, რომ სროლები არ ყოფილიყო. სროლები იყო აბსოლუტურად ყველა სახის იარაღიდან, რისი გამოყენებაც შეიძლება. მუდმივად ისროდა ტანკი, ყოველ ღამე მუშაობდნენ ნაღმტყორცნებით. ჩვენი ქვედანაყოფი ოსების განლაგების შუაში იყო მოქცეული. მერე ჩვენ არტილერია შევიყვანეთ, რაც ხელშეკრულების დარღვევა იყო, მაგრამ იძულებული ვიყავი, ეს გამეკეთებინა, რათა ჩვენი ქვედანაყოფებისთვის მაქსიმალური მხარდაჭერა გამეწია. ძირითადი ძალა დაადგა დაზვერვის იმ ქვედანაყოფებს, რომლებიც ბატალიონს და ბრიგადას ჰყავდა. საუბარი იმაზე, რომ დაზვერვის ქვედანაყოფები მომზადებისას არ იყვნენ გამოყენებულნი, არ შეესაბამება სიმართლეს. პირველივე დღეს, როცა ბრიგადის მეთაური ცხელ წერტილთან ავიდა, მაშინ იქ ჯერ კიდევ შინაგანი ჯარი იდგა, მას თან ახლდა დაზვერვის უფროსი და დაზვერვის ოფიცრები. მეც იქ ვიყავი, რათა სიტუაცია შემეთვალიერებინა. ბრიგადის მეთაურმა სადაზვერვო ოცეულის წარმომადგენლები დატოვა იქ. ერთი დღე-ღამის განმავლობაში სადაზვერვო ქვედანაყოფი იდგა იქ, შინაგან ჯართან ერთად იმისათვის, რომ შესაბამისი მონაცემები მოეკრიბათ და დაეწყოთ მუშაობა ჩვენი ქვედანაყოფის შესვლაზე. ტყუილის თქმა არ მინდა, სადაზვერვო ქვედანაყოფის საქმიანობა ძალიან ეფექტური არ იყო და ვერ იქნებოდა, რადგან მათ ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდად მუშაობა, გარშემო პოზიციები ოსებს ჰქონდათ დაკავებული და იძულებულნი იყვნენ, ძალიან მცირე არეალში ემოქმედათ. ერთი რამ ხაზგასასმელია: მიუხედავად იმისა, რომ ნაკლოვანებები იყო, შინაგანი ჯარის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს და ჩვენი სადაზვერვო მონაცემები მუდმივად მოგვეწოდებოდა, ერთმანეთს ვუცვლიდით და მაქსიმალურად ვიყენებდით ამ მონაცემებს.

**- მთელმა ქვეყანამ შეიტყო, თუ რა მძიმე დანაშაულები (სხვაგვარად ძნელია შეაფასო) მოხდა ლოჯისტიკის, ანუ სამხედრო შენაერთების მომარაგება-უზრუნველყოფის მხრივ. ტყვიაწამლის ყუთებში ქვიშა და ქვები – ეს ხომ წარმოუდგენელი საბოტაჟია... ესეც რომ არა, საუბარია ჯარისკაცების საყოფაცხოვრებო პირობების ცუდად უზრუნველყოფაზე, სამხედრო სამედიცინო უზრუნველყოფის საერთოდ არარსებობაზე და ა.შ.**

- რაც შეეხება ლოჯისტიკას, ერთი წუთიც არ ყოფილა, რომ ჯარისკაცს არ ჰქონოდა საბრძოლო მასალები, საწვავი და საკვები. პირველ დღეს საკვები პროდუქტების მხრივ გარკვეული შეფერხებები იყო. კვების პროდუქტებით მომარაგება ადგილობრივ ხელმძღვანელობას დაევალა და სანამ ისინი ჩადგნენ მწყობრში, იყო გარკვეული შეფერხებები, თუმცა ორი დღის სამყოფი მშრალი ულუფა თითოეულ ჯარისკაცს თან ჰქონდა. ასე რომ, არც ერთი წუთი ჩვენი ჯარისკაცები საბრძოლო მასალებისა და საკვების გარეშე არ დარჩენილან. ბოლოს, როცა ცხინვალის რეგიონიდან გამოვედით, ცამეტი მანქანა გამოუყენებელი საბრძოლო მასალა გამოვიტანეთ. ამის შესახებ თვითონ ჯარისკაცებს შეეკითხეთ. თავისთავად, აღმოჩენილი ქვიშა და ქვები დიდი დანაშაულია, თუმცა რომ წერენ, ეს ქვიშა გრადებში იყო აღმოჩენილიო, ასევე დიდი სისულელეა. ესეც დილეტანტის ნათქვამია. გრადებში არავითარი ქვიშა არ იყო, გრადები ჩვენ საერთოდ არ გამოგვიყენებია. რასაკვირველია, ისინი გამზადებული გვყავდა, მაგრამ არ გასცილებიან გორს, დროებითი დისლოკაციის ადგილს. პრობლემა ხელყუმბარებთან დაკავშირებით იყო. როდესაც თელავის 111-ე ბატალიონს პოზიციაზე ხელყუმბარები ავუტანეთ, ზოგიერთ ყუთში ხელყუმბარების ნაცვლად ქაღალდში გახვეული ქვები აღმოჩნდა. ხელყუმბარების შეცვლა იქ არ მომხდარა. როდესაც ჩვენ ეს აღმოვაჩინეთ, მაშინვე გავეცი ბრძანება და ამის შესახებ უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებს და პროკურატურას შევატყობინეთ. მიმდინარეობს მოკვლევა და ვინც დამნაშავეა, ის აუცილებლად დაისჯება. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს ყუთები ამგვარი შემადგენლობით, ანუ ქვებით ოსიაურში განლაგებული საწყობიდან წამოვიდა. ოსიაურში ეს მასალები კოპიტნარიდან მოხვდა. ალბათ, გამოძიება გაარკვევს, სად მოხდა ხელყუმბარების ქვებით შეცვლა. სხვათა შორის, შემდეგ საწყობშივე შეამოწმეს სხვა ყუთები და ქვები სხვაგანაც აღმოჩნდა. ანუ ეს ან ოსიაურის საწყობში მოხდა, ან კოპიტნარში. კოპიტნარის აეროდრომზე ეს ხელყუმბარები დაახლოებით ოთხი წელი ინახებოდა და ამ გაზაფხულზე წამოიღეს ოსიაურში.

რაც შეეხება ჰოსპიტალს. სამედიცინო უზრუნველყოფის თაობაზე პრეზიდენტთან სპეციალური თათბირი ჩატარდა. ჩვენი მხრიდან შეთავაზებული იყო სქემა, ასევე საკუთარი სქემა ჰქონდა ჯანდაცვის სამინისტროს. ამ თათბირზე ჩამოვყალიბდით, გავითვალისწინეთ ჯანდაცვის მინისტრის მოსაზრებები და მივედით შემდეგ სქემამდე: დაჭრილები გამოჰყავდათ სანინსტრუქტორებს, რომლებიც პირველ დახმარებას დაჭრილებს იქვე აღმოუჩენდნენ. ასევე, ბატალიონს ჰქონდა თავისი სამედიცინო პუნქტი, სადაც კვალიფიციური ექიმები საჭირო დახმარებას უწევდნენ დაჭრილებს, ხოლო შემდეგ ბატალიონის ტრანსპორტით დაჭრილი მებრძოლი ერედვამდე გამოჰყავდათ. მედპუნქტი სოფელ ტყვიავის საავადმყოფოშიც იყო გახსნილი და ასევე გორში ორივე საავადმყოფო სრულ მზადყოფნაში იყო მოყვანილი. ერედვიდან გორამდე თხუთმეტი წუთის სავალია, მეტი არა. მუდმივად მორიგეობდნენ თურქების მიერ ბატალიონისთვის ნაჩუქარი სამხედრო სამედიცინო მანქანები, ასევე სხვა სამედიცინო დახმარების მანქანები. იქ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დაჭრილი დროზე არ მიეყვანათ საავადმყოფომდე. ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც დაჭრილები დილამდე ვერ გამოიყვანეს, რადგან მოწინააღმდეგის საცეცხლე მოქმედება იმდენად ძლიერი იყო, რომ ექიმები სანგარს ვერ მიუახლოვდნენ. აღნიშნულ თათბირზე მე შევთავაზე, რომ იქნებ შვეულმფრენებიც გამოგვეყენებინა, მაგრამ ჯანდაცვის მინისტრმა საკმაოდ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ შვეულმფრენის გამოყენება არაეფექტური იქნებოდა. გორიდან თბილისამდე ერთი საათის სავალი გზაა, შვეულმფრენს ნახევარი საათი სჭირდება, ხოლო მის გახურებას და ასაფრენად მომზადებას კიდევ ამდენივე დრო. თანაც რეანომობილები შესაბამისი სამედიცინო აპარატურით არიან აღჭურვილნი, ხოლო ჩვენს შვეულფრენებს სამედიცინო აპარატურა არ გააჩნია.

განა არაკეთილსინდისიერი კაცის ნათქვამი არ არის ის, რომ ჩვენ ჯარისკაცებს ცხინვალში, თურმე, თეთრეული არ ჰქონდათ. სხვათა შორის, ლოგინის თეთრეულზეა ლაპარაკი. სად ნახა ამის მთქმელმა, რომ ჯარისკაცები სანგარში თეთრეულს იფენდნენ? ყველა ჯარისკაცს ჰქონდა თავისი საძილე ტომარა და მინი-კარავი და რადგან ვიღაცეებმა არ იცოდნენ, რა დაეკიდათ ვიღაცის კისერზე და ამ შემთხვევაში ეს ვიღაცა იუკურიძე იყო, მოიფიქრეს, რომ თურმე ჯარისკაცებს კარავში თეთრეულიც უნდა ჰქონოდათ...

იცით რა, ჩემთვის ყველაზე კარგი შემფასებელი ოფიცერი და უბრალო ჯარისკაცია, მე მათი აზრი ბევრად უფრო მაინტერესებს, ვიდრე უცოდინარი ექსპერტების ბრალდებები. ჰკითხეთ უბრალო ჯარისკაცებს.

**- თქვენ პრეტენზიებს გიყენებენ გენერალური შტაბის არასწორი სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და მცდარი საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში. მაგალითად, რატომ გააუქმეთ სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი?**

- სწრაფი რეაგირების ძალების შტაბი არ გაუქმებულა, ის დღესაც არსებობს, უბრალოდ, მოხდა ამ შტაბის ფუნქციების დროებითი შეცვლა. სწრაფი რეაგირების შტაბში მსახურობდა 68 ადამიანი, იღებდნენ მაღალ ხელფასებს და ამ შტაბის მუშაობის ეფექტურობა ძალიან დაბალი იყო. პრაქტიკულად, ისინი გენშტაბის შესაბამის სტრუქტურებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობდნენ. ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ დროებით ამ შტაბის რიცხოვნობა 24 კაცამდე შემცირებულიყო. ომის შემთხვევაში ამ შტაბს, გენშტაბის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, უნდა შეექმნა მართვის პუნქტი და ერთობლივად უნდა ეწარმოებინათ ქვედანაყოფების მართვა. რაც, სხვათა შორის, ცხინვალის მოვლენების დროს მოხდა, თუმცა ამ ეტაპზე ამ შტაბს ფუნქცია არ ჰქონია, რადგან საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი ბატალიონი, რომელსაც ჰყავდა ბრიგადის ხელმძღვანელობა, რომელიც ამ ბატალიონს მართავდა. ფუნქციები ამ შტაბს არ წართმევია, საომარი მოქმედებების შემთხვევაში ის თავის ამოცანას დაიბრუნებს და სახმელეთო ძალების მართვაში მიიღებს მონაწილეობას. მხოლოდ ექნება არა დამგეგმარებლის, არამედ უშუალოდ შემსრულებლის ფუნქციები. დღეს მას სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია – დროებით დაევალა საზღვარგარეთ მყოფი, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ჩვენი ქვედანაყოფების მართვა, მათი ცვლის ჩატარება და ა.შ. რაც შეეხება კადრებს, გენერალური შტაბის სტრუქტურებში იყო ისეთი ხალხი, რომელთაც ძალიან დიდი ხელფასები და არავითარი პასუხისმგებლობა არ ჰქონდათ. ასეთი ხალხი, ბუნებრივია, შემცირებულ იქნა.

და კიდევ, იცით რა არის - შეუცდომელი ამ ქვეყანაზე არავინაა. შესაძლოა, რაიმე შეცდომა დავუშვი სტრუქტურულ რეორგანიზაციაში, მაგრამ ამ ყველაფერს ცხინვალის მოვლენებს რომ აბამენ, უსინდისობაა. და როცა ამბობენ, რომ გენშტაბს მონაწილეობა არ მიუღია დაგეგმარებაში, კარგად დაფიქრდნენ... გენშტაბი დაგეგმარებაში მონაწილეობას არ უნდა იღებდეს... ყველას უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია, სხვის ფუნქციებში და უფლებებში ჩარევას კი კარგი არაფერი მოაქვს, მით უმეტეს, სამხედრო საქმეში.

**- თქვენს უფლებებში თუ ერეოდა ვინმე? თქვენ თავად, როგორც გენერალური შტაბის უფროსი, რამდენად იმართებოდით მაღალი ეშელონებისაგან და გქონდათ თუ არა მოქმედების თავისუფლება?**

- მოქმედების თავისუფლებაზე საუბრისას კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რომ ბატალიონი მოქმედებდა. ჩემი ფუნქცია განისაზღვრებოდა იმით, რომ შექმნილი იყო საარტილერიო ჯგუფი და ამ ჯგუფით დახმარებას ვუწევდით ბატალიონს საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში. სხვანაირად მე ბატალიონის მოქმედებებში არ ვერეოდი. არც ჩემს ფუნქციებში ერეოდა ვინმე. ჩვენ ერთი ამოცანა გვქონდა, სხვა ამოცანა არ მიგვიღია – უნდა დაგვეცვა შემოვლითი გზა.

**- რა შეგიძლიათ თქვათ გენერალური შტაბის ახალ ხელმძღვანელზე ვახტანგ კაპანაძეზე? ის ხომ ექვსი თვის განმავლობაში თქვენი მოადგილე იყო...**

- არაფერი. აბსოლუტურად არაფერი. რა გითხრათ? სხვებისგან განსხვავებით, მე სხვებზე ლაპარაკი არ მიყვარს. არ მაინტერესებს. დრო გვიჩვენებს.

**- საუბარია თქვენს დანიშვნაზე სამხედრო ატაშედ რუსეთის ფედერაციაში. მოქმედი, ახალგაზრდა გენერლისთვის ეს, ცოტა არ იყოს, საპენსიო თანამდებობაა. თქვენ როგორ გესახებათ მომავალი სამხედრო კარიერა?**

- გამორიცხულია. მე სამხედრო ატაშედ არ წავალ. ატაშედ წასვლას პენსიაზე წასვლა მირჩევნია. ეს თანამდებობა მართლაც შემომთავაზეს, მაგრამ იმ პირს, ვინც ეს მითხრა, ალბათ, ჰგონია, რომ სამხედრო ატაშეს თანამდებობა ძალიან მაღალი თანამდებობაა. დამიჯერეთ, მე გამოვედი იმ ასაკიდან, რომ მაინცადამაინც პოლკოვნიკის თანამდებობაზე ვიყო, მით უმეტეს, რუსეთში... ჩემთვის ატაშეს თანამდებობა მიუღებელია. მე არაფერზე არა მაქვს გართულება. ზოგიერთებისგან განსხვავებით, რომელთაც თავი დიდი სამხედროები ჰგონიათ, მე ძალიან ბევრ თანამდებობაზე მიმსახურია. 37 წელია, ვმსახურობ... ვერ გეტყვით, რომ ძალიან დიდი პენსია მერგება, ეს ალბათ დაახლოებით 250 ლარი იქნება, მაგრამ ხელები ჯერჯერობით ჯანმრთელი მაქვს, თავიც, რამეს მოვიფიქრებ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე არავითარი პრობლემა არა მაქვს არანაირ თანამდებობასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის სიტყვა ჩემთვის კანონია და მომავალშიც ასე იქნება. იმ ექვსი თვის განმავლობაში, რაც მე გენერალური შტაბის ხელმძღვანელი ვარ, მარტო ერთი ფაქტი იყო საკმარისი – არ ვიცი, იყავით თუ არა 26 მაისის აღლუმზე და ნახეთ თუ არა უბრალო ხალხის თვალზე სიხარულის ცრემლი... მე ვნახე და ეს ჩემთვის საკმარისია...




## გადამხდელთა კავშირი განახლებას იწყებს

გადამხდელთა კავშირმა ახალი წესდება შეიმუშავა, რომლის პროექტი კავშირის ყველა წევრს უკვე დაურიგდა. ამის შესახებ ინფორმაციას კავშირის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე ავრცელებს. მისი თქმით, წესდების პროექტის განხილვის შემდეგ, კავშირში სერიოზული რეორგანიზაცია და სტრუქტურული ცვლილებები იგეგმება. საუბარია ახალი ტიპის ბიზნეს-ასოციაციის ჩამოყალიბებაზე.

ისაკაძის განცხადებით, აღნიშნული პროექტი ახალ პოსტულატებს შეიცავს, რომლებიც გადამხდელთა კავშირის სტრუქტურას და საწევრო გადასახადებს შეეხება.

აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, შეიქმნება დირექტორთა საბჭო, რომელიც მომავალში ამ ორგანიზაციის სტრატეგიულ და ტაქტიკურ ამოცანებს განსაზღვრავს.

გადამხდელთა კავშირი უახლოეს ერთ თვეში ყრილობის მოწვევას გეგმავს, რომელზეც ბიზნეს-ასოციაციის სახელის შეცვლაც არის მოსალოდნელი. ისაკაძეს მიაჩნია, რომ თანამედროვე ბიზნეს-ასოციაცია, გარკვეულწილად, უნდა თანამშრომლობდეს მთავრობასთან, პარლამენტთან და მონაწილეობას უნდა იღებდეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ახალი წესდების დამტკიცების შემდეგ, გადამხდელთა კავშირის ბაზაზე შეიქმნება მძლავრი ლობისტური ორგანიზაცია, რომელიც კანონმდებლობით დაშვებული ნორმების ფარგლებში აწარმოებს თავის საქმიანობას და სერიოზულ მხარდაჭერას და დახმარებას გაუწევს თავის წევრ ორგანიზაციებს.

**"ბიზნესს პრობლემები ბევრი აქვს და, ხშირ შემთხვევაში, უსამართლო. ჩვენი მხრიდან უახლოეს მომავალში ამის თაობაზე სერიოზული, ხმამაღალი განცხადებები გაიჟღერებს,"** - ამბობს ისაკაძე. მისივე ინფორმაციით, მთავრობის მიერ ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, შემოთავაზებული ბიზნეს-ომბუდსმენის პარალელურად, იგივე ინსტიტუტი იარსებებს კავშირის ფარგლებშიც. ისაკაძის განცხადებით, ბიზნეს-ასოციაციაში ომბუდსმენის არსებობა აუცილებელია. პრიორიტეტად ისაკაძე კავშირში ახალგაზრდა ბიზნესმენების მოზიდვას, მათ წარმოჩენას და მხარდაჭერას მიიჩნევს.

მისი განმარტებით, ფინანსური დახმარებები და ქველმოქმედება გადამხდელთა კავშირის პროფილი არ იქნება. დიფერენცირებული საწევრო შენატანები კავშირის გარკვეული ინიციატივების დაფინანსებას მოხმარდება. **"გადამხდელთა კავშირი იქნება სტრუქტურა, რომელიც თავის წევრებს მიხედავს და უპატრონებს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე აქტიურად ჩაებმება საქართველოში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში,"** – განაცხადა ისაკაძემ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "თბილქალაქგანათების" სამსახურმა საქართველოს სამხედრო გზის თბილისის მონაკვეთზე ახალი ეკონომიური სანათების დამონტაჟება დაიწყო და ეს სამუშაოები 15 ოქტომბრისთვის დასრულდება. მსგავსი სისტემა დამონტაჟდება, აგრეთვე, კახეთის გზატკეცილიდან (ე. წ. აეროპორტის ტრასა) ვიდრე ბარათაშვილის სახელობის ხიდამდე. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. პროექტი მსოფლიო ბანკმა მილიონი დოლარით დააფინანსა. "თბილქალაქგანათება" გარეგანათების დამონტაჟებას იწყებს, აგრეთვე, მარნეული-ზემო ფონიჭალის დასახლების გზაზეც. ეს სამუშაოები კი 10 ოქტომბრამდე შესრულდება და მას თბილისის ბიუჯეტი დააფინანსებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბერძნული ტვირთმზიდი გემი "ვასილიუს-16", რომელიც სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სამი თვის წინათ ფოთში დააკავეს, უკვე გათავისუფლებულია. გემის მეპატრონემ ქართული მხარის მიერ დაკისრებული ჯარიმა - 200 ათასი ლარი გადაიხადა და ფოთის პორტი 5 სექტემბერს დატოვა. ბერძნული გემი აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ პირველად ორი წლის წინათ შევიდა, რის შესახებაც ქართული მხარე ინფორმაციას ფლობდა. მაშინ მან სოხუმში საწვავი შეიტანა. სამი თვის წინათ კი, აღნიშნული მცურავი საშუალება ჩვეულებრივი რეისით ფოთის პორტში შევიდა და მისი დაპატიმრებაც სწორედ იქ მოხდა. სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, ბერძნულ გემს ტერიტორიულ წყლებში შეჭრის გამო 200 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. ბერძნულმა მხარემ ეს გადაწყვეტილება ჯერ ფოთის საქალაქო, შემდეგ კი ქუთაისის საოლქო სასამართლოებში გაასაჩივრა, თუმცა სარჩელი არ დაკმაყოფილდა. **მედია-ნიუსი**

# საქართველოს ენერგოსისტემა ზამთრისთვის ემზადება

*პარასკევს, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" მომხდარი ავარიის გამო, თბილისის გარეუბნებს ელექტროენერგიის მიწოდება თითქმის ერთი საათით შეუწყდა. როგორც ხაზის მფლობელი კომპანიის "საქრუსენერგოს" გენერალურმა დირექტორმა შოთა მაისურაძემ განაცხადა, ხაზზე მომხდარი ავარიის მიზეზი, სავარაუდოდ, ჭექა-ქუხილი იყო. ხაზზე მომხდარ ავარიას, წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, ენერგოსისტემის პარალიზება არ გამოუწვევია. ხსენებულ ელექტროგადამცემ ხაზზე პროფილაქტიკური სამუშაოები ადრევე იგეგმებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ავარიის ფაქტმა გეგმა აუცილებლობად აქცია. მთლიანობაში კი, საქართველოს ენერგოსისტემა უკვე აქტიურად ემზადება მოახლოებული ზამთრის სეზონისთვის.*

დიანა ჩაჩუა

საქართველოს მოსახლეობა დასვენების დღეებში ელექტროენერგიას შეზღუდვით იღებდა. როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მთავარმა დისპეტჩერმა უჩა უჩანეიშვილმა განაცხადა, შაბათ-კვირას გადამცემ ხაზ "იმერეთზე" პროფილაქტიკური სამუშაოები მიმდინარეობდა, რის გამოც ორი დღის განმავლობაში თბილისს ელექტროენერგია 20-25 პროცენტის, ხოლო "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას", აჭარისა და კახეთის ენერგოკომპანიებს 70-80 პროცენტის შეზღუდვით მიეწოდებოდა. ორი დღის განმავლობაში შეზღუდვები მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებზე - რკინიგზაზე, აეროპორტებზე და პორტებზე არ ვრცელდებოდა.

როგორც უჩანეიშვილმა განაცხადა, დღეიდან, სამი დღის განმავლობაში, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე იგეგმება, რის გამოც ელექტროენერგიის მიწოდება რეგიონებს 50 პროცენტით შეეზღუდებათ.

უკვე სახეზეა, რომ საქართველოს ენერგოსისტემა ზამთრისთვის აქტიურად ემზადება. აღსანიშნავია, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოსახლეობა, ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიის გარდა, რუსეთიდან და სომხეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიას მიიღებს.

ამასთან, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული სიმძლავრეების და მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიის იმპორტის გათვალისწინებით, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გადამხდელი მომხმარებლის უწყვეტი ელექტრომომარაგების პირობას იძლევა.

როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, ენერგორესურსების შემოდგომა-ზამთრის პროგნოზი მთავრობას იმის თქმის საშუალებას აძლევს, რომ თბილისის ელექტრომომარაგება 24-საათიანი იქნება, ხოლო რეგიონებს ელექტროენერგია მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებლების პროპორციულად მიეწოდებათ.

შარშანდელთან შედარებით, ენერგეტიკის სამინისტრო ადგილობრივი სიმძლავრეების ზრდასაც ვარაუდობს. კერძოდ, იანვარში ენგურჰესზე 260 მეგავატის სიმძლავრის მე-5 აგრეგატი ამუშავდება. სამინისტრო ასევე აცხადებს, რომ "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის" კუთვნილ თბილსრესის მე-9 ენერგობლოკის ამუშავებას პრობლემა არ შეექმნება. თუმცა, ბლოკის მეპატრონეები 1 ოქტომბრიდან ენერგოობიექტის ამუშავებისათვის ელექტროენერგიის ბაზრის 53-მილიონიანი დავალიანების გასტუმრებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ბლოკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის შესაძენი თანხები არ ექნებათ.

რაც შეეხება რუსეთიდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, შარშანდელი წლისაგან განსხვავებით, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებმა იმპორტი საკუთარი სახსრებით უნდა აწარმოონ. შეგახსენებთ, რომ გასულ ზამთარს საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულება გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის კრედიტით აანაზღაურა.

ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონს", რომელიც საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებლად ითვლება, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტისთვის ამზადებენ. ამჟამად ელექტროგადამცემი ხაზის 400-კილომეტრიან მონაკვეთზე რვა ბრიგადა სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. რემონტი, სავარაუდოდ, 20 სექტემბრისთვის დასრულდება.

დღეს "კავკასიონზე" მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასათვალიერებლად, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის ვიზიტი იგეგმებოდა. თუმცა, როგორც სამინისტროში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოში არსებული უამინდობის გამო ვიზიტი გადაიდო.

ხვალ კი ნიკა გილაური მოსკოვში გაემგზავრება. წინასწარი ინფორმაციით, იგი რუსეთის ენერგოკომპანიებისა და ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრებს გამართავს.

# "ნოკია" დაკარგულ პოზიციებს იბრუნებს

თორნიკე შარაშენიძე

2004 წლის მეორე კვარტალში მობილური ტელეფონების გაყიდვის მოცულობა 35 პროცენტით გაიზარდა. მსოფლიო მასშტაბით, 156 მილიონი ცალი აპარატი გაიყიდა. გაყიდვათა ზრდა დაფიქსირდა არა მხოლოდ ლათინურ ამერიკაში, რუსეთსა თუ აღმოსავლეთ ევროპაში (სადაც იზრდება თავად მობილურების მომხმარებელთა რიცხვი) აშშ-სა და ევროპაშიც, რისი მიზეზიც ახალი მოდელების გამოჩენაა. ამ გამოცოცხლების ფონზე, კვლავ გრძელდება ბრძოლა მობილური ტელეფონების უმსხვილეს მწარმოებელ "ნოკიასა" და მის უახლოეს მდევრებს, "მოტოროლასა" და "სამსუნგს შორის.

"ნოკიამ" მეორე კვარტალში ფასები დასწია, რის ხარჯზეც დაიბრუნა პირველ კვარტალში დაკარგული პოზიციები ბაზარზე, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დაიბრუნა ის პოზიციები, რაც გასული წლის მეორე კვარტალში ჰქონდა.

"მოტოროლას" კარგი შედეგები ჰქონდა ჩრდილო და ლათინურ ამერიკაში, მაგრამ ბაზრის წილი დაკარგა ჩინეთში. თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთში "მოტოროლა" მალე ახალ, ერთდროულად ჯიესემის და ჯიპიარსის სისტემებზე მომუშავე მოდელს გამოუშვებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჩავარდნაც დროებითია.

მომხმარებლებში უკვე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ციფრული ფოტოკამერებით აღჭურვილი ტელეფონები. აქამდე ამ სიახლეს ბაზარზე გზის გაკვლევა უჭირდა. მაგრამ, შედარებით გაიაფებასთან და ელემენტის ეკონომიურობის გაზრდასთან ერთად, კამერიანი აპარატები სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენენ და მომავალ წელს ამის ხარჯზე გაყიდვები, ალბათ, კიდევ უფრო გაიზრდება.

წელს კი, მსოფლიოს მასშტაბით გაყიდული მობილურების რაოდენობა, სავარაუდოდ, 650 მილიონ ცალზე ავა.

ბაზრის ლიდერები 2004 წლის მეორე კვარტლის შედეგების მიხედვით:

"ნოკია" 43,6 მილიონი (29,7 პროცენტი)

"მოტოროლა" 24,6 მილიონი (15,8 პროცენტი)

"სამსუნგი" 18,9 მილიონი (12,1 პროცენტი)

"სიმენსი" 10,8 მილიონი (6,9 პროცენტი)

"სონი ერიქსონი" 10,3 მილიონი (6,6 პროცენტი).

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank



ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი ეპვე წლიური 13%-დან

გრძელვადიანი ეპვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

ეპვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე

პროკრედიტ ბანკი – ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

# ჯორჯ ბუში საპრეზიდენტო მარათონში წინ გაიჭრა

*აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორ თვეზე ნაკლებია დარჩენილი. აქამდე გამოკითხვების შედეგად ჯორჯ ბუშისა და ჯონ კერის რეიტინგებს შორის მხოლოდ მცირეოდენი განსხვავება ფიქსირდებოდა. დღეისათვის ორივე პარტიამ ჩაატარა ყრილობები და ოფიციალურად დასახელდნენ კანდიდატები. თუ დემოკრატთა ეროვნული ყრილობის შემდეგ კერის უპირატესობა დაფიქსირდა, ორიოდე დღის წინ, რესპუბლიკელთა გრანდიოზული ყრილობის დასრულების შემდეგ, პირველად კამპანიის მსვლელობისას, ჯორჯ ბუშის ორნიშნა უპირატესობა აღინიშნა.*

შაბათს ჟურნალ "ნიუსვიკ"-ის მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებამ, ჯონ კერისთან შედარებით, პრეზიდენტ ბუშის 11 პროცენტიანი უპირატესობა დაადასტურა. როგორც ჩანს, რესპუბლიკელთა ყრილობა უდავოდ წარმატებული აღმოჩნდა თეთრი სახლის ამჟამინდელი ბინადრისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის მსვლელობის მანძილზე არ ცხრებოდა მრავალათასიანი გამოსვლები ნიუ-იორკის ქუჩებში.

ხუთშაბათს და პარასკევს "ნიუსვიკ"–მა 1008 ამომრჩეველი გამოკითხა. ჟურნალის ცნობით, გამოკითხულთა 52 პროცენტი ჯორჯ ბუშს უჭერს მხარს, კერის მომხრე კი მხოლოდ 41 პროცენტი აღმოჩნდა. დამოუკიდებელ კანდიდატ რალფ ნადერს გამოკითხულთა 3-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. სავარაუდოდ, გამოკითხვის ცდომილება 4 პროცენტამდე მერყეობს.




აღნიშნულმა გამოკითხვამ, 5-10 აგვისტოს პრინსტონის გამოკითხვების კვლევის საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვასთან შედარებით, ბუშის რეიტინგის 13 პროცენტიანი ზრდა დააფიქსირა. გამოკითხვები აქამდე უჩვენებდა, რომ თვეების განმავლობაში ძირითად კონკურენტებს შორის განსხვავება ძალიან უმნიშვნელო იყო.

"ნიუსვიკ"-ის გამოკითხვის შედეგად, იმ დროს, როცა მოსახლეობის 49 პროცენტს არ მოსწონს ქვეყნის განვითარების კურსი, 43 პროცენტისგან განსხვავებით, ბუშის მმართველობით მაინც 52 პროცენტია კმაყოფილი. ეს მონაცემი 7 პუნქტითაა გაზრდილი, ჟურნალის ბოლო, ივლისში ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ. 2004 წლის საარჩევნო კამპანიის პერიოდში პირველად მოხდა, რომ ამ მაჩვენებელმა 50 პროცენტს გადააჭარბა.

გამოკითხულ ამომრჩეველთა 53 პროცენტი თანახმაა, ბუში კვლავ იხილოს პრეზიდენტის პოსტზე. უკანასკნელად ამერიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა ბუშმა 2003 წლის მაისში მოიპოვა, აღნიშნულია "ნიუსვიკში".

ამომრჩეველთა 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბუში კარგად ართმევს თავს ტერორიზმთან ბრძოლისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, მაშინ როცა 32 პროცენტის აზრით, ამის უკეთ გაკეთება კერის შეუძლია. ბუში თავის მოწინააღმდეგეს საგარეო პოლიტიკის წარმოების მაჩვენებლითაც სჯობნის – 54 პროცენტი, 38 წინააღმდეგ. ასევე ბუშს უპირატესობა აქვს ერაყის საკითხშიც – 55 პროცენტი, 37-ის საპირისპიროდ, და ეკონომიკა – 49 პროცენტი, 43-ის წინააღმდეგ.

მხოლოდ ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვაა ის სფეროები, სადაც რესპონდენტებს ჯონ კერი უფრო კომპეტენტურად მიაჩნიათ.

კვლევის სფეროში შედიოდა იმის გარკვევაც, თუ რომელ საკითხს აყენებს ამერიკელი ამომრჩეველი პირველ რიგში არჩევანის გაკეთების დროს. გამოკითხვის შედეგად პირველ ადგილზეა ტერორიზმი და ქვეყნის უსაფრთხოება – 28 პროცენტი; მეორეზე ეკონომიკა – 21 პროცენტი; მესამეზე ჯანდაცვა - 13 პროცენტი და მხოლოდ მეოთხე ადგილს იკავებს ერაყში არსებული ვითარება - 11 პროცენტი.

# კამიკაძე-ტერორისტები: იაფი და პრაქტიკული საქონელი

*ტერორიზმი ყველა საჭირო ატრიბუტით აღჭურვილი ბიზნესია: არსებობს საქონელი, ფასი, მოთხოვნა და მიწოდება. რა ღირს დღეს ტერორისტული აქტის განხორციელება? იმისათვის, რომ რამდენიმე ათეული ადამიანი განადგურდეს ან ხეიბარი დარჩეს, როგორც ჩანს, 150 დოლარიც საკმარისია. ზუსტად ამდენი ღირს ბომბი, რომელსაც ტერორისტი-კამიკაძეები იყენებენ. თუმცა, ტერაქტის ღირებულება, შესაძლოა, 1 მილიონ დოლარამდეც აღწევდეს. დაახლოებით ასეა შეფასებული აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტი. ერთი კი ფაქტია, რომ რაც არ უნდა მცირე იყოს დანახარჯი, ზარალი გაცილებით კოლოსალურია და რამდენიმე ათეულ მილიარდსაც აღწევს.*

ლევან ბელაშვილი

## მთავარი რგოლი სპონსორია

ჩვეულებრივ წარმოდგენაში კამიკაძე-ტერორისტი მარტოხელაა. მაგრამ, სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ მოსიარულე ბომბი მრავალი ადამიანის "შრომის ნაყოფია". მათთვის ცალკეული თვითმკვლელი არა საცალო საქონელი, არამედ მასობრივი წარმოების პროდუქტი გახლავთ.

ყველაფერი **გადამბირებლით** იწყება. 1990-იან წლებში რელიგიური ტერორისტული ორგანიზაციები – "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადი" - თვითმკვლელთა ძირითად კონტინგენტს მეჩეთებში პოულობდნენ. დღეს, როდესაც კამიკაძეებს არარელიგიური ორგანიზაციებიც იყენებენ ("ფათჰი" ან "პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი"), გადაბირება ნებისმიერ ადგილას შეიძლება მოხდეს – სკოლაში, რესტორანში, საავადმყოფოში და საბავშვო ბაღშიც კი.

ქვეყნების მიხედვით კამიკაძეების გადაბირებას გარკვეული თავისებურებებიც გააჩნია. მაგალითად, ჩეჩნეთში, არცთუ იშვიათად, საკუთარი ოჯახის წევრებსაც ყიდიან. დუბროვკაზე განხროციელებული ტერაქტის გამოძიებისას გაირკვა, რომ ერთ-ერთმა ტერორისტმა, რომელიც იმავდროულად გადამბირებელიც იყო, თავისი ორი და გაყიდა. ამასთან, თითოეულის "ღირებულებამ" სულ რაღაც 1500 დოლარი შეადგინა.

ტერორისტულ ბაზარზე დასაქმებულთა ჯაჭვში შემდეგი რგოლი **ინფორმატორი** გახლავთ. ეს პიროვნება თავად პოულობს სამიზნეს და ობიექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას აგროვებს. პოტენციური სამიზნეების არჩევა შემთხვევით არ ხდება. ნებისმიერი ტერაქტის დროს არსებობს გეგმა, რომელშიც თითოეულის როლი მკაფიოდ განსაზღვრულია. თავად ბომბს ან მის კომპონენტებს **ინჟინერი** ამზადებს. იგი ითვლის ასაფეთქებლის მასას და დარტყმითი ტალღის ძალას. კიდევ ერთი პიროვნება – უშუალო **ორგანიზატორი**, ტერაქტის ყველა დეტალს აკონტროლებს. როგორც წესი, ორგანიზატორი ტერორისტული დაჯგუფების შუა რგოლის აქტივისტი, ე.წ. საველე მეთაური გახლავთ.

და ბოლოს, ამ ჯაჭვში ყველაზე მთავარი ადამიანი **სპონსორია**. ეს არის პიროვნება, რომელიც იხდის ფულს და არ მოითხოვს ქაღალდზე გაწერილ ხარჯთაღრიცხვას. მისთვის ტელევიზორში და გაზეთის ფურცლებზე რაც შეიძლება სისხლიანი სურათის ხილვაა მთავარია.

რა თქმა უნდა, ეს მკაცრი სტრუქტურა არ გახლავთ. შესაძლოა, ერთი და იგივე ფუნქცია მხოლოდ ერთმა ადამიანმა შეასრულოს, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი ფუნქციის შესასრულებლად რამდენიმე ადამიანი მუშაობს.

ისრაელის სპეცსამსახურები ყველაზე საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციად "ჰამასს" მიიჩნევენ. მასში საუკეთესო სპეციალისტებია თავმოყრილი. ექსპერტთა მტკიცებით, "ჰამასის" მიერ მომზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა გაცილებით მძლავრი და ნატიფია, ვიდრე "ისლამური ჯიჰადისა" და "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" მიერ შექმნილი ნაღმები. მათ "ჰესბოლას" სპეციალისტებიც ეხმარებიან. ზუსტად მათ აკისრიათ ყველა დეტალის გათვლა, ჭანჭიკების ზომისა და სახეობის ჩათვლით, რომელსაც ასაფეთქებელ მოწყობილობაში უფრო მეტი ზიანის მიყენების მიზნით ათავსებენ.

"ჰამასში" გადამბირებლის, ლიდერისა და დამნაღმველის გარდა, არსებობს "**სატრანსპორტო განყოფილებაც**", რომელსაც კამიკაძეების ადგილზე მიყვანა აკისრია.


*მსოფლიოში კამიკაძე-ტერორისტების ფენომენი სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს და მრავალი სახელმწიფოს სერიოზული შეშფოთების საფუძველს წარმოადგენს.*

## ფსონები თვითმკვლელებზე

ქვეყნებში, სადაც ტერორიზმი თითქმის ეროვნულ პოლიტიკად იქცა, მრწამსისათვის განწირული ადამიანების ოჯახებს საკმაოდ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევენ. ძირითადად, ის სპეციალური ფონდები იხდიან, რომლებიც ტერორისტულ ორგანიზაციებს აფინანსებენ. თანხები განსხვავებულია – რამდენიმე ათასი დოლარით დაწყებული - ასტრონომიული ციფრებით დამთავრებული. თუ ისრაელის ჯარები კამიკაძე-ტერორისტის სახლზე მიიტანენ იერიშს, მაშინ მის მშობლებს ისეთ თანხას უხდიან, რომლითაც რამდენიმე სახლის ყიდვაა შესაძლებელი.

ტერორიზმის "ბაზარზე" ფასები დიდი ხნის წინ დადგინდა და საკმაოდ მყარია. ამდენად, დაქირავებულმა წინასწარ იცის, თუ რა ღირს სახლის, ავტობუსისა თუ მანქანის აფეთქება. ჩეჩნეთში დღეისათვის ერთი ფუგასის ღირებულება ასიდან ხუთას დოლარამდეა. იყიდება ყველაფერი ხელყუმბარებისა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ჩათვლით. როგორც წესი, საქონლის მიმწოდებლები თავად რუსი სამხედროები არიან. მაგალითად, ორი ხელყუმბარა, შესაძლოა, რამდენიმე კოლოფი სიგარეტის სანაცვლოდ შეიძინო.

ნაღმზე ძვირი თავად ტერორისტის შრომაა. ერაყში ტანკის აფეთქებაში 700 დოლარს იხდიან, ჯავშანმანქანაში – 200-300 დოლარს, ხოლო ვერტმფრენში – რამდენიმე ათას დოლარსაც კი. ჩეჩნეთში ყველაზე "მაღალანაზღაურებადი" პროფესია სნაიპერია. ამ დროს, ჯარისკაცის სიცოცხლე 50 დოლარად არის შეფასებული, ოფიცრისა კი – 200 დოლარად. ჯავშანტექნიკის აფეთქებაში 600 დოლარს იხდიან, ხოლო ვერტმფრენისა და თვითმფრინავის ჩამოგდებით სახლის ყიდვაც შეიძლება და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ხშირად ჩეჩნეთის ფარგლებს გარეთ.

## თვითმკვლელი - უძველესი პროფესია

იმის მტკიცება, რომ ტერორიზმი დღევანდელობის პირმშოა, სიმართლეს არ შეესაბამება. ისტორიკოსები ტერორისტული დაჯგუფებების პირველად გამოჩენას ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით ათარიღებენ. პალესტინაში არსებობდნენ ჯგუფები, რომლებსაც სიკარიები ეწოდებოდათ. კერძოდ, ეს გახლდათ სექტები, რომელთა წარმომადგენლებიც მცირე ზომის დანებსა და დაშნებს ტანსაცმლის ქვეშ მალავდნენ და იროდების დინასტიის წევრებს კლავდნენ. ამასთან, მკვლელობა მხოლოდ და მხოლოდ დღისით, ზეიმის დროს, ხალხმრავლობისას ხდებოდა. ითვლებოდა, რომ სწორედ ამგვარად იყო შესაძლებელი საქმის გაკეთება და დაუსჯელად დარჩენა. მკვლელობის გარდა, სიკარიები წვავდნენ ხორბლის საწყობებს, სასახლეებს და ანადგურებდნენ წყალგაყვანილობას.

ტერმინი "ტერორიზმი" უფრო ფართო ხმარებაში მე-17 საუკუნის ბოლოს შევიდა. საფრანგეთის რევოლუციის დროს იაკობინელები თავიანთ რეპრესიებს ასე უწოდებდნენ. ჩვენ დროში კი ტერორისტები ადამიანების ჯგუფებია, რომლებიც მასობრივი ძალადობით თავიანთი მიზნების (ხშირად არაპოლიტიკური მიზნების) მიღწევას ცდილობენ. ბოლო წლებმა დაადასტურა, რომ "იდეოლოგიური" ტერორისტების რიცხვი კლებულობს, ხოლო "რელიგიურისა" მატულობს. წინა საუკუნის 60-იან წლებში არსებობდა ე.წ. მემარცხენე ტერორიზმი – იაპონური "წითელი არმია", იტალიური "წითელი ბრიგადა", გერმანული "წითელი არმიის ფრაქცია".

ბიზნესი ბიზნესია და ცივი ომის დასრულების შემდეგ მარქსისტული და ანტიკაპიტალისტური ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსება შეწყდა. გადარჩა მხოლოდ ერთი მსგავსი ორგანიზაცია – პერუს რევოლუციური მოძრაობა "თუფაქ ამარუ".

გასული საუკუნის ბოლოსთვის ტერორისტულ დაჯგუფებებში ლიდერობას რელიგიური ორგანიზაციები აღწევენ. ამასთან, ყველაზე სახიფათოდ ისლამური ტერორიზმის წარმომადგენლები ითვლებიან. მათ შესახებ 50-60-იანი წლების ეგვიპტეში სერიოზულად ალაპარაკდნენ. დღეისათვის ისლამური ტერორიზმი მსოფლიო მასშტაბებს აღწევს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყანაში 29 ტერორისტული ორგანიზაცია დაასახელა, რომელთაგან 11 ისლამურია.

და მაინც, რისთვის იხდიან ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების სპონსორები უზომოდ დიდ თანხებს? რა თქმა უნდა, პოლიტიკისათვის, მომავალი ძალაუფლებისათვის. დღეისათვის რამდენიმე განსხვავებული ტერორისტული ორგანიზაციის ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების ტენდენციაც შეინიშნება. მას "ისლამის მსოფლიო არმია" ეწოდება. მასში ერთიანი დაფინანსების სისტემა, ერთი შტაბი და ერთი სტრატეგია არსებობს. მთავარი მოწინააღმდეგე კი მდიდარი დასავლეთი და მისი ფინანსური რესურსები გახლავთ.

## დარტყმითი ტალღა

კამიკაძეები ასევე გუშინდელი დღის გამოგონება არ გახლავთ. ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში არსებობდნენ ისლამის მებრძოლები, რომელთაც "ასასინები" (მკვლელები) ეწოდებოდათ. ისინი არა მარტო თავიანთ მტრებს კლავდნენ, არამედ თავადაც შეგნებულად კვდებოდნენ. უკვე ჩვენ დროში, 1980-იანი წლების დასაწყისში, უფრო ხშირად ხორციელდებოდა ტერაქტები, რომლის შემსრულებლებიც თავადვე იღუპებოდნენ. ეს ლიბანში, შრი-ლანკასა და ქუვეითში დაიწყო. 90-იან წლებში ამგვარი პრაქტიკის გეოგრაფია გაფართოვდა და თურქეთს, ხორვატიას, არგენტინას, ტანზანიას, კენიას, ისრაელს, პანამას, ალჟირსა და პაკისტანს მოიცავდა.

დღეისათვის კამიკაძის მომზადებას მსოფლიოში ათი რელიგიური და საერო ტერორისტული დაჯგუფება აწარმოებს. ახალ მეთოდებზე ამგვარ გადასვლას თავისი ეკონომიკური საფუძვლებიც გააჩნია. კამიკაძის მომზადება გაცილებით იაფია, ვიდრე თავად ტერორისტული აქტის მომზადება. ამ შემთხვევაში ჯგუფის უკან დახევაზე დიდძალი თანხის გადახდა საჭირო აღარაა. ამასთან, ტერაქტის ჩაშლა, ფაქტობრივად, გამორიცხულია. იმავდროულად, ნგრევის მასშტაბები და მსხვერპლის რაოდენობა მატულობს. ფაქტია, რომ კამიკაძეს იქ შესვლა შეუძლია, სადაც მთლიანი ჯგუფი ვერ შევა.

არსებობს სხვა პლიუსებიც. კამიკაძე იღუპება და სამარეში მიაქვს ინფორმაცია თანაშემწეების, დამკვეთების და გეგმების შესახებ. ანუ, ტერაქტის გახსნის შანსები მინიმუმამდეა დაყვანილი. იმავდროულად, თვითმკვლელი ტერორისტის არსებობა საზოგადოებას აჰიპნოზებს და აშინებს. "ორფეხა ბომბი" ხოცავს ერთეულებს და ფსიქოლოგიურად ასახიჩრებს მილიონებს, იმათაც კი, ვინც მრავალი კილომეტრითაა ტერაქტის ადგილიდან დაშორებული: სად არის იმის გარანტია, რომ ადამიანი, რომელიც თქვენთან ერთად მეტროს ვაგონში ან ავტობუსში მგზავრობს, კამიკაძე არაა?

ერთი სიტყვით, კამიკაძეების მომზადებაზე გადასვლა იაფი და პრაქტიკულია. ეს პროცესი ჯერ-ჯერობით ძალებს იკრებს. ტერორიზმის იდეოლოგები დარწმუნებული არიან, რომ "ნედლეულის" ნაკლებობა მათ არ ემუქრებათ. ტერორის წინააღმდეგ მებრძოლებიც იგივეს ფიქრობენ. მთავარია, ვინ დაასწრებს ამ სასიკვდილო დუელში.

bp | btc | SCP South Caucasus Pipeline | gtz Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

**მოთხოვნა წინადადებების წარდგენაზე**
**დასუფთავების აქციების ჩატარების და ნაგავსაყრელების მოწესრიგების პროგრამა ბორჯომის რეგიონში**

.ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) ოპერატორი კომპანია ბი-პი-ს ინიციატივითა და დაფინანსებით

პროექტის განმხორციელებელი გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოება -საერთაშორისო სერვისები **(GTZ IS)** ბორჯომის რაიონის გამგეობასთან შეთანხმებით იწვევს დაინტერესებულ კერძო კომპანიებს, მონაწილეობა მიიღონ სატენდერო პროცესში პროექტზე:

**მყარი ნარჩენების მოკლევადიანი პროგრამა ბორჯომის რეგიონში**

გამოქვეყნების თარიღი: **7 სექტემბერი 2004**
კონკურსის დახურვის თარიღი და დრო: **22 სექტემბერი 2004 წ, 15:00 სთ თბილისის დროით**

პროექტის მიზანია სანიტარული მდგომარეობის და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება ბორჯომსა და ბაკურიანში, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით:
- უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვა, გაწმენდა და ტერიტორიების რეაბილიტაცია,
- არსებული ნაგავსაყრელების და მათთან მისასვლელი გზების მოწესრიგება,
- ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელების ოპერირებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმებისა და აღჭურვილობის შეძენა,
- პერსონალის ტრეინინგი და ინსტრუქტაჟი,
- საზოგადოების ინფორმირების კომპანიის წარმართვა, ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართვის მიზნით,

პროექტის საქმიანობის სფერო, ამ მოწვევის ფარგლებში, მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:
1. დასუფთავების აქცია ბორჯომში,
2. დასუფთავების აქცია ბაკურიანში,
3. ბორჯომის ნაგავსაყრელის და მასთან მისასვლელი გზის მოწესრიგება,
4. ბაკურიანის ნაგავსაყრელის და მასთან მისასვლელი გზის მოწესრიგება.

პრეტენდენტებს, რომელთაც სურთ, მიიღონ დამატებითი ახსნა-განმარტება და კომენტარები, შეუძლიათ მიმართონ:
ბ-ნ იური მაისაშვილს
ტელეფონი: 8 93 674 809
ფაქსი: 8 32 420 990
ელფოსტა: borjomi@hotmail.com

სრულად შევსებულ, გაფასებულ და თითოეულ გვერდზე ხელმოწერილ განაცხადთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:
1. პრეტენდენტის სამართლებრივი რეგისტრაციის დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
2. დოკუმენტები, რომლებიც დაამტკიცებს პრეტენდენტის კვალიფიკაციას, გამოცდილებას და საიმედოობას;
3. მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, რომლებიც გამოყენებული იქნება სამუშაოების შესრულებისას;
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის წინაშე;
5. პრეტენდენტის დეკლარაცია (განცხადება) ტენდერში მონაწილეობის თაობაზე.

პრეტენდენტი პასუხისმგებელია წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პრეტენდენტი ვალდებულია, ჩააბაროს დამკვეთს განაცხადი, შევსებული სახით, ყველა თანდანართულ დოკუმენტთან ერთად, დასრულებული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, დაბეჭდილი კონვერტით, შემდეგი სახის მკაფიო წარწერით:
"განაცხადი დასუფთავების აქციებისა და ნაგავსაყრლების მოწესრიგების თაობაზე ბორჯომის რეგიონში"

განაცხადის შეტანის მსურველებს შეუძლიათ წინადადების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაციის წაღება 2004 წლის 7 სექტემბრიდან შემდეგი პუნქტიდან:

**გერმანიის ტაქნიკური დახმარების საზოგადოების (GTZ) ოფისი,**
**თბილისი, 0160, შარტავას ქ. 41,**
**(საბურთალოს ბაზრის გვერდით)**
**ან**
**ბი-პი-ს ბორჯომის საინფორმაციო ცენტრი**
**რუსთაველის ქ. 129**
**ბორჯომი, საქართველო**

პრეტენდენტების ვალდებულებები განაცხადთან დაკავშირებით ძალაშია 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**7 სექტემბერს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
დიდი დიღმის III და IV მიკრორაიონების, პეტრიწის, გიორგი ბრწყინვალეს, დიმიტრი თავდადებულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

## დღეს რიკოთის გვირაბი დაიკეტა

საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს, რომ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით (სავალი ნაწილის შეკეთება-აღდგენა, განათებისა და სავენტილაციო სისტემების პროფილაქტიკა, თვალამრეკლების დამონტაჟება), ამა წლის 6 სექტემბრის 10 საათიდან, 9 სექტემბრის 20 საათამდე დაიკეტება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 142 კმ-ზე მდებარე რიკოთის საუღელტეხილო გვირაბი. ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დაშვებულია შემოვლითი გზით.

***საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესცენტრი***


### სააქციო საზოგადოებების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს **"სამეთვალყურეო საბჭოს როლი კორპორაციულ მართვაში"**. სემინარის თემებია:

1. სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და საქმიანობის წესი ქართული კანონმდებლობის მიხედვით
2. სამეთვალყურეო საბჭო - საუკეთესო პრაქტიკა.

სემინარი გაიმართება ა.წ. 14 სექტემბერს 10:00-ზე საბანკო-საფინანსო აკადემიის შენობაში (დ. აღმაშენებლის 123, II სართული).

სემინარი განკუთვნილია მხოლოდ სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის.

სემინარზე დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 91 30 96, 91 26 89, 91 29 58.

### სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ:** 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**ნარკოლოგიის განყოფილება**
**ტელ:** 32 21 21

- ყველა სახის ნარკომანიის მკურნალობა;
- ალკოჰოლური აბსტინენციის მოხსნა;
- თამბაქოსაგან მყარი თავშეკავების მიღწევა;

**თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11**





# საჭიროა თუ არა აკრედიტაცია კერძო უმაღლესი სასწავლებლებისათვის?

ნინო ცინცაძე

*მომავალი წლიდან საქართველოში ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდები ჩატარდება. თუმცა ყველა უმაღლესი სასწავლებელი არ იქნება ვალდებული ამ ერთიან პროცესს შეუერთდეს, ზოგიერთს კი ამის საშუალება, ალბათ, არც მიეცემა. საქმე იმაშია, რომ გამოცდის ამ სისტემაში ჩართვის უფლება მხოლოდ იმ უმაღლეს სასწავლებლებს მიეცემათ, რომლებიც 2004 წლის ბოლომდე აკრედიტაციის პირველ, გამარტივებულ ეტაპს გაივლიან.*


ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*ყველა უმაღლესი სასწავლებელი არ არის ვალდებული ერთიან ეროვნულ გამოცდებს, შესაბამისად კი საკრედიტაციო პროცესს შეუერთდეს.*

აკრედიტაციის ამ ნაწილის მთავარი მიზანი უმაღლესებში ელემენტარული სასწავლო პირობების გასინჯვა იქნება, რაც სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენას მოემსახურება. აკრედიტაციით ის კი არ გაირკვევა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს დღეს ამა თუ იმ სასწავლებელში რეალურად, არამედ რამდენი უნდა სწავლობდეს წესით. ამ პროცესის მექანიზმი ასეთი იქნება: აკრედიტაციის გავლის მსურველ უმაღლეს სასწავლებლებს საკრედიტაციო კომისიის მიერ თვითშეფასების კითხვარი გაეგზავნება. შემდეგ შევსებული კითხვარის საფუძველზე საკრედიტაციო კომისია შეამოწმებს, მართლაც ეტევა, თუ არა, მოცემული უმაღლესი სასწავლებლის მოცემულ აუდიტორიაში, მაგალითად, 20 სტუდენტი, რამდენი მოსწავლის ადგილია ბიბლიოთეკაში და ა.შ. რაც შეეხება პროგრამულ აკრედიტაციას, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განგვიმარტეს, მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო შემდგომში მხოლოდ იმ პროგრამების აკრედიტაციას ჩაატარებს, რომლებიც მის უშუალო ინტერესს წარმოადგენენ. ესენი იქნებიან: სამედიცინო, პედაგოგიური და იურიდიული სპეციალობები. დანარჩენი კი უკვე თავად უმაღლესი სასწავლებლების საქმე იქნება. თუ ისინი მოინდომებენ მათი პროგრამების შესაბამისობა დადგინდეს ევროპულ, აშშ ან სხვა რეგიონის საგანმანათლებლო სტანდარტებთან, მათ თავადვე უნდა შეუკვეთონ საკრედიტაციო სამსახურს ამის გაკეთება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა უმაღლესი სასწავლებელი არ არის ვალდებული ერთიან ეროვნულ გამოცდებს, შესაბამისად კი საკრედიტაციო პროცესს შეუერთდეს. ამის გამო კერძო უმაღლეს სასწავლებელს არსებობის უფლებას ვერავინ აუკრძალავს. კერძო ლიცენზირებულ უმაღლეს სასწავლებლებს ისევე დარჩებათ ერთიანი სტანდარტის სახელმწიფო დიპლომის გაცემის უფლება, როგორც დღემდე ჰქონდათ. მაგრამ აქ თავს საქმის სხვა გარემოება იჩენს: ის, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი ერთიანი სტანდარტის სახელმწიფო დიპლომს გასცემს, არ ნიშნავს, რომ მას სახელმწიფო ავტომატურად აღიარებს. დიპლომის გარეგნული ფორმა, მართალია, განსხვავებული არ იქნება, მაგრამ ქვეყანაში იარსებებს აკრედიტირებულ უნივერსიტეტთა სახელმწიფო რეესტრი. ეს კი ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, სახელმწიფო სამსახურში არააკრედიტირებულ უმაღლესი სასწავლებლების დიპლომიან სტუდენტებს არ მიიღებენ. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროში მზადდება კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება მხოლოდ აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ექნებათ.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, აკრედიტაციის გავლის სურვილი კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შემდეგი გარემოების გამოც უნდა გაუჩნდეთ: როდესაც სახელმწიფო აბიტურიენტს გრანტს მისცემს, იგი მას არ დაავალდებულებს, რომ მან ეს ფული მაინცდამაინც სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში გამოიყენოს. აბიტურიენტს ეძლევა უფლება სახელმწიფო გრანტი ნებისმიერ სასწავლებელში განათავსოს, კერძო იქნება იგი, თუ სახელმწიფო. მაგრამ სახელმწიფო ფონდებისაგან ფულის მიღების საშუალება მხოლოდ იმ უმაღლესებს ექნებათ, რომლებიც აკრედიტაციას გაივლიან. განათლების შესახებ ახალი კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფოსათვის აღარ იარსებებს განსხვავება სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის. განსხვავება იარსებებს აკრედიტირებულ და არააკრედიტირებულ უმაღლესებს შორის.

ასე რომ, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს აქვს უფლება, ასწავლოს და გასცეს სახელმწიფო დიპლომი, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ სასწავლებელი მოინდომებს სახელმწიფოსგან ფული თუ სხვა სახის შეღავათები მიიღოს, მაშინ სახელმწიფოს აქვს უფლება დაინტერესდეს, რა უმაღლეს სასწავლებელში მიდის მის მიერ გაცემული გრანტი; შეესაბამება თუ არა იქაური პირობები სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. სახელმწიფო გრანტი წავა მხოლოდ იმ უმაღლესებში, კერძო იქნებიან ისინი, თუ სახელმწიფო, რომლებიც აკრედიტაციის პროცესს შეუერთდებიან და გაივლიან აკრედიტაციას. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო იტოვებს უფლებას არააკრედიტირებული უმაღლესის მიერ გაცემული დიპლომი სახელმწიფო სამსახურებისთვის არავარგისიანად ჩათვალოს და ასეთ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტებს სავალდებულო საჯარო სამსახური არ გადაუვადოს.

ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონის მიღების შესვლის შემდეგ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს კიდევ ერთი გარემოების გათვალისწინება მოუწევს. მომავალში სკოლებს საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ფართის იჯარით გაცემა აეკრძალებათ. სახელმწიფო სკოლის შენობაში აღარ იარსებებენ არც კერძო სკოლები და არც კერძო უმაღლესი სასწავლებლები. განათლების სამინისტროში ამ გადაწყვეტილების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ასეთი საიჯარო ხელშეკრულებები უმრავლეს შემთხვევაში კორუფციის წყაროს წარმოადგენდა. გარდა ამისა, სახელმწიფო სკოლებში გახსნილი კერძო სკოლები, როგორც წესი ამავე სკოლის დირექტორებს ეკუთვნის ხოლმე და ისინი ამ სკოლებში თავიანთი სკოლის საუკეთესო მასწავლებლებსა და მოსწავლეებს "ექაჩებიან". რაც შეეხება სკოლებში არსებულ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თვლიან, რომ წარმოუდგენელია ისეთი უმაღლესი სასწავლებლის არსებობა, რომელიც, მაგალითად, მხოლოდ დღის მეორე ნახევარში ფუნქციონირებს. ეს ნიშნავს, რომ იქ მხოლოდ სალექციო აუდიტორიებია. მხოლოდ სალექციო აუდიტორიები კი უმაღლეს სასწავლებელს არ ნიშნავს.

*თვალსაზრისი*

# კერძო უმაღლეს განათლებას ხელშეწყობა სჭირდება

საქართველოში, კერძო უმაღლესი განათლების დამკვიდრებიდან მეთოთხმეტე წელი სრულდება, ამ ხნის მანძილზე მან წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. მათ ხელისშემშლელი სირთულეები ახლაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებათ.

როგორც ვაკვირდებით, საკითხი კერძო უმაღლესი განათლების შესახებ, როგორც წესი, მწვავდება ხოლმე სწორედ მაშინ, როდესაც მისაღები გამოცდები ახლოვდება. ვის აძლევს ეს ხელს? დასკვნები თავად გააკეთეთ. ზოგიერთი ჟურნალისტი, ამას სათავისოდ იყენებს და ხელად გამოაცხობს ხოლმე გამომწვევ, მყვირალა და სენსაციურ სათაურებს, მაგალითად ასეთს: "კერძო უმაღლესები იხურება?" მშობლებსაც მეტი არ უნდათ, კითხვის ნიშანს არც აქცევენ ყურადღებას და ათვალისწუნებით უყურებენ ამ სასწავლებლებს.

რატომ ებრძვიან კერძო სწავლებას, რა იკითხება ამაში შენილბულად? მას ხომ ისედაც დიდი წინააღმდეგობები ელობება წინ, ობიექტური თუ სუბიექტური. ეს კითხვა ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული.

ყველამ უნდა იცოდეს ის რეალობა, რომ კერძო განათლების სისტემაში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს თვითრეგულირების პროცესი. ამ რამოდენიმე წლის წინ, საქართველოში კერძო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა თუ 580-ს აჭარბებდა, უკანასკნელ წლებში 60-65%-ით შემცირდა და ასე თუ ისე მოსაწონი 40 თუ 45 სასწავლებელიღა დარჩა. ეს პროცესი გრძელდება.

კონკურენციის ულმობელი კანონი თვით ახდენს კერძო სასწავლებლების რიცხოვნობის რეგულირებას და გული ნურავის ნუ დასწყდება, თუ მას მათრახი ვერ გადაჰკრა. კერძო სწავლება, თვითდამცავი მექანიზმის წყალობით თვითონვე იმაგრებს წელს.

ირკვევა, რომ სტუდენტთა რაოდენობა სულაც არ არის სასწავლებლის სიძლიერისა და ავტორიტეტის განმსაზღვრელი. ამასთან, სასწავლებლები, რომლებიც უკიდურესად დაბალ სწავლის საფასურს აწესებენ, კონკურენციის არასწორ თამაშს თამაშობენ, რითაც თავის თავსაც ატყუებენ და სხვასაც ხელს უშლიან. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ სწავლის უკიდურესად დაბალი საფასური უმაღლესი სასწავლებლების ნორმალური (მით უმეტეს მაღალ დონეზე) ფუნქციონირების საშუალებას არ იძლევა.

შიდა სიტუაციას ამძაფრებს ისიც, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი არღვევს სარეკლამო ნორმებსა და მოთხოვნებს და იმისათვის, რომ სტუდენტები მიიზიდონ, თავის რეკლამაში ცრუ ან მაცდუნებელ ცნობებს აცურებს. ვთქვათ, რაში სჭირდებათ ან რა მოსაწონია ასეთი სარეკლამო ნაწილი: "სწავლება ყველაზე იაფად და ხარისხიანად" (ეს ხომ აბსურდია) ანდა ასეთი: მაღალი ხარისხის სწავლება მხოლოდ ჩვენთან" (ეს ფლიდობაა), ან: "ჩვენ ვათავისუფლებთ ჯარიდან" (ჯარიდან ვერც ერთი კერძო სასწავლებელი ვერ ათავისუფლებს, ან: "დიპლომი სახელმწიფოა" (ჯერ ერთი ეს რა ქართულია და რომ იცოდეთ, ყველა სასწავლებელი მხოლოდ ერთიანი სტანდარტის დიპლომს გასცემს).

რატომ ვაბნევთ მშობლებს?

კერძო უმაღლესი განათლების სპეციფიკამ, რასაც საბაზრო მექანიზმი განსაზღვრავს, აგრეთვე, ამის შესაბამისად, რექტორთა არაერთგვაროვანმა შეხედულებებმა, რაც სულაც არ არის საკვირველი, გამოიწვია ის, რომ შეიქმნა რექტორთა რამდენიმე დაჯგუფება: კერძო უმაღლესი სასწავლებლების დამფუძნებელთა და რექტორთა საბჭო (სადაც ყველაზე მეტი რექტორია შემოკრებილი), კერძი უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭო, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ფედერაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია "რექტორთა საბჭო" და კიდევ სხვა.

ასეთი დაჯგუფებების შექმნას ვერც ვერავინ აკრძალავს, რადგან ნებაყოფლობითი პროცესია, თანაც, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან და ერთიან მიზანს ემსახურებიან. გარკვეულ ეტაპზე ეს შეიძლება არც არის ცუდი, მაგრამ მომავალში, როცა კონკურენცია რამდენადმე ჩაცხრება და მათ შორის ერთიანი შეხედულება და პოზიცია გამოიკვეთება, სასურველი იქნება ერთიანი დაჯგუფების შექმნა.

თვალშისაცემია ამბიციურობის ის ელემენტი, რომ ამ სასწავლებელთა ბევრმა რექტორმა თავის თავს და თანამშრომლებსაც, თავიანთი საბჭოების წყალობით უბოძეს პროფესორობა და ასე მომრავლდა ფსევდო პროფესორთა, ასევე აკადემიკოსთა მთელი არმია.

ახლა საკითხის სხვა კუთხეს შევეხები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ძირითადად, სწორ პოზიციაზე დგას და პატივისცემას იმსახურებს. ზოგიერთები ტყუილუბრალოდ ნუ ცდილობენ მასთან შეწინააღმდეგებას. მე გამოვთქვამ ერთ რჩევას: ნუ გაიტაცებს მას, ერთი შეხედვით, ეფექტური, მაგრამ ნაჩქარევი სვლები. ეს ეხება სასწავლებელთა აკრედიტაციას. ეს რთული პროცესია, რომლისთვისაც ორი წლით ადრე უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი კრიტერიუმები, რაც ჯერ არ ჩანს.

კერძო უმაღლესი სასწავლებლების დამფუძნებელთა და რექტორთა საბჭოს შემუშავებული აქვს თვითაკრედიტაციის დებულება, სათანადო, წლების მანძილზე აპრობირებული, აწონ-დაწონილი კროტერიუმებითა და ნორმატივებით. სამინისტროს შეუძლია, დაინტერესდეს ამით, რაც დადებითი პრაქტიკა იქნება.

ისე კი, პრინციპული გაგებით, კერძო უმაღლესი სასწავლებელი მათი ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე და ბიზნეს პრინციპების შესაბამისად ატესტაციასა და აკრედიტაციას არ ექვემდებარება. ეს შიდა სფეროა. მას ლიცენზიის მიცემისა და სასამართლოში რეგისტრაციის საფუძველზე ეძლევა სრული დამოუკიდებლობა სამეწარმეო კანონის შესაბამისად. იგი იცავს ლიცენზიის მოთხოვნებს და ასრულებს საგადასახადო დავალებებს, სხვა მხრივ, მის საქმეებში ჩარევის უფლებას იტოვებს მხოლოდ კონკურენცია და საბაზრო მექანიზმი.

სახელმწიფოს აკრედიტაციის ჩატარების უფლება რჩება მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში.

კერძო უმაღლეს სასწავლებელს ნებაყოფლობით შეუძლია ჩაატაროს თვითაკრედიტაცია და გაატაროს ნებისმიერი ღონისძიებები სასწავლო პროცესისა და საერთოდ ფუნქციონირების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ზემოდან თავსმოხვეული აკრედიტაცია ან სხვა ფორმის ღონისძიება მის საქმეებში ჩარევას ნიშნავს, რასაც სამეწარმეო კანონი, ეკონომიკის წესები, ბიზნესის პრინციპები და მოტივაციები ეწინააღმდეგება, ამიტომ მათ ვერც ერთიანი სახელმწიფო სტანდარტის დიპლომების გაცემა აეკრძალება, რაც ზემოთქმულის შესაბამისად დაცულია კანონმდებლობით.

ლოგიკურად, კერძო უმაღლესი სასწავლებლები თვითონვე, დამოუკიდებლად, ყოველ მიზეზგარეშე ეცდება შესწვდეს და პასუხობდეს საერთოდ ქვეყანაში დადგენილ საკრედიტაციო მოთხოვნებსა და სტანდარტებს, რათა გაუძლოს კონკურენციას. ეს, ფაქტობრივად, ირიბად, აკრედიტაციის ჩატარების ტოლფასია, რაც საკმაოდ არგუმენტირებული და მისაღები პოზიციაა და პრინციპულ მნიშვნელობას იძენს.

ეს განმარტება გვაიძულებს ჩავხედოთ ეკონომიკისა და ბიზნესის კანონებს, შესაბამის სამართლებრივ აქტებს, დავფიქრდეთ კიდევ და სწორი და დასაბუთებული დასკვნები გავაკეთოთ.

ახლა ორიოდე სიტყვა იჯარის შესახებ. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს უფლება არა აქვთ, ანდა არასწორია, რომ იჯარით აქვთ აღებული საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები (რომელთა უმეტესობის ფართობები დღის მეორე ნახევარში საერთოდ თავისუფალია და დაუტვირთავი).

საკითხის ამ კუთხით დაყენება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ეს ეკონომიკაში გაურკვევლობას ნიშნავს.

ცნობილი, რომ იჯარა (ანუ ქირავნობა) კერძო საკუთრების სახეცვლილება და ერთ-ერთი ფორმაა, რაც მეიჯარეს უფლებას აძლევს, გარკვეული დროის მანძილზე (რაც ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული) თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს და ისარგებლოს იჯარით აღებული ფართით ან სხვა ქონებით, იმ პირობებით, რასაც ურთიერთშეთანხმება ითვალისწინებს, ამის შესაბამისად, არავის (სამინისტროს, დეპარტამენტს, ანდა რომელიმე თანამდებობის მუშაკს) არა აქვს უფლება აუკრძალოს სამეწარმეო სტრუქტურას გააფორმოს ან შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება, გარდა იმ კონკრეტული და იშვიათი შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო საგანგებო კანონმდებლობას.

საიჯარო ურთიერთობები ბიზნესური საქმიანობის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია და იგი ხელს უწყობს ამა თუ იმ ფორმირებების ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებას.

რეალობიდან გამომდინარე, უნდა დავამშვიდო მშობლები, აბიტურიენტები, სტუდენტები და ვუთხრა, რომ ნუ შიშობენ და ნურც განწყობილებას გაიფუჭებენ. საქართველოში, კერძო უმაღლეს განათლებას არავითარი საშიშროება არ ელის, ყველამ უნდა იცოდეს, რომ კანონს უკუმოქმედების ძალა არა აქვს, თანაც საკითხი ისე არ დგას და ვერც დადგება, რომ კერძო განათლება გაუქმდეს, ეს ხომ ანტიკონსტიტუციურია. ამიტომ მიაკითხეთ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს დაუბრკოლებლად, ორჭოფობის გარეშე.

მიზანშეწონილად მიმაჩნია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეიქმნას მეთოდცენტრი, რომელიც დაკომპლექტდება ცნობილი მეცნიერებისაგან და რომელიც კერძო უმაღლესი სასწავლებლების ფასიანი შეკვეთების (ნებაყოფლობის პრინციპით) საფუძველზე დაამუშავებს და რეკომენდაციას მისცემს გამოსაყენებლად ერთიან სასწავლო პროგრამებსა და დიფერენცირებულ სასწავლო გეგმებს, მეთოდურ მითითებებს, სასწავლო ლიტერატურას და სხვა. ბუნებრივია კერძო სასწავლებლებს შეეძლებათ მათი მეტ-ნაკლები კორექტირება.

ამით თავიდან ავიცილებთ ამჟამად არასწორად გაგებულ ატესტაციას და აკრედიტაციას. რაც თავსმოხვეულ თვითმიზნად ყალიბდება. აღნიშნული მეთოდცენტრის არსებობა, თავისთავად, აღარ წარმოშობს ამის აუცილებლობას. ამასთან, კომერციალიზაციის ამ ფორმით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სათანადო ფინანსებიც გაუჩნდება.

***ომარ ქეშელაშვილი***
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტის რექტორი, კერძო უმაღლესი სასწავლებლების დამფუძნებელთა და რექტორთა საბჭოს თავჯდომარე.*

# თენგიზ ასანიძემ 155 ათასი ევრო მიიღო

*საქართველო საერთაშორისო სკანდალს გადაურჩა. სტრასბურგის სასამართლოს მიერ რამდენიმე თვის წინ საქმეზე "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" გამოტანილი განაჩენის შეუსრულებლობისთვის საქართველოს ევროკავშირის მძიმე სანქციები, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა, ევროკავშირიდან გარიცხვაც დაკისრებოდა.*

"ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" საქართველოს მოქალაქის მიერ ევროსასამართლოში შეტანილი პირველი სარჩელია, რომელზეც ევროსასამართლომ პირველი განაჩენი გამოიტანა. ამ ვერდიქტის ძალით, უკანონო პატიმრად ცნობილი თენგიზ ასანიძე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო საპყრობილიდან, ხოლო სამი თვის ვადაში ქვეყნის ხელისუფლებას მისთვის უკანონო პატიმრობით მიყენებული მორალური ზიანის 155 ათასი ევროთი ანაზღაურება უნდა უზრუნველეყო. თენგიზ ასანიძის გათავისუფლებაზე თავად მისმა დამპატიმრებელმა ასლან აბაშიძემაც კი უარი ვერ განაცხადა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თენგიზ ასანიძისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ევროსასამართლოს მიერ დადგენილი ვადა 8 ივლისს ამოიწურა, ყოფილი უკანონო პატიმრისთვის დაკისრებული თანხის გადახდაზე ფიქრით კი იფიქრეს, მაგრამ გადახდით არაფერი გადაუხდიათ, რადგან საქართველოს ბიუჯეტს ამხელა თანხის გაღება არ შეეძლო.

არადა, 8 ივლისის შემდეგ ევროსასამართლოს მიერ საქართველოსთვის დაკისრებულ 155 ათას ევროს საჯარიმო პროცენტები დაემატება - ევრობანკის მიერ დადგენილ ყოველთვიურ საკმაოდ მაღალ საპროცენტო განაკვეთს დამატებული საერთო თანხის სამი პროცენტი. ასე რომ, ასანიძის უკანონო პატიმრობისთვის დაკისრებული 150 ათასი (პლუს 5 ათასი ევრო ადვოკატთა მომსახურებისთვის) ევრო, 160 ათას ევრომდე გაიზარდა და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ხუთი თვის თავზე თენგიზ ასანიძემ კუთვნილი 155 ათასი ევრო გუშინწინ მიიღო.

2 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაბამისი განკარგულების ხელმოწერის შემდეგ "რესპუბლიკურ ბანკში" ასანიძის ანგარიშზე 160 ათასი ევრო დაჯდა. ყოფილ უკანონო პატიმარს, თანხის დაგვიანების გამო, სახელმწიფომ პროცენტიც გადაუხადა. **24 საათი**



*ყოფილ უკანონო პატიმარს, თანხის დაგვიანების გამო, სახელმწიფომ პროცენტიც გადაუხადა.*

# დანაშაულებრივი ალიანსი აფხაზ სეპარატისტებთან

რამდენიმე დღის წინ, გამთენიისას, ზუგდიდის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ ცხრა ეჭვმიტანილს მართლმსაჯულებამ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. დაკავებულ-დაპატიმრებულთა შორის არიან კრიმინალური დაჯგუფებისა და პარტიზანული მოძრაობის ყოფილი წევრები - „ტყის ძმების" ყოფილი წევრი და შემდეგ უკვე საკუთარი პარტიზანული დაჯგუფების მეთაური სლავიკ ბიგვავა, ემზარ ფონიავა, თამაზ წულაია, გენო ქულავა, ლევან ძაძუა, გელა მეფორია, ზურაბ ყოლბაია, კახა ფიფია, ზურაბ ფირცხელავა. მათგან უმრავლესობა წარსულში ნასამართლევია, ზოგიერთ მათგანს კი ადრე ჩადენილი დანაშაულებისთვის სასჯელი უკვე რამდენჯერმე აქვს მოხდილი. **"ისინი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები არიან,"** - აცხადებენ სამართალდამცველები და დაკავებულთა დაჯგუფების იმ წევრებს ეძებენ, რომლებიც სპეცოპერაციისას ხელიდან გაუსხლტათ.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება, ნარკოტიკების შენახვა და ყაჩაღობა – ეს ის ძირითადი ბრალდებებია, რომლებიც სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულებს უკვე წარუდგინეს.

დაკავებულების საქმეში, სავარაუდოდ, მრავალი ეპიზოდი გაერთიანდება, რადგან, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი მერაბ ბალათურია აცხადებს, **"ეს პირები კარგა ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ აფხაზ სეპარატისტებთან დანაშაულებრივ ალიანსში. ახალი დეტალები კი გამოძიების პროცესში გამოიკვეთება".**

სხვათა შორის, სპეცოპერაციიდან რამდენიმე საათში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთი თვის წინ, სწორედ ამ დაჯგუფებამ გაიტაცა ზუგდიდელი ბიზნესმენი, ორი წლის წინ აფხაზების მიერ მოკლული, ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსის ბეგლარ ფონიას ძმა შალვა ფონია. ორი დღის წინ, მდინარე ენგურის სანაპირო ზოლთან, სოფელ შამგონაში მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა სოფელ შამგონას პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის ზემიკო გაბუნიას შვილისა და მასთან სტუმრად მყოფი ორი ახლობლის გატაცება ვერ შეძლეს, სწორედ ამ კრიმინალური ჯგუფის წევრებს უკავშირდება. შეგახსენებთ, თავდამსხმელებსა და ზემიკო გაბუნიას ახლობლებს შორის ორმხრივი სროლა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. თავდამსხმელებმა გაქცევა და მიმალვა მოახერხეს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ეს ჯგუფი წლების განმავლობაში იტაცებდა ადამიანებს, თავს ესხმოდა მოქალაქეთა საცხოვრებელ სახლებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, მისდევდა რეკეტს, გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები გადაჰყავდა ქართველების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზეთის კრიმინალური სამყაროს ხელშეწყობით ეწეოდა აღურიცხავი ტვირთების გადაზიდვებს, მათ მოძრაობაზე აწესებდა კონტროლს, მონაწილეობდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში. ერთი სიტყვით, დაკავებულ-დაპატიმრებულებთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, მათთან დაპირისპირება ბევრ დაზარალებულს მოუწევს.

*24 საათი*

# მძიმე დანაშაულებში ბრალდებულებს მკაცრი სასჯელები არგუნეს

ბექა სისაური
ქუთაისიდან

*ქუთაისის საოლქო სასამართლომ ახლახან ერთ-ერთი სერიოზული ყაჩაღური დაჯგუფების საქმის განხილვა დაასრულა. სამტრედიელი ზაზა კალაძე და გრიგოლ ფანცულაია სასამართლომ ყაჩაღობაში, მკვლელობაში, ადამიანის გატაცებასა და ქურდობის მცდელობაში დაადანაშაულა. ბრალდებულები დღემდე თავს უდანაშაულოდ აცხადებენ. ისინი, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლოს არაობიქტურობას უჩივიან.*

საგამოძიებო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ზაზა კალაძე ერთხელ უკვე იყო ნასამართლევი. 1993 წელს მას სასამართლომ შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, საპატიმროდან გათავისუფლებულმა კალაძემ რამდენიმე წლის წინ, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და ავტომატი შეიძინა. 2003 წლის თებერვალში კი დაუკავშირდა ნაცნობს, სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურში მცხოვრებ გრიგოლ ფანცულიას და ასევე გამოძიებით დაუდგენელ სამ პირს. ბრალდების მხარის განმარტებით, ჩამოყალიბდა ბანდა, რომლის ძირითადი მიზანიც იყო თბილის-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალზე ავტომობილების დაყაჩაღება. თუმცა, ამისათვის ბანდის წევრებს თავად სჭირდებოდათ ავტომობილი. ეს პრობლემა მათ მარტივად გადაჭრეს და სამტრედიაში, მოქალაქე კახა ბოხუას კუთვნილი ავტომობილი "ოპელ-ვექტრა" წაართვეს. 13 თებერვალს კი, დაახლოებით ღამის პირველ საათზე, ისინი აბაშის რაიონის სოფელ ქოლობანში მივიდნენ და იქ გამავალ თბილის-სენაკის საავტომობილო მაგისტრალის მარცხენა მხარეს არსებულ უმოქმედო ბენზოგასამართ სადგურთან ჩასაფრდნენ. დაახლოებით, 01 საათსა და 30 წუთზე, აღნიშნულ ავტომაგისტრალზე თბილისიდან ბათუმის მიმართულებით მოძრაობდა "ფორდ-ტრანზიტის" მოდელის მიკროავტობუსი. მას ბათუმში მცხოვრები გიორგი ვერძაძე მართავდა. სალონში ისხდნენ მიკროავტობუსის მესაკუთრე ბაკურიძე და მისი მეუღლე ძნელაძე. **"მიკროავტობუსის დანახვისთანავე ზაზა კალაძემ და გრიგოლ ფანცულიამ თანამზრახველებთან ერთად "ოპელ-ვექტრათი" გზა გადაუღობეს მიკროავტობუსს. ვერძაძემ ავტომანქანისთვის გვერდის ავლა და გზის გაგრძელება მოახერხა, რის შემდეგაც დამნაშავეებმა მიკროავტობუსს ცეცხლი გაუხსნეს. სროლისას მძიმედ დაიჭრა მძღოლი ვერძაძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა,"** - მითითებულია გამოძიების მასალებში.

მძღოლის გვერდით მჯდომმა ბაკურიძემ შეძლო მიკროავტობუსის შეჩერება. დამნაშავეებმა კი შეძლეს მიკროავტობუსის სავალი ნაწილიდან გადაყვანა და მიზნის განხორციელება.

**"როდესაც ოპელ-ვექტრას გვერდი ავუარეთ, დაახლოებით 40 მეტრის გავლა მოვასწარით, ვერძაძემ დაიძახა - მიშველეთო, და საჭეს დაეცა. მე ავტომობილის გაჩერება მოვახერხე. როდესაც თავი ავწიე, მიკროავტობუსის წინ, ავტომატით ხელში, მაღალი, სუსტი აღნაგობის მამაკაცი იდგა, რომელსაც სახეზე აფარებული ჰქონდა შავი ფერის ნიღაბი, სულ მალე კიდევ რამდენიმე პირი მოვიდა. ისინი ისროდნენ საბურავების მიმართულებით. ერთ-ერთმა მკვდარი ვერძაძე გვერდზე გადააგდო, რა დროსაც ნიღაბი ჩამოუვარდა და სალონის განათების შუქზე კარგად დავაკვირდი (მოგვიანებით, მან ამ პიროვნებაში ფანცულაია ამოიცნო). როცა გვძარცვავდენენ, კიდევ ერთ-ერთს ჩამოვგლიჯე ნიღაბი და სახე დავიმახსოვრე. (აღნიშნულ პირში მან კალაძე ამოიცნო). როდესაც დამნაშავეებმა გაიგეს, რომ ვერძაძე გარდაცვლილი იყო, ჩვენი კუთვნილი ნივთები გაიტაცეს და გაიქცნენ,"** - ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას ბაკურაძემ.

ყაჩაღები ბაკურაძის კუთვნილი 1310 ლარის, ძნელაძის 2990-ის, ხოლო ვერძაძის 600 ლარის ქონებას დეუფლნენ. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ჯგუფს მოქმედება ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია. 2003 წლის 12 აპრილს, დაახლოებით 17 საათზე, ზაზა კალაძე, მეგობრებთან - გიგინეიშვილთან და კიკაჩეიშვილთან ერთად, "ვაზ-2109" მარკის ავტომობილით მივიდა ქუთაისში, ბუკიას ქუჩაზე, საიდანაც იარაღის მუქარით გაიტაცეს მოქალაქე შალვა ონიანი. გზაში მას სცემდნენ და გათავისუფლების სანაცვლოდ, 1000 დოლარს სთხოვდნენ. დარწმუნდნენ, რომ ამ რაოდენობის თანხა ონიანს არ გააჩნდა, ისინი 500 დოლარზეც დათანხმდნენ, რის შემდეგაც ონიანი სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურში ჩაიყვანეს და გაათავისუფლეს.

**"ბუკიას ქუჩაზე ვიმყოფებოდი, როდესაც მოვიდა ახალგაზრდა ბიჭი და მითხრა, რომ ავტომობილში მყოფთ ჩემთან საუბარი უნდოდათ. ავტომობილში კალაძე დავინახე, რომელსაც ხელში პისტოლეტი ეჭირა. მანქანაში იძულებით ჩამსვეს, პისტოლეტით მცემდნენ სახისა და თავის არეში. მთხოვდნენ ათას დოლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლით მემუქრებოდნენ,"** - ასეთი ჩვენებამ მისცა წინასწარ გამოძიებაში შალვა ონიანმა.

როგორც სასამართლო სხდომის მასალებშია მითითებული, მას ჩვენების შეცვლის მოთხოვნით არაერთგზის დაუკავშირდნენ და დაემუქრნენ. ონიანმა ჩვენება მოგვიანებით მართლაც გადათქვა და განაცხადა: 1500 დოლარი კალაძის ვალი მქონდა და იმას მთხოვდნენ, ცემით კი არავის ვუცემივარო. თუმცა, სასამართლო კოლეგიამ მისი ეს ჩვენება არ გაითვალისწინა და იგი მუქარისა და ზეწოლის შედეგად მიიჩნია.

საგამოძიებო მასალების მიხედვით კი, ონიანის გატაცების შემდეგ, კალაძე და მისი ბანდა კიდევ ერთ დანაშაულს ჩადის. 2003 წლის 21 მაისს, დაახლოებით 04 საათზე, მთვრალი კალაძე სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე გაჩერებული "გაზ-2410" მარკის ავტომანქანასთან მივიდა და მისი გატაცება დააპირა. მაგრამ იგი შეამჩნია ავტომობილის პატრონმა ზაალ ხაჟალიამ და დაუძახა, რომ მანქანას მოშორებოდა. **"ამით განაწყენებულმა კალაძემ "მაკაროვიდან" დაცხრილა ხაჟალიას ავტომობილი, ჩაამსხვრია უკანა საქარე მინა. ამის შემდეგ აივანზე გამოსულ ხაჟალიას აგინა, ძალადობის მუქარით ჰაერში რამდენიმე გასროლა მოახდინა,"** - ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში. შემთხვევის ადგილებიდან ამოღებული მასრები, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის შედეგად, კალაძის იარაღისას დაემთხვა. ასევე იმ ავტომობილის პატრონმა, რომლითაც კალაძე დანაშაულის ჩადენის მომენტში გადაადგილდებოდა, აჩვენა, რომ დაახლოებით ღამის 12 საათზე მასთან მივიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი კალაძე და ავტომობილი სთხოვა, რაზეც იგი დათანხმდა. ზაზა კალაძემ თავი დამნაშავედ ნაწილობრივ სცნო. მან მხოლოდ მაკაროვის სისტემის პისტოლეტის შეძენა-შენახვა აღიარა. იგი კატეგორიულად უარყოფდა ხაჟალიას ავტომობილის ქურდობის მცდელობასა და სოფელ ქოლობანში მიკროავტობისის დაყაჩაღებას, რა დროსაც ერთი ადამიანი დაიღუპა. გამოძიებისათვის მიცემული ჩვენების მიხედვით, იგი ამ პერიოდში მეზობლის, ცხვარაძის ოჯახში იმყოფებოდა. გიორგი ფანცულაიას შესახებ კი მან განაცხადა, რომ იგი მისი შორეული ნათესავია, მაგრამ მასთან ერთად დანაშაული არ ჩაუდენია. რაც შეეხება შალვა ონიანის გატაცებას. კალაძემ განაცხადა, რომ დაზარალებულს 1500 დოლარამდე თანხა ასესხა. 12 აპრილს კი შემთხვევით შეხვდა, ჩაისვა ავტომანქანაში და ფული მოსთხოვა, მათი მხრიდან არავითარ ძალადობასა და შეურაცხყოფას ონიანის მიმართ ადგილი არ ჰქონიაო. თავი დამნაშავედ ასევე არ ცნო გრიგოლ ფანცულაიამაც.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია: მიუხედავად იმისა, რომ კალაძემ თავი დამნაშავედ ნაწილობრივ ცნო, მისი ბრალეულობა სრულად დასტურდება წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლით. საბოლოოდ, სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ დავით კეკენაძის თავმჯდომარეობით, ზაზა კალაძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით. გრიგოლ ფანცულაიას კი 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

# ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი თურქეთის მოქალაქეები ზუგდიდში დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ გუშინ დაკავებული, თურქეთის სამი მოქალაქე, ჯერჯერობით, დუმილის უფლებით სარგებლობს. ისინი ტრეფიკინგში არიან ეჭვმიტანილები. როგორც გაირკვა, თურქეთიდან გადმოსულებს ზუგდიდში ვინმე ბათუმელი ვაჟა დიასამიძე უნდა დახვედროდა, რომელიც მათ თურქეთში წამსვლელი ქალების მოძიებაში დაეხმარებოდა. სამართალდამცველთა ვერსიით, ეს ქალები თურქეთში უნდა გაეთხოვებინათ.

"ამჟამად დგინდება, ვინ არიან ეს ქალები და ვისთან ჰქონდათ კავშირი თურქეთის მოქალაქეებს", - აცხადებენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო უშიშროების სამსახურში.

*24 საათი*

# ბოლო ერთი კვირის კრიმინალური სტატისტიკა

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მომხდარ დანაშაულთაგან უმრავლესობა ცხელ კვალზე გაიხსნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, შს სამინისტროს ორგანოების მიერ მიმდინარე კვირის განმავლობაში სხვადასხვა კატეგორიის 81 დანაშაულია გამოვლენილი.

რეგისტრირებულ დანაშაულთა შორისაა 4 მკვლელობის, თითო მკვლელობის მცდელობისა და გაუპატიურების, 13 სხეულის დაზიანების, 2 თავისუფლების უკანონო აღკვეთის, 9 ძარცვის, 7 ყაჩაღობის, სამი თაღლითობის, 4 ხულიგნობის, 19 ქურდობისა და სხვა სამართალდარღვევის ფაქტები.

დაკავებულია ბოროტმოქმედთა ათი ჯგუფი 22 პირის შემადგენლობით, რომლებსაც 13 სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი.

"გამოვლენილია ნარკომანიის 13 ფაქტი, რომელთაგან 8-ზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 5 პირი ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაჯარიმდა. ამოღებულია 62,1 გრამი მარიხუანა, 0, 0157 გრამი სუბოტექსი, 0, 074 გრამი მორფინი.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა-ტარებაზე აღძრულია სისხლის სამართლის ორი საქმე. ამოღებულია ერთი ავტომატი, 7 პისტოლეტი, 1 გადაჭრილი თოფი, 2 ხელყუმბარა, 377 საბრძოლო ვაზნა",- აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამინისტროს ინფორმაციითვე, დაკავებულია სხვადასხვა დანაშაულისთვის ძებნილი 13 პირი, რომლებიც მკვლელობის, ყაჩაღობის, თაღლითობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ავტოსაგზაო შემთხვევისა და ქონების დატაცებისთვის იძებნებოდნენ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საბოლოოდ გადაწყვიტა ქუთაისის სასჯელაღსრულების N2 საპყრობილეს ქალაქგარეთ გადატანა. ახალი საპყრობილის მშენებლობა უკვე დაწყებულია ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში, ადგილობრივმა სამშენებლო ორგანიზაციებმა შესაბამისი დაკვეთებიც მიიღეს. აღნიშნული ტერიტორია საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა მოინახულა. იგი ქუთაისის საპყრობილესაც ეწვია, სადაც პატიმრებს შეხვდა. შენობა, რომელიც ორი საუკუნის წინ ციხისთვის აშენდა, ავარიულ მდგომარეობაშია და შესაძლოა, საკნები ყოველ წუთს ჩამოინგრეს. ქუთაისის საპყრობილეში დღემდე არსებობს საკანი, სადაც სასჯელს სტალინი იხდიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ხარაგაულის პოლიციის თანამშრომლებმა ემზარ ყიფიანი და მისი რამდენიმე მეგობარი დააკავეს, რომლებსაც ბრალი 17 წლის თ. მიქელაძის გაუპატიურებაში ედებათ. როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციაში აცხდებენ, მიქელაძე ცოლად შერთვის მიზნით ჰყავდათ გატაცებული, თუმცა წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მასზე ძალადობა განახორციელეს. ყიფიანზე და გატაცებაში თანამონაწილეებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ამხილეს გორის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს ყოფილი უფროსი, გორში მცხოვრები, 46 წლის კონსტანტინე აბაშიშვილი და მოიჯარე, გორის რაიონის სოფელ ხვითში მცხოვრები, 42 წლის ნოდარ მაისურაძე. აბაშიშვილმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, მოამზადა საიჯარო დოკუმენტები, რომლითაც ნოდარ მაისურაძეს 1997 წელს, 9 წლის ვადით, საიჯარო ხელშეკრულებით გადასცა 230 ჰექტარი სახელმწიფოს კუთვნილი ნაკვეთი; ასევე აბაშიშვილის მხრიდან სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად ნოდარ მაისურაძემ შემდგომში დამატებით მიიტაცა 34.82 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც არ იხდიდა რა დადგენილ გადასახადს, სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადის სახით 8.147.88 ლარი დაუმალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარნეულის პოლიციამ, ნარკოტიკების მოხმარება-გადაზიდვის ბრალდებით, წარსულში ორჯერ ნასამართლევი ვლადიმერ გუჯეჯიანი მარნეული-შულავერის გზატკეცილზე შაბათს ღამით დააკავა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, პირადი ჩხრეკისას ეჭვმიტანილს ე.წ. "ბაშებად" დაფასოებული დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოაჩნდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, 24 წლის ირაკლი სანაძე, რომელმაც დაკავებისას "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან პოლიციის თანამშრომლების მიმართულებით გაისროლა. ამოღებულია პისტოლეტი მჭიდით და ექვსი ვაზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისთვის და ქურდობისთვის გორის სამხარეო რეგიონალური პროკურატურის მიერ ძებნილი, 21 წლის ირაკლი ბუთხუზი. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" ფოთის განყოფილებას სამი პირი დაესხა თავს, რომლებმაც დარაჯს, 48 წლის მერაბ ზარქუას დანის მუქარით გასტაცეს სეიფი 1000 ლარით და დოკუმენტები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები, ზუგდიდელი, ნასამართლევი, 26 წლის ლაშა ჩიქოვანი, 31 წლის მალხაზ სერგინავა, 25 წლის მერაბ ქვაჩახია და დაადგინეს 30 წლის კობა სართანიას ვინაობა. ისინი 1 სექტემბერს სოფელ საგვიჩიოში ყაჩაღურად თავს დაესხნენ მიკროავტობუსს, რომლის მძღოლს ჰამლეტ კაკულიას და მგზავრებს პისტოლეტის მუქარით გასტაცეს პირადი ნივთები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ლაგოდეხის რაიონის სოფელ მაწიმში მცხოვრები, 33 წლის მამუკა ლეკიშვილი, რომელსაც აზერბაიჯანიდან საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოჰქონდა 150 ლიტრი დიზელის საწვავი. **მედია-ნიუსი**

## ბაბიცკი კვლავ დააკავეს



*ანდრეი ბაბიცკის რუს სამართალდამცველებთან პრობლემები არ ელევა.*

რადიო "სვობოდას" კორესპონდენტი ანდრეი ბაბიცკი მორიგ უსიამოვნებაში გაება. ვნუკოვოს აეროპორტის მილიციის თანამშრომლებმა იგი მოსკოვი-მინვოდის რეისიდან უცნაურ გარემოებებში მოხსნეს.

ბაბიცკის მორიგი დაკავების გარემოებები ჯერ კიდევ გაურკვეველია. მილიციის თანამშრომლების ვერსიით, "ბარგის შემოწმებისას ბაბიცკის ნივთებზე ძაღლმა მოახდინა რეაგირება და მას დამატებითი შემოწმების გავლა შესთავაზეს". თავად ბაბიცკი დამატებითი შემოწმების შემდეგ ტელეფონით რადიო "სვობოდას" ეთერში გავიდა და განმარტა, რომ არავითარი ასაფეთქებელი ნივთიერებები არ აღმოუჩენიათ. იგი კოლეგებს დაჰპირდა, რომ მალე გამოუშვებდნენ. თუმცა, მის მიმართ მილიციის პრეტენზიები არც ამით დასრულებულა. იმის გარკვევა, თუ რა ხდებოდა აეროპორტში, ჯერჯერობით შეუძლებელია.

რადიოსადგურის მოსკოვის ბიუროს თანამშრომლებმა, რომლებიც ბაბიცკის არაერთხელ დაუკავშირდნენ, განაცხადეს, რომ ჟურნალისტის თქმით, შემოწმების შემდეგ მასთან კიდევ მივიდნენ მილიციის თანამშრომლები და "უხეშ გამოთქმებზე მის პროვოცირებას შეუდგნენ".

აეროპორტის მილიციის თანამშრომლის ვერსიით, ბაბიცკი არაადეკვატურად მოქმედებდა და ლამის ჩხუბიც ატეხა. ჟურნალისტი ჩხუბის დაწყებამდე ხელმეორედ დააკავეს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრანსპორტის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში "ინტერფაქსს" აცნობეს, რომ ბაბიცკი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის იქნა დაკავებული. "მილიციის თანამშრომლის მოხსენების თანახმად, ინციდენტი 10 საათსა და 15 წუთზე მოსაცდელი დარბაზის ბართან მოხდა. ბაბიცკი ორ მოქალაქესთან ერთად უცენზურო სიტყვებს ხმამაღლა ამბობდა და ერთ-ერთ მამაკაცს ხელებზე ეჯაჯგურებოდა. მილიციონერმა შენიშვნა მისცა მათ, მაგრამ მას იგნორირება გაუკეთეს. ამის გამო, გარემოებათა გარკვევის მიზნით, სამივე მილიციის სამორიგეო ნაწილში მიიყვანეს". ამჯერად ბაბიცკი სისხლში ალკოჰოლის შემცველობაზეც გასინჯეს. რადიოსადგურის თანამშრომლებისათვის შემოწმების დეტალები უცნობია, რადგანაც ამის შემდეგ ბაბიცკიმ ტელეფონი გათიშა და კავშირზე აღარ გამოსულა.

რადიო "სვობოდას" მოსკოვის ბიუროში "გაზეტა.რუ"-ს კორესპონდენტს დაუდასტურეს, რომ ბაბიცკი ძალდატანებით მიავლინეს სამედიცინო შემოწმებაზე. თავად ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ ის მთვრალი არ იყო. "სამედიცინო შემოწმებამდე ბაბიცკი რადიო "სვობოდას" ეთერში გავიდა და მისი ხმიდან გამომდინარე ჩანდა, რომ მას ერთი გრამიც კი არ ჰქონდა დალეული. საერთოდ ძნელი წარმოსადგენიცაა, რომ დილის 7 საათზე, გაფრენის წინ ადამიანი ამგვარ ვითარებაში დათვრეს," - გამოთქვა მოსაზრება რადიო "სვობოდას" მოსკოვის ბიუროს თანამშრომელმა.

რადიოში ბაბიცკის ჩრდილოეთ კავკასიაში გამგზავრების მიზნების კომენტირებაზე უარი თქვეს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჟურნალისტი მოცემულ მომენტში შვებულებაშია და მინვოდში კერძო პირის სტატუსით მიემგზავრებოდა. "შვებულების დროს ადამიანს უფლება აქვს, სადაც უნდა, იქ გაფრინდეს და ამის აკრძალვა არავის შეუძლია," - განაცხადეს ბიუროში. თუმცა, თავის საქმეებზე კორესპონდენტის გაფრენის ვერსია საკმაოდ უცნაურია. მასთან ერთად მინვოდში სააგენტო "ფრანს პრესის" თანამშრომელი იანა დლუგიც მიფრინავდა. ისიც ასაფეთქებელი ნივთიერებების გადატანის ეჭვის საბაბით დააკავეს. "მას პასპორტის წარმოდგენა და რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა მოსთხოვეს. ამასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, რადგან თვითმფრინავზე დააგვიანდა. თუმცა, იმის თქმა, რომ ის დააკავეს, არასწორია," - განაცხადა სააგენტოს მოსკოვის განყოფილების ხელმძღვანელმა მიშელ ვიატომ.

**გაზეტა.რუ**

# პუტინმა დანგრეულ სკოლამდე ვერ მიაღწია

ალია სამიგულინა
„გაზეტა.რუ"

*გამთენიისას პრეზიდენტი, რომელმაც უარი განაცხადა, ბოევიკებთან მოლაპარაკებებზე, ხანმოკლე ვიზიტით ბესლანს ეწვია. ვიზიტი დეტალურად შუქდებოდა პირველი არხის ტელე-კამერებით, რათა გადარჩენილთა თუ დაღუპულთა ნათესავებსა და დაჭრილებს ყველაფერი შეეტყოთ პრეზიდენტის სტუმრობის შესახებ. პალატების შემოვლისას, პუტინი ზოგს თავზეც ეფერებოდა, მაგრამ დაჭრილები ამას ვერ ხედავდნენ, ვინაიდან ეძინათ.*



*დაზარალებულებმა პუტინი ვერ ნახეს, მათ ეძინათ.*

ვლადიმირ პუტინი ბესლანში დაახლოებით დილის 5 საათზე ჩავიდა. აეროპორტში მას დაცვის გარდა არავინ დახვედრია. იქიდან პრეზიდენტი პირდაპირ რაიონის კლინიკური საავადმყოფოსკენ გაემართა, სადაც მას ჩრდილოეთ ოსეთის მეთაური ალექსანდრ ძასოხოვიც შეუერთდა. მათ მოინახულეს ყველა პალატა, სადაც დაზარალებულები იწვნენ, მძიმედ დაჭრილთა განყოფილებით დაწყებული და ბავშვთა პალატებით დამთავრებული. პუტინმა პირადად ინახულა №1 სკოლის მძიმედ დაჭრილი, მაგრამ გონზე მყოფი დირექტორი ლიდია ცალიევაც.

დაჭრილ ბავშვებს პრეზიდენტი არ უნახავთ, მათ ეძინათ, როცა ის ტელეკამერების და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით ლოგინებს შორის დადიოდა და ზოგიერთ მათგანს თავზეც უთათუნებდა ხელს.

საავადმყოფოში პრეზიდენტებმა დაახლოებით 30 წუთს დაჰყვეს. შემდეგ ისინი მძევლების გათავისუფლების ოპერატიულ შტაბში დაგეგმილ სხდომაზე გაემართნენ, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციის შენობაში იყო განთავსებული. თათბირში მონაწილეობას, ასევე, იღებდნენ "ფსბ"-ს ბიუროს დირექტორის პირველი მოადგილე ვლადიმირ პრონიჩევი, საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს მინისტრი სერგეი შოიგუ, გენერალური პროკურორის მოადგილე სერგეი ფრიდინსკი, 58-ე არმიის გენერალი სობოლევი, ჩრდილოეთ ოსეთის "ფსბ"-ს განყოფილების ხელმძღვანელი ვალერი ანდრეევი და ჩრდილოეთ ოსეტის შინაგან საქმეთა მინისტრი კაზბეკ ძანტიევი.

პუტინმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ "ჩრდილოეთ ოსეთი პირველად არ გამხდარა ტერორიზმის შეტევის ობიექტი. რესპუბლიკა სამხრეთით რუსეთის ნამდვილ ფორპოსტს წარმოადგენს, მაგრამ ეს ტერორისტული აქცია, თავისი სისასტიკითა და არაადამიანურობით, მაინც განსაკუთრებულია, რადგან მას ბავშვები ემსხვერპლნენ". შემდეგ პუტინმა ილაპარაკა იმ ზომების შესახებ, რომლებიც მან მომხდართან დაკავშირებით მიიღო. კერძოდ - ჩაკეტილია სახელმწიფო საზღვარი ჩრდილოეთ ოსეთში, ასევე ბლოკირებულია რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრები, ხორციელდება შემოწმებები ტერორისტულ აქტთან კავშირში მყოფი პირების გამოსავლენად. ტერორისტების ძირითად მიზნად პუტინმა "ეროვნებათშორისი მტრობის გაჩაღების, მთელი ჩვენი ჩრდილოეთ კავკასიის აფეთქების" სურვილი დაასახელა. ამიტომ მან გააფრთხილა რუსეთი: "გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ყველას, ვინც ამგვარ პროვოკაციებს აჰყვება, ტერაქტის თანამონაწილედ და ტერორისტების დამხმარედ განიხილავენ".

"ცხადია, ცალკე თემაა დაზარალებულები და მათი ოჯახებისთვის დახმარების გაწევა, მთელი რესპუბლიკის გვერდით დადგომა, - განაგრძობდა პრეზიდენტი, - ამ მიზნით აქ რჩება საგანგებო სიტუაციების მინისტრი სერგეი შოიგუ. გარდა ამისა, ბესლანში მალე ჩამოვლენ ჯანდაცვისა და განათლების მინისტრები".

შექმნილ სიტუაციაში პუტინმა ძირითად ამოცანად დაზარალებულთა სიების შედგენა დასახა. მან განაცხადა, რომ დაზარალებული ბავშვებისა და მოზრდილების ქვეყნის ნებისმიერ სამკურნალო და სარეაბილიტაციო დაწესებულებაში გასაგზავნად ყველა აუცილებელ ზომას მიიღებენ. პუტინმა ისიც აღნიშნა, რომ "დიდი დანაკლისი განიცადეს სპეცსამსახურებმა", მაგრამ ამის შესახებ მეტი არაფერი უთქვამს, რადგან მიიჩნია, რომ ეს ცალკე საუბრის თემაა.

შემდეგ პუტინმა, რომელიც პირდაპირ პირველი არხის ტელეკამერაში იყურებოდა, კიდევ ერთხელ განაცხადა: "ჩვენ ყველა შესაძლებელ ვარიანტს ვიხილავდით, მაგრამ ძალოვანი აქცია თვითონ ჩვენ არ დაგვიგეგმავს. მოვლენები ძალიან სწრაფად და მოულოდნელად ვითარდებოდა და სპეცსამსახურების თანამშრომლებმა განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს". სიმამაცეზე ალექსანდრ ძასოხოვიც ლაპარაკობდა. "ცხადია, ტერორისტთა ხელით დაღუპულ ადამიანებს ვეღარ დავაბრუნებთ, ეს რესპუბლიკის დიდი ტკივილია, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენ ვგრძნობდით, რომ მთელი ქვეყანა ჩვენთან ერთად იყო, ვგრძნობდით მათ მხარდაჭერას. ჩვენმა ხალხმა ისეთი სირთულეები გადაიტანა, რომლის მასშტაბის გააზრებაც შემზარავია. მაგრამ ხალხმა გამძლეობა და სიმამაცე გამოიჩინა," – გამოუცხადა მან სხდომის მონაწილეებს. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა მადლობა მოახსენა ექიმებს და ყველას, ვინც დაზარალებულებს ეხმარებოდა, ასევე საგანგებო მდგომარეობათა, ჯანდაცვის, თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლებს და ქალაქის მცხოვრებლებს.

შემდეგ კი ალექსანდრ ძასოხოვმა ძალიან საინტერესო რამ თქვა. მან განაცხადა, რომ ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ტერაქტის შესახებ სიმართლის მოყოლა. ამ ფრაზით შეიძლება, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აქამდე მას მალავდნენ.

"ახლა ჩვენ მოვალენი ვართ, ხალხს სიმართლე ვუთხრათ, ყველაფერი ისე ვაჩვენოთ, როგორც იყო. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ყველამ შეძლოს ტერორისტების ჩანაფიქრის საშინელების და მომხდარის მასშტაბების გააზრება," – განაცხადა ჩრდილოეთ ოსეთის მეთაურმა.

პუტინს ამ წინადადებაზე რეაქცია არ ჰქონია. სხდომის დამთავრების შემდეგ ის პირდაპირ აეროდრომისკენ გაემართა და მოსკოვში გაფრინდა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, დილის 10-ის ნახევარზე პუტინი უკვე კრემლში იყო.

უბრალოდ, გაუგებარი რჩება, საერთოდ რისთვის იყო საჭირო ეს ღამის შოუ.

ბესლანში პუტინი ხომ, ძირითადად, მათ შეხვდა, ვისაც ისედაც რეგულარულად ხედავს კრემლში. სამაგიეროდ, ის არ უნახავთ მძევლების ნათესავებს და არც მათ, ვინც მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად გადაიტანა ეს კოშმარი. თუმცა, ალბათ, პირველ რიგში, სახელმწიფოს მეთაური სწორედ მათ უნდა შეხვედროდა, თუკი ბესლანში ჩასვლა გადაწყვიტა.

თვალშისაცემი იყო ისიც, რომ სახელმწიფო მეთაურის ყველა განცხადება აბსოლუტურად ზოგადი აღმოჩნდა. ხელისუფლებას დაღუპულთა და დაზარალებულთა ნათესავებისთვის დახმარების გაწევა და ჩრდილოეთ ოსეთში უსაფრთხოების გასაძლიერებლად ზომების მიღება ხომ ისედაც ევალებოდა. ხალხი პუტინისგან სკოლის შტურმის შემდეგ სულ სხვა რამის გაგებას ელოდა: როგორ და რა გზებით განხორციელდა ეს დანაშაული? ვინ არის დამნაშავე და რა გაკეთდება იმისთვის, რომ რუსეთში მსგავსი ტერაქტები აღარ განმეორდეს... მაგრამ სწორედ ამ კითხვებზე პრეზიდენტს პასუხი არ გაუცია. მეტსაც მოგახსენებთ, მას არცერთხელ არ უხსენებია სიტყვა "ჩეჩნეთი".

უნდა ვაღიაროთ, რომ დანაკლისის შესახებ უკანასკნელი ოფიციალური მონაცემები, ძასოხოვის მახვილგონივრული თქმით, "საშინელებას გვაგრძნობინებს". ჩრდილოეთ ოსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შაბათს, დილის ათი საათისთვის გავრცელებული მონაცემებით, ბესლანში დაღუპულთა საერთო რიცხვმა 390 ადამიანს მიაღწია, მაგრამ ეს საბოლოო რიცხვი არაა, რადგან დილის 7:30-იდან საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს თანამშრომლები ნანგრევების წმენდას ისევ განაგრძობდნენ. მუშაობის პირველივე საათებში დაღუპულთა კიდევ სამოცი სხეული იყო აღმოჩენილი. "სკოლის სპორტ-დარბაზში მყოფი მძევლების უმრავლესობა იქ მომხდარი აფეთქებისა და სახურავის ჩამონგრევის შედეგად დაიღუპა", - განუცხადა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სააგენტო "ინტერ-ფაქსს". ამ მიზეზის გამო ჯანდაცვის სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ დაღუპულთა რაოდენობა, შეიძლება, ბევრად გაიზარდოს. იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა სპორტდარბაზის ნანგრევებში მომუშავე პირთაგან მიიღო, იქ კიდევ არა უმცირეს 100 ცხედარია, რომელთაგანაც უმრავლესობა ძლიერ დასახიჩრებულია, ან მძლავრი აფეთქებებით ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილია.

ანუ, მსხვერპლის საბოლოო რიცხვი, ალბათ, 500 ადამიანს აღემატება.

რაც შეეხება, სკოლაში შეჭრილ სპეცქვედანაყოფებს, აგრეთვე მილიციასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანაშრომლებს, მათი მსხვერპლის შესახებ ოფიციალური მონაცემები ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული. ვლადიკავკაზის სამხედრო ჰოსპიტალში, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, სააგენტო "ინტერ-ფაქსი" იუწყება, რომ დაჭრილია 18 სპეცრაზმელი, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირებული წყარო მინიმუმ ათი დაჭრილის შესახებ ავრცელებს ცნობას.

ამასობაში ტრაგედიის გამოძიების პირველი შედეგების შესახებაც გაკეთდა განცხადებები. ცნობილი გახდა, რომ სკოლის აღება წინასწარ იყო მომზადებული. "ასაფეთქებელი ნივთიერებები, იარაღი, ტყვია-წამალი სკოლაში ზაფხულში რემონტის დროს სამშენებლო მასალის სახით შეიტანეს", - აღნიშნა "ინტერ-ფაქსის" წყარომ ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოებიდან, რომელიც გამოძიებასთან დაახლოებული პირიც გახლავთ. მისი მონაცემებით, ტერაქტის ორგანიზატორებმა ასაფეთქებელი ნივთიერებები, იარაღი და ტყვია-წამალი სარდაფში დამალეს. ყოფილი მძევლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ცნობებზე დაყრდნობით, ძალოვანი სტრუქტურების წყარო იუწყება, რომ სამალავი ტერორისტებმა სკოლის შენობის აღებისთანავე გახსნეს.

## პრეზიდენტ პუტინის ტელემიმართვის შემდეგ

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

როცა ერთ ბრიფინგზე რუსეთის პრეზიდენტს უცხოელმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ რა მოუვიდა წყალქვეშა გემ "კურსკს", პუტინმა ჯერ გაკვირვებულმა უმანკოდ გაიღიმა, მერე კი მხრების მსუბუქი, სპორტულად შეთამაშებით ჩაილაპარაკა:

"ჩაიძირა". საერთაშორისო საზოგადოებრიობა რუსეთის მოვლენებზე მეტად ინფორმირებული აღმოჩნდა, ვიდრე თავად კონსტიტუციის გარანტი, ამიტომაც დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთმა მაშინ უარი თქვა საერთაშორისო დახმარებაზე და ბარენცის ზღვის ფსკერზე საკუთარი მოქალაქეები ცოცხლად დამარხა. საზოგადოებამ იცის, რომ "ნორდ-ოსტის" მაყურებლებზე აკრძალული გაზი გამოსცადეს.

ქვეყანამ გადაყლაპა ტრაგედია დუბროვკაზე, ღამით საცხოვრებელი სახლების აფეთქება, ტერაქტები მეტროში, დამოუკიდებელი ტელეარხების დახურვა, ქვეყანაში ობიექტური ჟურნალისტიკის განადგურება... რუსეთი მოინელებს ბესლანსაც.

ბესლანის ტრაგედიის მხოლოდ მესამე დღეს, ხალხისათვის ბოდიშის მოხდის მაგივრად გაკეთებულ "ერისადმი მიმართვაში", რუსეთის პრეზიდენტს არ დასცდენია არცერთი სიტყვა დაღუპულ ბავშვებზე. სამაგიეროდ, მის გამოსვლაში, რომელსაც ტრამვირებული ერი ასე ელოდა, ჭარბად იყო მუქარა და სსრკ-ს აღდგენის შეფარული დაპირება. ქვეყანაში დიქტატურაა დასამყარებელი – იკითხებოდა პუტინის "მიმართვის" სტრიქონებს შორის.

მოსკოვში ამბობენ, ნორმალური და დემოკრატიული ქვეყნის მეთაური გადადგებოდაო. ნორმალური რეგიონის ლიდერი საკუთარ ხალხს საკუთარ უღონობაში გამოუტყდებოდა და წავიდოდაო. პუტინმა და ძასოხოვმა კი ერთადერთი, რაც იმ მძიმე წუთებში მოახერხეს, შავი სვიტერები ჩაიცვეს და ტელეკამერების წინ ბრძნული გამომეტყველებით დასხდნენ. ორივემ ერთად, ბესლანის ტრაგედიის შემდეგ, საკუთარ მოქალაქეებს სანუგეშო ვერაფერი უთხრა. პრეზიდენტის პათეტიკა ამ მძიმე წუთებშიც კი "მოჩიც ვ სიორტირეს" ფსიქოლოგიას ვერ გასცდა.

როცა ერთი წლის წინათ კრემლში გამართულ დიდ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა რუსეთის პრეზიდენტს ჰკითხა, გულწრფელად გვითხარით, მაინც რა უნდა იღონოს საქართველომ ისეთი, რომ რუსეთის გამაღიზიანებელი ფაქტორები მოხსნასო, პუტინმა მკაცრად უპასუხა: გააკეთეთ ისე, რომ თქვენი ტერიტორიიდან რუსეთს საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე აღარ ემუქრებოდესო.

ახლა, როცა პატარა და ტრაგიკული ბესლანი, თავად პუტინის მტკიცებით, საერთაშორისო ტერორისტების ბანაკად იქცა, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოსთხოვოს რუსეთს, რომ აღკვეთოს რუსეთის ფედერაციიდან საერთაშორისო ტერორიზმის გავრცელების საფრთხე მეზობელ საქართველოში.

ავისმომასწავებელია, როცა პუტინი თავის სამგლოვიარო გამოსვლაში რუსეთის ფედერაციას "საბჭოთა კავშირის შენარჩუნებულ ბირთვს" უწოდებს და ამისათვის მადლობას სწირავს მამაზეციერს, მაგრამ საშუალო რუსს აღარ აღელვებს პუტინის სანუგეშო მოწოდებები, რადგან იმ "სორტირთან" რიგში, დასახვრეტად და ასაფეთქებლად პირველნი დგანან მათი ბავშვები, პირველკლასელები, სადღაც კი ერთი-ორი ტერორისტიც მოჩანს.

ბესლანის ტრაგედიის დღეებში "რეიტერმა" სკოლიდან გამოქცეული დედა-შვილის ფოტოსურათი გაავრცელა. ერთი წლის ქერათმიანი და ცისფერთვალება ბიჭუნას შეშლილ მზერაში ჩატეულია რაღაც საშინელით გაოგნება. დედის იგივე ფერის თვალები მხოლოდ ცრემლითა და ტრაგედიასთან შეგუებითაა სავსე. პრეზიდენტ პუტინის ცისფერ თვალებში კი მხოლოდ კრემლის ტელესტუდიაში დადგმული სუფლიორის ტექსტი ირეკლებოდა.

# რუსეთში გლოვის დღეებია

პირველი გვერდიდან

### რამდენი ტერორისტი შეიჭრა ბესლანის №1 სკოლაში და ვინ იყვნენ ისინი?

ინგუშეთის საზღვრიდან გადმოსული შეიარაღებული ჯგუფის წევრთა ოდენობა დღემდე დადგენილი არ არის. სხვადასხვა მონაცემებით მათი რიცხვი 32-დან 50-მდე მერყეობს. მათ შორის იყვნენ როგორც ჩეჩნები, ასევე ინგუშები, ოსები და, დაუზუსტებელი ინფორმაციით, რუსებიც კი. პარასკევს რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ასლანბეკ ასლახანოვმა განაცხადა, რომ თავდამსხმელთა შორის არაბები და ერთი შავკანიანიც იყო. რუსეთის ხელისუფლების მიერ პირველივე დღეებიდან კეთდებოდა მინიშნებები, რომ ბესლანის სკოლაში გამაგრებული ტერორისტები "ალ-ქაიდა"-ს ქსელთან არიან დაკავშირებულნი. ამ ვერსიის სასარგებლოდ ჯერჯერობით არავის წარმოუდგენია მტკიცებულებები, ასე რომ, თავდამსხმელთა კავშირს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან ჯერ კიდევ დამტკიცება სჭირდება.

### რა მოთხოვნები წამოაყენეს ტერორისტებმა?

ბუნდოვანი, ურიერთგამომრიცხავი ცნობები არსებობს ტერორისტთა მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესახებაც. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თავდამსხმელები ინგუშეთში ივნისში განხორციელებული რეიდის შემდეგ დაკავებულთა გათავისუფლებას ითხოვდნენ. მოგვიანებით ჩნდება ცნობები, რომ ტერორისტები ჩეჩნეთიდან რუსული ჯარის გაყვანას ითხოვენ. ერთ-ერთი ვერსიით, სკოლაში მოლაპარაკების მიზნით შესულმა ინგუშეთის ყოფილმა პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა იქიდან ტერორისტთა წერილობითი მოთხოვნები გამოიტანა და ეს მოთხოვნები 15 წუთის შემდეგ პუტინის მაგიდაზე იდო. ძნელი სათქმელია, რამდენად სარწმუნოა ეს ფაქტი. მაგრამ თავად ის ვითარება, რომ ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა მოთხოვნების წამოყენების ფაქტის დასაფარად, თავისთავად ეჭვს აჩენს.



*ჩრდილოეთ ოსეთში დაღუპულებს ისე კრძალავენ, რომ არ იციან, ვისი ხელით არიან ისინი მკვდარი.*

### რამდენი მძევალი იყო შენობაში?

დღესაც არ ვიცით, ზუსტად რამდენი ადამიანი იყო სკოლის შენობაში. საგულისხმოა, რომ ოფიციალური წყაროები პირველი დღიდან მათ რაოდენობას შეგნებულად მალავდნენ და აშკარად შემცირებულ რიცხვს ასახელებდნენ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბესლანის №1 სკოლაში 1000-ზე მეტი მძევალი იმყოფებოდა.

### წარმოებდა თუ არა მოლაპარაკებები? ვინ ასრულებდა შუამავლის ფუნქციას?

მძევლების აყვანისთანავე, ჩნდება ინფორმაცია, რომ ტერორისტები მოლაპარაკებებს მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის პრეზიდენტების, ალექსანდრ ძასოხოვის და მურატ ზიაზიკოვის, ასევე ცნობილი ბავშვთა ექიმის, ლეონიდ როშალის გარდა არავისთან წარმართავდნენ. მიუხედავად ოფიციალური წყაროების განცხადებებისა, დადასტურებული არ არის, მიმდინარეობდა თუ არა მართლა ამ პირებთან მოლაპარაკება. ერთადერთი, რაც ცნობილია, ისაა, რომ ხუთშაბათს სკოლაში შესვლა და იქიდან 26 მძევლის დახსნა ინგუშეთის ყოფილმა პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა მოახერხა.

### რატომ დაიწყო შტურმი?

ოფიციალურ განცხადებებს თუ დავუჯერებთ, ეს არ ყოფილა შტურმი და მხოლოდ ტერორისტთა მიერ დაწყებული სროლის "საპასუხო ცეცხლი" იყო. "რაიმე სახის ძალისმიერი აქცია ჩვენ მიერ არ დაგეგმილა. ჩვენ ვაპირებდით მოლაპარაკებებს მძევალთა მშვიდობიანად გათავისუფლების მიზნით," - ამბობს ადგილობრივი უშიშროების უფროსი ვლადიმირ ანდრეევი. ოფიციალური ვერსიის თანახმად, სპეცრაზმი იძულებული გახდა, ჩარეულიყო, რადგანაც შენობაში აფეთქებებისა და სროლის ხმა გაისმა, ხოლო შენობიდან გამოქცეულ მძევალთა პირველი ჯგუფი "ბოევიკთა" მიერ გახსნილი ცეცხლის ქვეშ მოექცა. რუსული სპეცსამსახური აცხადებს, რომ ტერორისტებმა დაარღვიეს დილით მიღწეული შეთანხმება მოკლულთა ცხედრების გადაცემის თაობაზე, და როდესაც მათ წასაღებად სკოლის ეზოში საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს წარმომადგენლები შევიდნენ, სპორტდარბაზი ააფეთქეს. განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს ერთ-ერთი ყოფილი მძევალი, რომლის თქმითაც სპეცრაზმმა შენობაზე შტურმი სპორტდარბაზში შემთხვევით აფეთქებული ბომბის შემდეგ დაიწყო. "ასაფეთქებელი მოწყობილობები კედლებზე "სკოტჩით" იყო მიმაგრებული. ერთი ბომბი ჩამოვარდა და აფეთქდა," ამის შემდეგ მოვლენებში ძალოვანები ჩაერთვნენ. სინამდვილეში რა მოხდა, კვლავაც უცნობია, და, სავარაუდოდ, არც არასოდეს გაირკვევა. ფაქტია, თავიდანვე ნათელი იყო, რომ რაიმე სახის ძალისმიერ ოპერაციას სპეცსამსახურები ყველა შემთხვევაში განახორციელებდნენ. მაგრამ, თუ ეს დაგეგმილი ოპერაცია იყო, ამხელა მსხვერპლი რატომ მოჰყვა?

*ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში სამი დღის განმავლობაში მიმდინარე დრამის დასასრული, რომელსაც მთელი მსოფლიო, გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, სულგანაბული ადევნებდა თვალს, მეტისმეტად სისხლიანი გამოდგა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 6 და 7 სექტემბერი გლოვის დღედ გამოაცხადა. ვინ არის მომხდარში მთავარი დამნაშავე? ზედაპირული პასუხი – რა თქმა უნდა, ტერორისტები. თუმცა, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც პრეზიდენტი პუტინი გაექცევა. მან პირობა დადო, რომ ხელისუფლების მთავარი ამოცანა მძევლების სიცოცხლის გადარჩენა იქნებოდა. ამ ამოცანის ნაწილობრივ შესრულებაც კი საეჭვოა: კვირას ბესლანში პირველ დაღუპულებს აბარებდნენ მიწას და მთელი ქალაქი ჭირისუფალი იყო - ზოგი შვილს გლოვობდა, ზოგი მეუღლეს, დას, ძმას, ნათესავს, ან მეზობელს. ერთ-ერთი სატელევიზიო არხის საშუალებით ასეთმა ფრაზამაც გაიჟღერა: "ბესლანის ყოველ მეხუთე ბავშვს ამ დღეებში მიწას მიაბარებენ."*

**24 საათი**

## რაღაცა დაიწყო



არგონავტები აბრეშუმის ფაბრიკაში

B2

## დასაწყისი კარგია, გაგრძელება უკეთესი უნდა იყოს




B4

## ხუთი მკვლელობა ერთ ღამეში



B8

ნოდარ ლადარია

ორშაბათს, 30 აგვისტოს “24 საათმა” გამოაქვეყნა **თამაზ გიორგაძის** სტატია გრძელი სათაურით: *თბილისური ევრორემონტი ანუ ოპერაცია “სტრუქტურული კონსოლიდაცია”*. სტატია ქალაქის განაშენიანებას შეეხება და, თავისთავად, საკმაოდ მწვავეა. როგორც ეტყობა, მისი ტექსტი მრავალ დაინტერესებულ პირს მოხვდება გულზე. მე სულ სხვა მიზნით უნდა მოვიყვანო ამ სტატიიდან ერთი ადგილი, მაგრამ ჯერ უნდა ავხსნა, რომ ავტორი ერთი ინგლისური დოკუმენტის ქართულ თარგმანს აკრიტიკებს. თარგმანში ერთი წინადადება ასეა მოყვანილი: “**ურბანული პოლიტიკის სოციალური ასპექტები უნდა მოიცავდეს: შენობების სტრუქტურულ კონსოლიდაციას...**”. თამაზ გიორგაძე სამართლიანად აღნიშნავს: “structural consolidation **ქართულად მხოლოდ და მხოლოდ “კონსტრუქციულ გამაგრებას” ნიშნავს, ანუ დაზიანებული სახლების გამაგრებაზეა, მეგობრებო, საუბარი და არა ჩვენთვის, უბრალო ადამიანებისთვის რაღაც მიუწვდომელ მატერიაზე**”. ესეც ასე! — ვერა, ვერ ვთარგმნით თურმე ქართველები ინგლისურიდან უბრალო სიტყვას: consolidation. სულ რაღაც ამაღლებული და საბედისწერო რაღაც გვეჩვენება. სინამდვილეში კი საუბარი ხან უბრალო ჩამოყალიბებაზეა, ხანაც — უბრალო გამაგრებაზე. მაინცდამაინც უფრო რთულს ვართ დახარბებული:



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




დასავლეთისგან სასწაულებს ველოდებით, ისინი კი მხოლოდ ჩამოყალიბება-გამაგრებაზე გვიჩიჩინებენ, მოდი და ნუ გეწყინება ამხელა ისტორიისა და შინაგანი კულტურის მქონე ერს! ჰოდა, ვთარგმნით ამ უბრალო სიტყვას, ვის როგორ მოგვეპრიანება...

აგერ, **ნიკა იმნაიშვილიც** არა და არ მეშვება. იმავე 30 აგვისტოს ნომერში ისევ ლამის ორნახევარი გვერდი მოანდომა ჩემთან კინკლაობას (იხ. *შემეცნების ტკივილი*). მართალია, ბოლომდე ვერ ჩავედი, მერე სულ აბზაცებზე ხტომა-ხტომით განვაგრძე კითხვა (მე მეხებოდა და ვერ გავუძელი, ვისაც არ ეხება, ნეტა, როგორ წაიკითხავს ამ გოლიათურ ოპუსს), მაგრამ ვფიქრობ, რომ საკმარისი წარმოდგენა შემექმნა ამ ტექსტზე. ნიკა იმნაიშვილი დისკუსიის დონეს მიწუნებს...

მართალია, მე გამოვიყენე წინა კვირის პუბლიკაციაში სიტყვა “დისკუსია”, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ირიბად ვეხმაურებოდი ეკა კვესიტაძის სვეტს *ზღვარი სახელმწიფო ინტერესებსა და ცენზურას შორის* (24 აგვისტო). რაც შეეხება ჩემს რეაქციას ნიკა იმნაიშვილის ბოლოდროინდელ სტატიებზე, ალალად ვაღიარებ, რომ ჩემი მხრიდან ეს დისკუსიაში ან პოლემიკაში ჩაბმა კი არა, წმინდა წყლის ქილიკი იყო. ბუნებრივია, წინააღმდეგობა არავის სიამოვნებს, მაგრამ თუ მაინც ვერ აირიდებ თავიდან, ყოველთვის წარმოგიდგენია, რომ მოწინააღმდეგე უნატიფესი ირონიით დაგიპირისპირდება. რაოდენ ძლიერი უნდა იყოს იმედგაცრუება, როცა ხელში თითზე უფრო მსხვილი სარკაზმი შეგრჩება!

სარკაზმი კი, მაპატიეთ, საკმაოდ გაუზრდელი ბავშვია და დონეებად დაყოფას არ დაგიდევთ. აი, თუნდაც **უმბერტო ეკოს** სტატია ავიღოთ, რომელიც 2 სექტემბერს გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში — როგორ მასხრად იგდებს მისი ავტორი **მელ გიბსონის** ფილმს ქრისტეს ვნებებზე. ტექსტის თარგმნისას ბევრჯერ შევარბილე მისი იტალიური, თორემ ნიკა იმნაიშვილს კი არა, ბარე ორსაც აეწვებოდა ყურები იმ სიტყვების გაგონებით. ეს სტატია კი პატივსაცემ იტალიურ ჟურნალში, “ესპრესოში” გამოქვეყნდა და მისი ავტორი “24 საათის” უბადრუკი პრეს-ომბუდსმენი კი არა, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ინტელექტუალია. აი, რას ნიშნავს ქილიკი.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც ქილიკის საფუძველი გახდა ჩემთვის ნიკა იმნაიშვილის სტატიები, და არა დისკუსიის ან პოლემიკისა?

ამაზე უკვე გასცა პასუხი ჩემმა ორმა პუბლიკაციამ. ჩემმა მკითხველმა იცის, რომ ამასაც დამსახურება სჭირდება (ახლა არ მოვყვები იმ ტექსტების ჩამოთვლას, რომელზედაც პასუხი არ გამიცია) და რადგან თვით ავტორი ვერ ხვდება ამას, კიდევ ერთი, უკანასკნელი განმარტება, როგორც ჩანს, აუცილებელია.

ავტორმა, რომელიც ამჯერად ნიკა იმნაიშვილად მოგვევლინა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაითქვა სახელი იმით, რომ გაჭირვების შემთხვევაში ადვილად და ოპერატიულად უვსებდა რედაქტორებს საგაზეთო სივრცეს. იმხანად მასალები ყველას უჭირდა და, როგორც ამბობენ, ასეთი დახმარება ერთხელ **ლევან რამიშვილსა** და **გიგა ბოკერიასაც** კი დასჭირდათ, როცა გაზეთ “არგუმენტს” გამოსცემდნენ. გასაგებია, რომ ადამიანი, რომელიც **ამდენს** წერს, არ შეიძლება წერდეს **ჭკვიანურად**. მაგრამ არაფერია, დაიწყება შემოდგომა, დასრულდება საპარლამენტო არდადეგები და სეზონური იმნაიშვილობაც მიეცემა დავიწყებას. მე უფრო სხვა მადარდებს: ნუთუ მართლა ასე გაუჭირდა გაზეთს, რომლის მთავარი თემები ბოლო დროს მე ნამდვილად ბრწყინვალე ჟურნალისტურ ნამუშევრად მიმაჩნია?

ბოლოს და ბოლოს, ამაშიც არაფერია ტრაგიკული. ჩემთვის ეთქვათ: რამდენიმე ავტორს მივუთითებდი, რომლებიც დალაგებულ ტექსტებსაც შექმნიდნენ და ისეთ უცნაურ და ხელოვნურ გამოთქმებსაც არ იხმარდნენ, როგორიც “კოგნიტიური დისონანსია”.

მაგრამ მასალის ნაკლებობას როგორ უნდა ვუჩიოდეთ, როცა ასე დაუდევრად ვეპყრობით არსებულ და, პირდაპირ ვთქვათ, ზედაპირზე მდებარე მასალას. აი, მაგალითად, თავდაცვის მინისტრის, **გიორგი ბარამიძის** ბრიფინგი. ამ მოვლენას 2 სექტემბრის ნომერში **გიორგი ასანიშვილი** შეეხო მასალით *თავდაცვის მინისტრი უტევს და თავს იცავს*. ჯერ ლაპარაკია ხელყუმბარების დანაკლისზე, შემდეგ “ორცხობილების საქმეზე” და ბოლოს იმაზე, თუ როგორ აქარწყლებს მინისტრი თავისი გადადგომის თუ გათავისუფლების შესახებ ჭორებს. მაგრამ არაფერია ნათქვამი ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტზე: რეზერვისტების უკმაყოფილებაზე, რომელსაც, ხელფასის დაგვიანების გამო, სამინისტროს ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გამოესალმა თანამდებობას. “კურიერის” მიერ გადმოცემულ რეპორტაჟში ყველამ აშკარად გავიგონეთ, რომ თავდაცვის მინისტრმა “ანტიპატრიოტული” უწოდა “რუსთავი-2”-ის მიერ რეზერვისტთა უკმაყოფილების გაშუქებას. რატომ? როდიდანაა სიმართლე ანტიპატრიოტული? დავიყვანოთ მინისტრის შეფასება აბსურდამდე:

პატრიოტული იყო თუ არა იმ რუს სპეცრაზმელთა მოქმედება, რომლებმაც ბრძანება შეასრულეს და ბესლანის სკოლის შტურმი დაიწყეს?

ამ მოქმედების ინტენცია, ანუ შინაგანი განზრახვა, რა თქმა უნდა, დაფარულია და მნიშვნელობას მოკლებული. შედეგი კი კატასტროფული. კატასტროფული არა მარტო მსხვერპლთა და მათ ჭირისუფალთათვის, არამედ მთელი ქვეყნისთვისაც. პატრიოტიზმი არ ემორჩილება რომელიმე რეგლამენტაციას, მით უმეტეს, ყველასათვის ცხადია, რომ ის ცალსახად არ ნიშნავს ხელისუფლების ინტერესების მხარდაჭერას. მეორე მხრივ, პატრიოტიზმი არც მაინცდამაინც ეთნიკური გამორჩეულობის პრიორიტეტია: განა პატრიოტული არაა იმ უზბეკების ან ბერძნების მეცადინეობა, რომ ქართველი სპორტსმენი შეიტკბონ და უხვად დააჯილდოვონ წარმატებისთვის? აბა, ის ვიკითხოთ, ფერეიდნელი ქართველები 70-იან წლებში რატომ დაბრუნდნენ ირანში — კომუნისტურ მმართველობას ვერ შეეგუენ, თუ კახელი გლეხების აუტანელ ბილწსიტყვაობასა და მათგან თათარო-თათაროს ძახილს? პატრიოტიზმი არც აუცილებლად ცალმხრივია: რატომ უნდა გვიყვარდეს სამშობლო, რომელსაც არ ვუყვარვართ? ასე რომ, პატრიოტიზმი გაცილებით უფრო რთული და ფაქიზი რამაა. ერთი კი შეიძლება ითქვას: თუ არ არსებობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან თანხმობა, არც პატრიოტიზმი არსებობს. სიმართლის ჩვენება კი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა.

თუ თავდაცვის მინისტრს სუსტი ადგილების მიჩქმალვა და პატრიოტიზმი ერთი და იგივე ჰგონია, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ამის ნათელი დადასტურებაა 3 სექტემბრის მთავარი თემა: *რატომ გაათავისუფლეს გენერალური შტაბის უფროსი*. ჩვენ კი ის ვიკითხოთ: როდის გაათავისუფლეს? როცა ურემი გადაბრუნდა. მანამდე მიჩქმალვას ჰქონდა ადგილი, როგორც ეტყობა, ძალიან პატრიოტულ მიჩქმალვას, მაგრამ ეს პატრიოტიზმი დაგვიჯდა ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე ქართველების სიცოცხლედ. აქ არ დავიწყებ გივი იუკურიძისადმი ინკრიმინირებული სისუსტეებისა და დაუდევრობების ჩამოთვლას. ჩამოვთვლი მხოლოდ რამდენიმე გვარს, რომელსაც ეს ინკრიმინერება ეყრდნობა: **დავით თევზაძე**, **კახაბერ კაციტაძე**, **ლაშა ქოიავა**. არც ერთი “ახალი” გვარი — სამივე “რევოლუციამდელია”. ეს მეტად საგულისხმო დეტალია, თუ გავითვალისწინებთ, რა ჭორი დადის თბილისში. ამბობენ, რომ თევზაძის ხალხი ჯერ სულ დაითხოვეს ჯარიდან, მაგრამ ცხინვალის კრიზისის დროს სულ ფაციფუცით დააბრუნეს თავის ადგილზე. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს, მაგრამ სასურველი იქნება, თუ ჩვენი კოლეგები “24 საათის” დამატებიდან “სამხედრო” ამის შემოწმებასაც მოახერხებს.

ჩემი აზრით კი პატრიოტიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და ვალი დღეს შემდეგია: არანაირად არ მივცეთ თავის ნებაზე პარპაშის საშუალება ხელისუფლებას. სხვა სიტყვებით კი ყველაზე პატრიოტული მისია დღეს სამოქალაქო საზოგადოების შექმნა და განმტკიცება უნდა იყოს. ამის ყველაზე ნათელი მტკიცებულება დღევანდელი რუსეთია. აქ იმდენად იხშობა თავისუფალი სიტყვა, იმდენად იმღვრევა საზოგადოების ნორმალური არსებობისთვის აუცილებელი გამჭვირვალება, რომ, ღმერთო მაპატიე ამ ცინიზმისთვის, ტერორიც კი სრულიად არაეფექტურია. იმედია, ტერორისტებსაც ეყოფათ სალი აზრი და მიხვდებიან, რომ მათი უმეტესი სისასტიკე უმეტესად უმტკიცებს პოზიციებს პუტინის უგულო მმართველობას.

ჩვენთან კი გამჭვირვალებასა და სინამდვილის ლოგიკურობას უგულობა კი არა, გადაჭარბებული გულიანობა ზღუდავს, თუ ამგვარად იმ ღვლარჭნილ და გადამტკბარ რიტორიკას აღვნიშნავთ, რომელიც ხშირად პატრიოტიზმში გვერევა. ამის მაგალითიც მოგვცა გასულმა კვირამ: **სანდრო მამასახლისის** ორ ნომერზე გაჭიმული (30-31 აგვისტო) მონოლოგი — *ჩემი კრიალოსანი*. სულ არ ვაპირებ ახლა იმისთვის ნიშნის მოგებას, რომ ავტორი ოდესღაც ტელევიზიაში საბჭოთა ცხოვრების წესს ასაღებდა უმაღლეს პატიოსნებად, ახლა კი იმით იკავებს ჩვენს დროს, რომ ყოფილ პარტნომენკლატურას ლანძღავს. მე მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავ: ავტორი ქართულ მიწას უმღერს დითირამბებს, ყურძნის ჯიშებს ელოლიავება სიტყვით. ერთ ადგილას კი წერს: “**ალბათ ბევრს ახსოვს ის სიხარული, როცა ხილ-ბოსტნეულის სახელმწიფო მაღაზიის მისი “აღმატებულება” გამყიდველი, დიდსულოვნად გვიწყალობებდა უფლებას, მათივე ნესტიან საწყობში, მიწაზე დაყრილი კარტოფილის ტალახიან გროვაში, თავად აგვერჩია სალი, საჭმელად გამოსადეგი ნაყოფი...**”. კარტოფილი ძაღლყურძენასებრთა ოჯახის მცენარეა და მისი ნაყოფი არ იჭმევა. მე კი არ მჯერა იმისა, ვინც ასე ეგზალტირებულად უმღერის სასოფლო-სამეურნეო შრომას, ასე აგინებს ვაჭრობას, კარტოფილის ბოლქვებს კი ნაყოფად მოიხსენიებს. ასეთ პატრიოტიზმს მე არ ვაღიარებ. თუმცა ნამდვილი პატრიოტიზმის მაგალითისთვის შორს წასვლა არ მჭირდება: ეს ჩვენი ავტორის მამაა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, **ვაჰან მამასახლისოვი**. მე, როგორც ფიზიკოსი, მისი მოწაფეების გაზრდილი ვარ და მათთვის (ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ადამიანებისათვის) დღემდე სრულიად აშკარაა ჭეშმარიტება: ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა მიღწეულს, რომ არა ვაჰან ივანიჩისგან წამოსული პირველი მძლავრი იმპულსი. კვანტური მექანიკის ლექციათა კურსი (წიგნს ხელს აწერენ მამასახლისოვი, ჭილაშვილი, ვაშაკიძე) ამ საგნის ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოა მსოფლიოში არსებულთა შორის. მეცნიერთა არაერთი რეალური თაობის გამზრდელი მამა თავის ვაჟს ასეთ ტერმინოლოგიურ უზუსტობას არ აპატიებდა...

მაგრამ გასული კვირა მხიარულიც იყო: 2 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა, **მიხეილ სააკაშვილმა** გაგვახარა თავისი გასაოცარი და, მე ვიტყოდი, გამოუცნობი იუმორის გრძნობით. ვგულისხმობ რუბრიკას “ოფიციოზი”, რომელშიც გამოქვეყნდა პრეზიდენტის განკარგულება №785 — საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. გაუწყებთ საბჭოს შემადგენლობას: **სოსო ცინცაძე** (თავმჯდომარე), **გიორგი გაჩეჩილაძე**, **იგორ კვესელავა**, **რამაზ საყვარელიძე**. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე პირველი არხი აიტაცებს “202”-ის ინოვაციას და კომპიუტერ-ინგლისურის საიდუმლოთა ნაზიარები ქართველებისთვის ეთერში გამოვა გადაცემა The Best of Abon Tsitsiashvili საკრამენტული ფრაზით: “პრეზიდენტ ფორდს უჭირს!”.

მაგრამ ამას ალბათ აგვარიდებს უფალი, რადგან “202”-ის ინოვაციებს (პირველი არხის ხელმძღვანელობაზე რომ არაფერი ვთქვათ) დაუძინებელი მტერი ჰყავს **ქეთევან იგნატოვას** სახით. 4 სექტემბერს მან გამოაქვეყნა ერთგვარი “შავი სია”. რა არის ჩვენს რეალობაში ცუდი? — ამ სიაში ერთმანეთის გვერდით მოხვდნენ აჩი მეფარიძე, ლაღიძის წყლების შენობა სანაპიროზე, შალვა ნათელაშვილი, თვით კოტე, უკანონო დაჭერები, “სარკე და ბომონდი”, ავთო ცქვიტინიძის მოდა, უპოზიციობა და კონფორმიზმი, მწერალთა კავშირი, მექრთამეობა, ერთი სიტყვით, ქეთევან იგნატოვამ ხელის თუ ცოცხის ერთი მოსმით გადაწყვიტა ჩვენი ცხოვრების განწმენდა-გაკეთილშობილება. მოდით, ნუ მივაქცევთ ყურადღებას ამ სიის ეკლექტურობას, ნურც იმას შევიცხადებთ, რომ ქართული გულახდილობის მწვერვალი იმის აღიარებაა, რომ ჯონდი ბაღათურია არ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურ ფიგურას, ნურც იმას შევედავებით, რომ “202”-ის კოტე, რაც არ უნდა “ცუდი” იყოს, ბევრად ჯობია, მაგალითად, **დათო გომართელის** “ატკრივალკას”. განა მარტო ესაა ამ ტექსტში გასაკვირი? — აი, თუნდაც ის ადგილი ავიღოთ, სადაც წერია, რომ კულტურის მინისტრი ერთმანეთისგან ვერ არჩევს “სონეტს” და “სონეტას”. მე, მაგალითად, სულ არ ვიცი, რას ნიშნავს “სონეტა”. ალბათ “სონატა” უნდა იყოს. და საერთოდაც, სტატიაში უამრავი კორექტურა შეიმჩნევა.

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# რაღაცა დაიწყო

## არგონავტები აბრეშუმის ფაბრიკაში

ანა კორძაია-სამადაშვილი

რამდენადაც არ უნდა მეჯავრებოდეს, ზოგჯერ წვიმაც კარგია. გუშინ რომ სიცხე ყოფილიყო, ალბათ იმის ნახევარიც ვერ გაკეთდებოდა, რაც გაკეთდა, და მტვრის ყლაპვას ალბათ ვერც მე გავუძლებდი, - ის ერთი საათიც კი, რაც აბრეშუმის ფაბრიკის შენობაში დავყავი.

ამ პროექტის შესახებ აგვისტოს ბოლოს უკვე გიამბეთ, მაგრამ მათთვის, ვისაც სახელწოდება "სახელოსნო კოლხეთში" არაფერს ეუბნება, კვლავ მოვყვები, რომ წელს, სექტემბრიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, ფიქრის გორაზე, რომელიც ჩემი დიდი ეჭვით, თავდაპირველად მაინც ფეიქრისა იყო (აბა, ღრმად დაფიქრებული ვერელი მე ბევრი არ მინახავს. ვხუმრობ, არ გაბრაზდეთ), ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე ერთგვარი შუასაუკუნეების სახელოსნო იარსებებს. აქ ქართველი ხელოვანები და გერმანელი მოქანდაკე, ჰანს შაიბი იმუშავებენ, და ხისგან - პანკისის ხეობიდან ჩამოტანილი უზარმაზარი მორები უკვე ფაბრიკის შენობის წინაა დალაგებული - შექმნიან არგონავტებს, ღმერთებს, მედეას, და ხეში გამოაქანდაკებენ იმას, თუ რა ხდება ქალსა და მამაკაცს და მამაკაცსა და ქალს, წასულ და მომავალ თაობებს შორის, რა იყო და რა არის მამაკაცთა საზოგადოება და როგორია ის, ერთადერთი, ყველაზე სასურველი და ყველაზე დაუნდობელი ქალი.

მაგრამ სანამ თავად არგონავტებს და მშვენიერ მედეას მიადგებოდნენ, შეკრებილმა მამაკაცებმა "სახელოსნო კოლხეთში" უნდა მოაწესრიგონ.





მამაკაცები კედელს ანგრევდნენ, უფრო სწორად, იმ ქვის წყობას, რომელიც ოდესღაც დიდებულ თაღს ავსებდა და რომლის ცენტრშიც სრულიად უმისამართო მრგვალი ფანჯარა იყო ამოჭრილი.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

არ ვიცი, ყოფილხართ თუ არა ბოლო დროს აბრეშუმის ფაბრიკაში. თუ არ ყოფილხართ და საშინელებათა ფილმის გადასაღებად ადგილს ეძებთ, ან მძაფრი შეგრძნებები მოგნატრებიათ, ან კიდევ ერთხელ ისურვებთ იმაში დარწმუნებას, რომ ქართველებს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობად მხოლოდ ალავერდი მიგვაჩნია, აუცილებლად მიბრძანდით. აქ ყველაზე კარგად შეიძლება იმის დანახვა, თუ რა არის "ნაშთი ძველი დიდებისა". და როცა გავიგე, რომ ერთი შესანიშნავი ყმაწვილი ამ დალოცვილ ადგილას ღამესაც ათევს ხოლმე, მივხვდი, რომ თვალსაჩინოდ მშიშარა ადამიანი ვარ: არავითარი თანხის, არავითარი სიხარულის, თვით სულის ცხონების ფასადაც ვერ დავრჩებოდი მარტო ამ უზარმაზარ, გაპარტახებულ, ნაგვით სავსე და მაინც დიდებულ შენობაში.

ის დარბაზი, რომელშიც სახელოსნო იქნება განლაგებული, უკვე მეტ-ნაკლებად ადამიანურად გამოიყურება. მეტსაც მოგახსენებთ: ფრიად შთამბეჭდავი სანახავია. წარწერები, როგორიცაა "ლადო! მიყვარხარ. ნატა"; თითქოს გამწარებულ გულზე გაკეთებული კედლის მხატვრობა და იქვე რატომღაც მკვდარ იისფრად შეღებილი კედელი; იქ, სადაც ოდესღაც ფანჯრები იყო, ბადეა აკრული, და სველი ფოთლები მოჩანს.

როდესაც მივედით, მამაკაცები კედელს ანგრევდნენ, უფრო სწორად, იმ ქვის წყობას, რომელიც ოდესღაც დიდებულ თაღს ავსებდა და რომლის ცენტრშიც სრულიად უმისამართო მრგვალი ფანჯარა იყო ამოჭრილი. "ბერლინი, 1989," - ჩაილაპარაკა ჰანს შაიბმა, პროექტის მონაწილემ, უფრო სწორად, ხელმძღვანელმა, მაგრამ მას ეს წოდება არ მოსწონს, ამიტომ უბრალოდ ჰანსად მოვიხსენიოთ ხოლმე. ნგრევის პროცესის შემყურე დაახლოებით მივხვდი, რას გრძნობდნენ მტრის ციხე-სიმაგრის კარიბჭის შენგრევისას ჯარისკაცები და იმასაც კარგად მივხვდი, თუ რატომ ითვლება მჭედლების ხელობა ძალიან ვაჟკაცურად - კარგია, როცა კაცს უროს მოქნევა შეუძლია...

"ამ დარბაზში," - მიხსნიდა ჰანსი, "სულ სხვა სამყარო იქნება. "ის, რომ აქამდე მოსაღწევად ნაგვის მთების გადალახვა მოგვიწევს, არც ისე საშინელი ამბავია. გამოფენის გახსნის დღეს აქ ისეთი ვითარება იქნება, რომ მორთული ქალბატონებიც თავმომწონედ შეძლებენ შამპანურის წრუპვას".

მერე კედელი დაინგრა, მტვერი ჩადგა. მამაკაცები ჩამოსხდნენ, ლუდი ჩამოასხეს და ყველაფერზე ვილაპარაკეთ - არგონავტებზეც, მედეაზეც, ტერაქტებზეც და ვილაცის ქორწილზეც (ოღონდ ვისი იყო ის ქორწილი, არ ვიცი). ჰანსმა ყველა გააფრთხილა, რომ ის ტიპიური გერმანელი დიასახლისის თვისებებს ავლენს ხოლმე და თქვა, რომ სამუშაოს დამთვარების შემდეგ დარბაზი უნდა დასუფთავდეს და მოიგავოს. აბრეშუმის ფაბრიკაში ამან განსაკუთრებით უცნაურად გაიჟღერა, და ფაბრიკა რომ სულიერი ყოფილიყო, ალბათ ხელებს გაასავსავებდა და იკითხავდა: "ეს რა იყო, ხალხო, ჰა?"...

ასე ვისხედით, სანამ ჰანს შაიბი კვლავ უროს არ დასწვდა და მე სინდისმა არ შემაწუხა. ჰოდა, წამოვედი, და როგორ განვითარდება მოვლენები აბრეშუმის ფაბრიკაში - ამას შემდგომში მოგითხრობთ.

# "მიდი, მიდი, მოვდივარ"

თამარ სუხიშვილი

ყველაფერი ასე დაიწყო. ზაფხულის ცხელ სეზონზე ნაყინების ერთჯერადი სერია გამოვიდა, სახელად "უცნობი". ამ ნაყინს ბავშვები იმის მერე უფრო მიეძალნენ, როცა გაიგეს, ვინც ნაყინის ორმოცდაათ ჯოხს შეაგროვებს, უცნობის კლიპში გადაიღებენო. ერთ დროს ნიღბიანი უცნობი კი, რომელიც ახლა ბავშვებისთვის კარგად ნაცნობი გახდა, პატარა მსმენელს ძალიან უყვარს (ამაში იმ დღესაც დავრწმუნდით - კონცერტის წინ უცნობს ბავშვები ეხვეოდნენ, ავტოგრაფებს სთხოვდნენ და აჩხაკუნებდნენ და აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს). ამიტომ უცნობის კლიპში გადაღების მსურველი საკუთარი ნებითა თუ აქტიური მშობლების ინიციატივით საკმაოდ ბევრი გამოჩნდა. იცოცხლე, ბავშვებმა კი გაიხარეს - ჭამეს და ჭამეს ნაყინები (სხვა დროს ვინ მისცემდა ზედიზედ 50 ნაყინის ჭამის ნებას) და შაბათ დილას (4 სექტემბერს) ჯოხებით შეიარაღებულები ამაყად გამოცხადდნენ შეხვედრის ადგილზე - რესპუბლიკის მოედანზე, სადაც, აქაოდა ბავშვები შეიკრიბნენო, მე მგონი, ქალაქის ყველა უბნიდან მოიყარეს თავი მენაყინეებმა. თუმცა ასეთი უიღბლო დღე ალბათ არც ახსოვთ. არცერთი ნაყინი არ გაუყიდიათ. ვიღას ჰქონდა ნაყინის ჭამის თავი. თანაც ჩვენმა პატარებმა უკვე ნაყინის მიზნობრივი რეალიზაცია ისწავლეს...

რესპუბლიკის მოედნიდან კლიპის პატარა მონაწილეებით დახუნძლული ორი დიდი ავტობუსი გადასაღები მოედნისკენ დაიძრა.

ეს გადასაღები მოედანი კი ქარელი გახლდათ, ის ადგილი, "შოთას წყაროს" რომ ეძახიან. აქ თბილისიდან ჩასულთა დასახვედრად და კლიპში მონაწილეობის მისაღებად ქართველი სამხედროები შეკრიბეს. სწორედ ისინი დაეხმარნენ კლიპის ავტორებს ე.წ. გადასაღები მოედნის მოწყობაში საბრძოლო ტექნიკით - ჯავშანტრანსპორტიორებით, სამხედრო ვერტმფრენით, რომლის გამოჩენამაც პატარების დიდი ჟრიამული გამოიწვია.

ახლა ორიოდე სიტყვით თავად კლიპის შესახებაც. ეს იმ სიმღერის კლიპი გახლავთ, რომლის პრეზენტაცია ჯერ კიდევ 14 აგვისტოს უნდა გამართულიყო კვარიათში, ფესტივალ "პონტოს" გახსნაზე, მაგრამ ჩაიშალა, რადგან ჩანაწერი დაიკარგა.

"მიდი, მიდი, მოვდივარ" (ანუ ძალა ერთობაშია) - ასე ჰქვია სიმღერას. მას უცნობი და ნიკოლშოუ ასრულებს. "მიდი, მიდი, მოვდივარ" პირველად სწორედ ქართველი ჯარისკაცებისთვის გამართულ კონცერტზე შესრულდა (ცხინვალის დაძაბულობის დროს,



თამარ სუხიშვილის ფოტო

ქართველი ჯარისკაცები ერთი პატარა შემოქმედებითი პროცესის დამსწრენი და თანამონაწილეები გახდნენ. სულ მალე ყველაფერს უცნობისა და ნიკოლ-შოუს ახალ კლიპში ვიხილავთ.

როდესაც გორის სიახლოვეს დისლოცირებული სამხედრო ბატალიონის გასამხნევებლად კულტურის სამინისტროს ორგანიზებით კონცერტი ჩატარდა), მერე - ოლიმპიელებთან შეხვედრაზე, მესამედ კი აქ - ქარელში. სანამ კლიპის გადაღებას დაიწყებდნენ, უცნობმა და ნიკოლ-შოუმ ჯარისკაცებისათვის კონცერტი გამართეს. როგორც გავიგეთ, კლიპს კონცერტის დროს გადაღებულ კადრებსაც ჩაურთავენ. კლიპის რეჟისორი გია ჭანტურიაა.

კონცერტზე ბავშვებმა ჯარისკაცებთან ერთად ბევრი იხალისეს, იცეკვეს, ჯარისკაცებთან საერთო ენა გამონახეს და დაუმეგობრდნენ კიდეც. ზოგმა გაბედა და იარაღიც კი მოსინჯა. ერთადერთი, რაც ჯარისკაცებს კონცერტზე "არ მოეწონათ", უცნობის ძველი სიმღერა "ერთი, ორი, სამი" იყო. კარგი რა, ერთი-ორი-სამი და "სმენაზე" დგომა მწყობრში არ გვეყოფაო - აქეთ-იქიდან მხიარული რეპლიკები ისმოდა. ასე ხუთი საათისთვის გადაღებები დაიწყო. ქართველი ჯარისკაცები ერთი პატარა შემოქმედებითი პროცესის დამსწრენი და თანამონაწილეები გახდნენ. სულ მალე ყველაფერს ახალ კლიპში ვიხილავთ.

4 სექტემბრის ღონისძიება 19 აგვისტოს დაწყებული იმ აქციების ნაწილი იყო, რომელთა ერთ-ერთი მიზანიც, როგორც ამ აქციების ორგანიზატორმა, კულტურის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტის უფროსმა პაპუნა დავითაიამ აღნიშნა, ჯარისკაცის საქმიანობის პოპულარიზაცია, მხედრული სულისკვეთების ამაღლებაა. ახალი კლიპის შემოქმედთა საერთო განწყობა კი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ისეთი იყო, ტარიელ ჭანტურიას ერთ ლექსში რომაა: "...საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!"

ვფიქრობ, კარგი კლიპი გამოვა, - ამბობს უცნობი.

# "ვაჟაობას" ზვიადაურიც სტუმრობდა

ნანა ყაველაშვილი

შაბათს, 4 სექტემბერს ფშაველებმა ჩარგალში ვაჟას სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ტრადიციული "ვაჟაობა" იზეიმეს. წელს მისი დაბადებიდან 143 წელი შესრულდა. როგორც ყოველთვის, დღესასწაული ახლაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და მწერალთა კავშირის ხელშეწყობით ჩატარდა. გასულ წლებთან შედარებით, ხალხმრავლობა არ იგრძნობოდა. ერთ-ერთი ფშაველის თქმით, ხანგრძლივი წვიმების შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი, ვაჟა-ფშაველას დიდი სიყვარულის მიუხედავად, დარს დაეშურა და მინდორში სამუშაოდ გაეშურა (ამინდი კი მართლაც მშვენიერი იყო).

ოფიციალურ პირთაგან ზეიმს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში დავით ბაშალეიშვილი, ადგილობრივი გამგებელი და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის ეპისკოპოსი ესწრებოდნენ. დავით ბაშალეიშვილის თქმით, მათ პრეზიდენტთან ერთად მთავრობის წარმომადგენლები კი დაპატიჟეს, მაგრამ - **მოგეხსენებათ, ქვეყანაში დაძაბული ვითარებაა და თუ ვერ ჩამოვლენ, ნამდვილად არ გვეწყინებაო**,- თქვა რწმუნებულმა.

ფშაველი ბავშვები და ახალგაზრდები თავიანთ სტუმრებთან ერთად მაღაროსკარიდან ჩარგალში ფეხით ამოვიდნენ.

"ვაჟაობის" სტუმრები ჯერ ვაჟას საცხოვრებელს სტუმრობდნენ. ბევრი მათგანი პირველად იყო ჩარგალში. ისინი ინტერესით ათვალიერებდნენ დიდი ფშაველის პირად ნივთებს. მშობლები შვილებს უხსნიდნენ: აი, ამ მაგიდაზე წერდა ვაჟა თავის შედევრებს, ამ ფანდურზე დაამღერებდაო.

ეზოში "ვაჟას" ვაშლებსა და ქლიავებს ნაყოფთა სიმრავლით ტოტები "ტყდებოდათ"...

სახლ-მუზეუმში შესულებს ვაჟა-ფშაველას შვილთაშვილი თამარ რაზიკაშვილი მასპინძლობდა. **"ამ სახლ-მუზეუმში თხუთმეტი წელია ვმუშაობ. დიდ პაპაზე რა უნდა გითხრათ, ყველაფერი პაპაჩვენის, მისი ვაჟის წიგნში "მამაჩემი ვაჟა ფშაველა"-ში წერია. მისი შთამომავლებიც ამ წიგნით ვეცნობით ვაჟას... ადგილობრივი ხელისუფლება და მწერალთა კავშირი, "ვაჟაობას" როცა მოიცლიან, მაშინ ატარებენ. წესით კი, 27ივლისს უნდა ეწყობოდეს, რადგან სწორედ ამ დღეს დაიბადა და გარდაიცვალა ვაჟა**"- ამბობს თამარ რაზიკაშვილი.



ფშაველებმა ჩარგალში ვაჟას სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ტრადიციული "ვაჟაობა" იზეიმეს.

ერთი შეხედვით, სახლ-მუზეუმს, ვაჟას კარ-მიდამოსა და მიმდებარე ტერიტორიას მზრუნველი ხელი ეტყობა. ყველაფერი მოვლილი და შენარჩუნებულია, მაგრამ მაინც- სახლ- მუზეუმის სახურავი ერთგან შესაკეთებელია, წყალი ჟონავს, ვაჟას სახლში - კრამიტია გამოსაცვლელი, გზაც მოსაწესრიგებელია. **"წლევანდელი დღესასწაული ქვეყანაში დაძაბულ სიტუაციას დაემთხვა. ბევრი რამის გაკეთება ვერ მოვასწარით. მეც ახალი დანიშნული ვარ. პირველ "ვაჟაობას" ვმასპინძლობ. მომავალ "ვაჟაობამდე" ყველაფერს გავაკეთებთ**",- გვპირდება პრეზიდენტის ადგილობრივი რწმუნებული.

საზეიმო კონცერტი განსაზღვრულზე გვიან დაიწყო. მანამდე კი ხალხს ჩურჩულის ტალღამ გადაუარა - ზვიადაური მოვიდა, "ის" ზვიადაურიო... რა თქმა უნდა, "ის" ვაჟას "სტუმარ-მასპინძელი" ზვიადაური - არა, მაგრამ მასავით უშიშარი, მთის სიამაყე, ოლიმპიელი ზურაბ ზვიადაური იყო. ხალხი პირადად ულოცავდა დიდ გამარჯვებას, ეხვეოდნენ, მასთან სურათებს იღებდნენ, ავტოგრაფებს სთხოვდნენ. **"წესით, რაც ჩამოვედი, მთელი ეს პერიოდი უნდა ვისვენებდე, მაგრამ ვინ მასვენებს... ხალხის ამდენ სითბოსა და სიყვარულს ნამდვილად არ ველოდი**,"-აღიარა მან.

სცენაზე კი ერთმანეთს ცვლიდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი "ძალები" და ჩამოსული მწერალ-პოეტები, კითხულობდნენ ვაჟას ლექსებს, ნაწყვეტებს მისი ნაწარმოებებიდან, მღეროდნენ მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს. პოეტმა ერეკლე საღლიანმა "ორი კურდღელი ერთად მოკლა" - "სტუმარ-მასპინძლიდან" ზურაბ ზვიადაურის პატივსაცემად, ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვის მონაკვეთი ზეპირად წაგვიკითხა და ამით ვაჟასაც მიაგო ღირსი პატივი.

ზეიმს აშშ-ს საელჩოს პირველი მდივანი ელიზაბეტ რობინსიც ესწრებოდა. ის აღფრთოვანებული იყო ჩარგლის, და მთლიანად ფშავის ბუნებით, ვაჟას (მისთვის ეგზოტიკური) კარ-მიდამოთი. **ვაჟა-ფშაველაზე კი მსმენია, რაღაცეებიც წამიკითხავს, მაგრამ მისი ნაწარმოებების ინგლისური კარგი თარგმანი ჯერ ვერ ვნახე, უფრო მეტი რომ შემეტყოო** - გული სწყდება ელიზაბეტს.

ზეიმის ერთ-ერთმა სტუმარმა გიგი ხორნაულმა აღნიშნა: კარგი იქნებოდა, სხვა დროს კონცერტთან ერთად ლექსთშეჯიბრიც მოვაწყოთო.

ამერიკული ისტორია

# პოპ არტი

"ყველაზე ლამაზი რომში მაკდონალდსია, ყველაზე ლამაზი პარიზში მაკდონალდსია, ყველაზე ლამაზი ლონდონში მაკდონალდსია." - ენდი უორჰოლი.

მაგდა ანიკაშვილი

მასობრივი ნაწარმისაგან ხატების შექმნა, საზღვრის წაშლა ელიტარულ და პოპულარულ კულტურას შორის - ეს ენდი უორჰოლის შემოქმედებაა, რომელსაც ხელოვნების ისტორიასაც უწოდებენ. თავად უორჰოლის ცხოვრება კი ამერიკულ ოცნებას ჰგავს - სლოვაკი ემიგრანტის შვილი ნიუ-იორკში ჩადის და ყველაზე წარმატებული, მდიდარი, ლეგენდარული შემოქმედი ხდება. მისი პირველი წარმატება სარეკლამო ბიზნესს უკავშირდება. "კემპბელის" ფირმის კონსერვირებული სუპის პლაკატი გაუთქვამს მას სახელს. კოკა-კოლა, დოლარი, კომიქსი, ყველაფერი, რაც ამერიკის ცხოვრების სიმბოლოა, ენდი უორჰოლის სამუშაო მასალა ხდება. დევიზით "ოცდაათი ერთს ჯობია" ის "ჯოკონდას" 30 რეპროდუქციისაგან ერთ სურათს ქმნის. უორჰოლს სერიულობა იტაცებს.

ის ქმნის გამოჩენილი ადამიანების, ვარსკვლავების პორტრეტებს: მერლინ მონრო, ელვის პრესლი, ჯეკ კენედი, ლიზ ტეილორი და სხვები. უორჰოლი შეგნებულად ალამაზებს მათ, ვარსკვლავურ იერს ანიჭებს, ქალთა სახეებიდან ნაოჭები ქრება, ელვის პრესლის ტუჩები ზედმეტად ვარდისფერია, ის "პლასტიკურ ოპერაციებს" უტარებს ამერიკის სიმბოლოებს, რის გამოც ისინი კიდევ უფრო ხელოვნურნი ხდებიან. მას არ აინტერესებს არც შინაგანი სამყარო და არც ვნებები, მას მხოლოდ იმიჯი იზიდავს, ის რაც ხალხის გონებაშია და ამბობს კიდეც: "ისე არაფერი სჭირდება ხალხს, როგორც ვარსკვლავები". ეს უფრო ნიღაბია, ვიდრე პორტრეტი. უორჰოლი კლონებს ქმნის, რითიც თავისი ეპოქის სულს გამოხატავს, მეოცე საუკუნის ხელოვნების სულს, რომელსაც ახასიათებს რეპროდუქცირება. 1962 წელს თავის ლოს-ანჯელესელ პროდიუსერს "ელვისების" 50 მეტრიან სერიას უგზავნის და მითითებას აძლევს, დაჭრის შემდეგ ისინი ერთმანეთის პირისპირ დაკიდონ, იგივეა "მერლინების" ან "ცამეტი მამაკაცის" შემთხვევაში. უორჰოლი ამბობს: "მე მინდა ადამიანებმა, ერთნაირად იფიქრონ" და ეს ასეც არის: ენდი უორჰოლის ამერიკა ერთნაირად ფიქრობს, უყვარს თავისი დოლარი, სვამს კოკა-კოლას, ჭამს დაკონსერვებულ სუპს, ქვითინებს ჟაკლინ კენედისთან ერთად და ღელავს მერლინ მონროს დანახვისას, ეშინია კომუნიზმისა და ელექტრო სკამის. ეს ყველაფერი კი მხატვრის შთაგონების წყაროა. გამორჩეული ადამიანების სერიის შემდეგ ის გამორჩეული ნივთების სერიას ქმნის და ერთმანეთის გვერდით საგამოფენო დარბაზში სუპერვარსკვლავის და სასმელის ქილას კიდებს. "რატომ ვხატავ კოკა-კოლას ყველაზე ხშირად?- იმიტომ, რომ მას პრეზიდენტთან და ლიზ ტეილორთან ერთად ქუჩის მათხოვრები სვამენ და ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი კოკა-კოლა არ არის ნაკლები". ენდი უორჰოლი თვლის, რომ არ არსებობს "მაღალი" და "დაბალი" ხელოვნება. ხელოვნებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კი ფულის შოვნაა. ყველაფერს უდიდესი ირონიის ელფერი დაჰკრავს. ამ ადამიანს შეეძლო, იუმორით ეცქირა საკუთარი თავისა და სამყაროსათვის, ამავე გრძნობით აღერია ჟანრები და შეექმნა ხელოვნება.

ამბობენ, რომ ენდი უორჰოლის საუკეთესო ნაწარმოები თავად ენდი უორჰოლია. ლეგენდარული ადამიანი, რომელსაც ზოგი ვამპირს ეძახდა, ზოგი კი უსუსურ ბავშვს. თავად ასე ამბობდა: "თუ გსურთ ჩემს შესახებ ყველაფერი გაიგოთ, საგაზეთო სტატიები წაიკითხეთ ენდი უორჰოლზე, ამის იქით არაფერია". ის თავისი დროის შვილი, ძალიან თანამედროვე ადამიანია, ნიუ-იორკის ბოჰემური ცხოვრების მეფე, რომლის გარშემო უამრავი ადამიანი ირევა. აცხადებს, რომ უნდა იყოს მანქანა და მხოლოდ იმ ადამიანებთან შეუძლია ურთიერთობა, რომელთა ტვინი მაგნიტოფონივითაა მოწყობილი. გადაწყვიტა დაქორწინებულიყო თავის მაგნიტოფონზე და ხშირად ახსენებდა "მე და ჩემი მეუღლე, მაგნიტოფონი". ნიუ-იორკში დღის პირველ ნახევარს ტელეფონზე საუბარში ატარებს და ღამის ცხოვრების მთავარი გმირია. "არ მესმის, როგორ უნდა ვყოფილიყავი ანდერგრაუნდში, როდესაც ვცდილობდი სულ ყურადღების ცენტრში მეტრიალა". იტყვის ის მოგვიანებით. ენდი უორჰოლს თაყვანისმცემლების არმია ჰყავდა, ყველას უნდოდა მის გვერდით ყოფნა, მუდმივად დაყვებოდა ე.წ. ამალა. ხუთი-ექვსი ახლობელი ადამიანი, მკაცრი იერარქიით დაყოფილნი, რომლებიც მანქანაშიც კი წესის მიხედვით სხდებოდნენ, ჯერ ფავორიტი, შემდეგ მინისტრები, შემდეგ ალმონწილე და მეგობრები. როლები ხშირად იცვლებოდა. უორჰოლი ამბობდა: "სინამდვილეში მხოლოდ სასაცილო ადამიანები მაინტერესებს, როდესაც ის აღარ არის ჩემთვის სასაცილო, ინტერესსაც ვკარგავ". მისი სახლი, სახელოსნო, ოფისი და კლუბი ყველაზე მოდური თავშეყრის ადგილია, მას "ფაბრიკას" უწოდებენ. აქ ნებისმიერი მსურველი მოდის, უორჰოლი ბევრს არც იცნობს, რეპეტიციებს გადის Velvet underground & Niko - ამ შემთხვევაში პროდიუსერი უორჰოლის მიერ შექმნილი ჯგუფი, სვამენ ყავას და ალკოჰოლურ სასმელებს, ეწევიან, იკეთებენ ნარკოტიკს, ხშირად არ ძინავთ რვა ან ცხრა ღამე, ერთი ჯგუფი მეორეს ცვლის, უორჰოლი კი დააბიჯებს, როგორც მეფე და ვისაც ყურადღებას მიაქცევს, ის ბედნიერია. მისი ყურადღების მისაკუთრების გამო სერიოზული კონფლიქტები ხდება, რამდენჯერმე დანებითაც იჩხუბეს. მას მდივანი ჰყავს-ბრიჯით პოლკი, ასევე მსახური და ადმინისტრატორი ბილი ლინიჩი, რომელმაც მოაწყო "ფაბრიკა" ბეტონზე - ვერცხლის ქაღალდი გააკრა, მაგიდები, სკამები და ტელეფონი ვერცხლისფერი საღებავით შეღება. უამრავი ხალხის გამო საღებავი გადადის და მას ორ კვირაში ერთხელ აახლებენ. უორჰოლს ადამიანებისათვის სახელების მოფიქრება უყვარს. ვინც მას უმეგობრდება, როგორც წესი, სახელსაც იცვლის. ყველაფერთან ერთად გენიალური მხატვარი ძალიან მგრძნობიარეა და უამრავი რამის შიში აქვს: გამონაყარი სახეზე, სიტყვები ექიმი და საავადმყოფო, დიდი მომზადება სჭირდება, სანამ კბილის ექიმთან წასვლას და იქ პირის გაღებას გადაწყვეტს. ეშინია წვეულებაზე წასვლა, თუ თან ამალა არ ჰყავს. ამბობს, რომ მარტოსულია: "როდესაც პირველად ვიგრძენი თავი მარტო, ამალაც მაშინ გამიჩნდა". 1968 წლის 3 ივნისიდან შიშები გაასმაგდა. უორჰოლს სამი ტყვია ესროლა ვალერი სოლანასმა, რომელსაც ენდიმ უარი უთხრა როლზე თავის ფილმში. უორჰოლი გადარჩა, მაგრამ მთელი ცხოვრება იტანჯებოდა ამ ქალთან კიდევ ერთხელ შეხვედრის შიშით. პანიკურად ეშინოდა სიკვდილის. არასდროს დადიოდა დაკრძალვებზე, მათ შორის დედის და წლების განმავლობაში ატყუებდა ნაცნობებს, რომ დედამისი თავს კარგად გრძნობს. მან თითქმის ყველა სფეროში სცადა მუშაობა: კინო, მხატვრობა, პროდიუსირება, გამოსცემდა პოპულარულ ჟურნალ "ინტერვიუს", მხოლოდ ტელევიზიაში ვერ განახორციელა იდეები, არადა ამის დიდი სურვილი ჰქონდა; შურდა ადამიანებისა, რომლებსაც ტელევიზიით გადაცემები ჰქონდათ. "მე ჩემს პროგრამას დავარქმევდი "არაფერი განსაკუთრებული", ჩემი ცხოვრების ერთი დღე ტელეპროგრამას ჰგავს. ტელევიზია არასდროს ტოვებს ეთერს, დილით რთავ და მთელი დღე ეთერშია, მეც ასე ვარ. დღის ბოლოს მთელი დღე კინოფილმად იქცევა, კინოდ, რომელიც ტელევიზიისთვისაა შექმნილი"- ამბობდა ის.

ენდი უორჰოლს ასამდე ფილმი აქვს გადაღებული და ის ანდერგრაუნდის ერთ-ერთ საინტერესო რეჟისორად ითვლება. თუმცა, დღეს მისი, ისევე როგორც ამ მიმდინარეობის სხვა რეჟისორთა ფილმები ფართო მაყურებლისთვის უცნობია და როგორც ექსპერიმენტები, ისე აღიქმება. მაგრამ, ისინი 60-იანი წლებისა და იმ დროის ჰომოსექსუალური სუბკულტურის გააზრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. თუ დღეს შეიძლება გეიესთეტიკაზე მსჯელობა, პირველ რიგში, უორჰოლის კინემატოგრაფზე დაყრდნობით. ბევრი ამ ფილმებს პორნოგრაფიად თვლის, რაც სულაც არ გულისხმობს ეკრანზე მუდმივად შიშველი სხეულების ჩვენებას. ის მაყურებლის ფანტაზიას რთავს და თუ ადამიანი რაიმე ეროტიკულს ხედავს ეკრანზე, ეს მისი წარმოსახვაა. ამის საუკეთესო მაგალითი 1963 წელს გადაღებული Blow Job-ია, რომელიც 40 წუთის განმავლობაში მსხვილი ხედით ახალგაზრდა კაცის სახეს აფიქსირებს და მეტი არაფერი. თუმცა, ითვლება, რომ სურათი ორალურ სექსზე მოგვითხრობს. საიდან შეიძლება ეს გაიგოს მაყურებელმა? მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ერთი მსხვილი ხედია, მას თავისი დრამატურგია აქვს. სახე ჯერ უემოციოა, შემდეგ კუნთები იძაბება, კაცი თავს ატრიალებს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. თავს უკან კედელს აყრდნობს და თითქოს ერთი წუთით იძაბება. შემდეგი მოძრაობის მიხედვით მაყურებელი ხვდება, რომ ის შარვალს იკრავს და სიგარეტს ეწევა. მთელი ფილმის განმავლობაში მაყურებელი ელოდება, რომ მას რაღაცას აჩვენებენ, დაძაბულობა იმდენად ძლიერია, რომ ყოველი კუნთის მოძრაობა ეკრანზე ფიქსირდება, მაგრამ ბოლომდე არაფერი ჩნდება, იმედგაცრუება უდიდესია. თუმცა, ალბათ, სწორედ ამის ხარჯზე ფილმის გარკვეული მომენტიდან ირთვება მაყურებლის ფანტაზია და ის იწყებს ფიქრს იმ მთავარზე, რაც კადრს მიღმა ხდება. მართალია კამერა ყველაფერს აფიქსირებს და მას გმირის სახეზე არც ერთი კუნთის მოძრაობა არ ეპარება, მაგრამ ეს ფილმი ყველაზე ნაკლებად შეიძლება ჩავთვალოთ ვუაიერისტულად იმიტომ, რომ კამერის მოძრაობა და უფლებები მკაცრადაა შეზღუდული, მას არ აძლევენ საშუალებას, მთავარს უყუროს, გმირმაც იცის, რომ მას უღებენ, თუმცა არ იყურება კამერაში. უორჰოლის "ვიდეოპერფორმანსებში" ყველამ იცის და ყველა გრძნობს კამერის არსებობას, თითქოს განგებ აკეთებენ ყველაფერს მისი გულისთვის, რადგან ის მთავარია.

ენდი უორჰოლის დამოკიდებულება კინოსადმი ჩანს 1967 წელს Cahier du cinema in English-ისათვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც ამბობს: "თქვენ შეგიძლიათ, რაც გნებავთ, ის აკეთოთ ფილმის ჩვენების დროს, შეგიძლიათ სვათ და ჭამოთ, მოწიოთ და ახველოთ, გვერდით გაიხედოთ და შემდეგ ისევ დაუბრუნდეთ ეკრანს, ფილმის პერსონაჟებს - ამ დროის განმავლობაში ისინი ისევ იქ იქნებიან". სწორედ ამ პრინციპით ატარებს კინოსეანსებს თავის წრეში და შემდეგ აღნიშნავს, რომ ხალხი ხშირად არა ფილმის, არამედ ერთმანეთის სანახავად მოდის. უორჰოლისთვის კინო აუცილებელი ბიძგია ურთიერთობის დამყარებისთვის, კომუნიკაციის სტიმულატორია.

60-იანი წლების დასაწყისში ენდი უორჰოლი იღებს Sleep, Kiss, Haircut, Jack Smit Filming, Thirteen most beautiful boys, Mario Banana, Blow Job(1963), Couch, Empire(1964), My Hastler(1965), The Chelsea Girls(1966). ის სუპერვარსკვლავებს ქმნის, ასე უწოდებდნენ ყველას, ვინც უორჰოლის ფილმებში მონაწილეობდა. პირველი ინგრიდ სუპერვარსკვლავი იყო, შემდეგ ბრიჯით პოლკი, ჯერარდ მალავა და ედი სეჯვიკი - ერთადერთი ქალი, რომელიც, როგორც თავად ამბობდა, უყვარდა უორჰოლს. ედი სეჯვიკი მილიონერი მამის სახლიდან გამოქცეული მოდელი იყო, მისი ფოტოები - Blow Job, (პირდაპირი თარგმანია: რეაქტიული თვითმფრინავი, ზმნა to blow-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა რაიმე საქმის ოსტატურად კეთებაა, ხოლო მისგან წარმოებული ქვემდებარე blowen ითარგმნება, როგორც ქუჩის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი), პოპულარული ჟურნალების ყდებზე იბეჭდებოდა, თვითონ კი მთელ ღამეებს "ფაბრიკაში" ატარებდა. 1970 წელს ნარკოტიკების ჭარბი რაოდენობის მიღების გამო გარდაიცვალა.

ენდი უორჰოლის ყველა ფილმი განსაკუთრებულია. მას ხშირად დაკვირვება იზიდავს, როგორც "ძილში", რომელიც 6 საათი გრძელდება და მძინარე ადამიანია აღბეჭდილი: მისი სუნთქვა, კიდურების უნებლიე მოძრაობა. უორჰოლი ამბობდა, რომ ეს სიცოცხლეზე საუკეთესო დაკვირვება იყო, ისევე როგორც ფილმი Empire, ოღონდ ამ შემთხვევაში სიცოცხლეზე დაკვირვება უზარმაზარი შენობის საშუალებით. უორჰოლს ნახევრად დოკუმენტური ფილმების გადაღებაც მოსწონდა. 1966 წელს ასე შეიქმნა Velvet Underground &Niko, სადაც "ფაბრიკა" და ჯგუფის ერთ-ერთი, საკმაოდ ხმაურიანი რეპეტიცია იყო დაფიქსირებული. ენდი უორჰოლის მეგობრები თავისუფლად მიდი-მოდიან კამერის წინ. ნიკო ართობს მათ, იცინის და მღერის. ასეთივე უშუალო გარემოა 1964 წელს გადაღებულ "კინოსინჯებში". სადაც ისევ "ფაბრიკა" ჩანს, მოდიან უორჰოლის მეგობრები, აყენებენ კამერას და სინჯები იწყება. შემოდის ახალგაზრდა გოგო და თამაშობს მომზადებულ როლს, უორჰოლი კადრში ჩნდება, შენიშვნებს იძლევა, ვიღაც გაივლის, ეწევა. ყველაფერი ძალიან უშუალოდ ხდება, მაგრამ ხანდახან გმირები კამერაში იყურებიან და მის არსებობას აფიქსირებენ.

საინტერესოა, შეიძლება თუ არა საუბარი იმაზე, აქვთ თუ არა უორჰოლის ფილმებს რაიმე კინემატოგრაფიული ტრადიცია. ყველაზე ხშირად მასთან კავშირში მეოცე საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა რეჟისორებს მოიხსენიებენ. ამის მიზეზი კი, პირველ რიგში, მისი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა მსხვილი ხედის მიმართ. რუსი რეჟისორები მსხვილ ხედს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას კინოს ყველაზე მეტყველ ელემენტად აღიქვამდნენ, ისევე როგორც მსახიობის სახეს. მაგრამ, უნდა გავიხსენოთ, რომ მეტყველებას ისინი მონტაჟის საშუალებით, მსხვილი ხედის სხვა კადრთან შეერთებით ახერხებდნენ. უორჰოლი უარს ამბობს მონტაჟზე, რითიც თითქოს ემიჯნება კიდეც კინოს, როგორც მისი ტრადიციების უარმყოფელი. Blow Job-ში გმირის სახეც უმეტყველოა, მართალია, მასზე ემოცია იხატება, მაგრამ არ მყარდება კონტაქტი მაყურებელთან, გმირი თითქმის არასდროს იყურება კამერაში. ეს სახე უფრო ნიღაბს ჰგავს, როგორებსაც უორჰოლი თავის მხატვრობაში ქმნიდა. ადამიანი-ნიღაბი მისი შემოქმედების უმთავრესი ასპექტია, რაც მის დამოკიდებულებას გამოხატავს სამყაროს მიმართ.

ენდი უორჰოლი აპოლიტიკური პიროვნება იყო და საპროტესტო დემონსტრაციებში არ იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ის ქმნის თანამედროვე ადამიანს, და ამით ეხმიანება მათ, ვინც თვლიდა, რომ გარემო უსახურ ადამიანებს ბადებდა.

1962-63 წლებში ენდი უორჰოლი მეგობრობდა კინემატოგრაფისტების ჯგუფთან, რომელთაც ანდერგრაუნდის რეჟისორები ეწოდებოდათ და რომლებიც ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ ჰოლივუდის ბატონობისაგან და ალტერნატიული ხედვით შეექმნათ ფილმები, აესახათ ის თემები, რომლებიც მსხვილი კომპანიების პროდუქციაში არასდროს გამოჩნდებოდა.



მისი პირველი წარმატება სარეკლამო ბიზნესს უკავშირდება. "კემპბელის" ფირმის კონსერვირებული სუპის პლაკატი გაუთქვამს მას სახელს.



"ისე არაფერი სჭირდება ხალხს, როგორც ვარსკვლავები". ეს უფრო ნიღაბია, ვიდრე პორტრეტი. უორჰოლი კლონებს ქმნის, რითიც თავისი ეპოქის სულს გამოხატავს, მეოცე საუკუნის ხელოვნების სულს, რომელსაც ახასიათებს რეპროდუქცირება.



"თუ გსურთ ჩემ შესახებ ყველაფერი გაიგოთ, საგაზეთო სტატიები წაიკითხეთ ჩემზე, ამის იქით არაფერია," - ამბობდა ვორჰოლი.



"მე მინდა ადამიანებმა ერთნაირად იფიქრონ" და ეს ასეც არის, ენდი უორჰოლის ამერიკა ერთნაირად ფიქრობს, უყვარს თავისი დოლარი, სვამს კოკა-კოლას, ჭამს დაკონსერვებულ სუპს, ქვითინებს ჟაკლინ კენედისთან ერთად და ღელავს მერლინ მონროს დანახვისას, ეშინია კომუნიზმისა და ელექტროსკამის. ეს ყველაფერი კი მხატვრის შთაგონების წყაროა.



# ქომაგის ტრიბუნა



დიანა ჩაჩუა

## იმედის ნაპერწკალი

იყო აქ რაღაც კავშირი. მაშინ ეს მე-11 წუთზე მოხდა, ახლა - 85-ზე. მაშინ მოვიგეთ, ახლაც აღებული ქულა გამარჯვების ტოლფასი იყო. მაშინ რუსეთთან იყო, ახლა თურქებთან. რაც მთავარია, მაშინ გადამწყვეტი გოლი მალხაზ ასათიანმა გაიტანა. გოლი ამჯერადაც მალხაზ ასათიანს ეკუთვნოდა! გმადლობ, მალხაზ, შენ ჩვენი იმედი ხარ!

დიდი მადლობა ეკუთვნის მუსიე ჟირესსაც. გითხრათ, რა არის ალანის წარმატების სტიმული? მასზე, ალბათ, კარგად იმოქმედა ჩემმა დაპირებამ თავისუფლების მოედანზე მისი ძეგლის დადგმის შესახებ. ჩემი წერილები თუ ასე კარგად მოქმედებს საქართველოს ნაკრებზე, ყოველდღე მოგიძღვნით სტატიებს, თქვე ოჯახაშენებულებო!

გახსოვთ, რომ გითხარით, იმედი არ უნდა დავკარგოთ და მიზანს მივაღწევთ-მეთქი? მართალია, საბოლოო მიზნისთვის არ მიგვიღწევია, მაგრამ გუშინწინ თურქების წინააღმდეგ ფრედ ნათამაშევი მატჩი უკვე დიდი წარმატებაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქები მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები არიან. ასეთ ძლიერ მეტოქესთან სტუმრად ქულის აღება დიდი წარმატებაა.

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებო, მე არ ვაქცევ ყურადღებას იმას, რომ თავისუფლად შეგვეძლო მოგება, რომ ცარიელ კარში ვერ ახერხებდით ბურთის შეგდებას, რომ კარში დარტყმა გავიწყდებოდათ, არც იმას, რომ რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეთ, მთავარია, რომ გადამწყვეტ მომენტში სწორად ითამაშეთ. დღევანდელ ფეხბურთში ხომ მთავარი შედეგია, რასაც მიაღწიეთ კიდეც. რაც შეეხება თამაშს, ნელ-ნელა რამე გვეშველება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საფეხბურთო ნაკრების გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს ოლიმპიელ ჩემპიონებს. ეტყობა, ფეხბურთელებზე კარგად იმოქმედა ათენის წარმატებებმა. ახლა, როცა ოლიმპიადა დასრულდა, მალხაზ ასათიანია ჩემთვის ზვიადაურიც, ასანიძეც, ხერგიანიც და ნოზაძეც. ოღონდ თქვენ მოიგეთ და უფრო დიდ ზეიმს მოგიწყობთ.

ამას წინათ, როცა თურქების წინააღმდეგ თამაშში შემეპარა ეჭვი, მეგობარმა მითხრა, არ შეიძლება უიმედოდ ყოფნაო. გავიგე, თუ ყველა ქართველი იმედიანად და ჟინით ვიქნებით, ჩვენი დადებითი ემოცია ცაში გაერთიანდება და ჩვენს ნაკრებს გადაეცემაო. მაშინ გამეცინა, მაგრამ მართალი ყოფილა. ასეთი შემართებით არც ერთი თამაშისთვის არ მიყურებია და გაამართლა კიდეც. ეტყობა, ეს საიდუმლო ყველამ გაიგო და ამით ჩვენს ბიჭებს ძალა შევმატეთ. აი, რითი შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს ნაკრებს - ყველაზე გამოუვალ სიტუაციაშიც კი ისე მოვიქცეთ, თითქოს არაფერი ხდება საშინელი და კვლავ იმედით განვაგრძოთ მათი მხარდაჭერა.

მომდევნო მეტოქე სულ ახლოსაა, თან ის არც თურქეთია და არც საბერძნეთი (ამასთან, როგორც ვნახეთ, არც ამა ქვეყნის ძლიერებთან არის მოგება შეუძლებელი). 8 სექტემბერს ჩვენი მომდევნო მეტოქე ალბანეთია, რომლის გაცნობის საშუალებაც გვქონდა წინა ჯგუფურ ეტაპზე. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, იმედია, ერთი თამაშით არ შემოიფარგლებით და 8-შიც მოგვანიჭებთ დიდ სიხარულს.

**P.S.** თუ მოიგებთ, კიდევ ერთ წერილს მოგიძღვნით, დიდი სათაურით - **ვაშა!**

ფეხბურთი

# დასაწყისი კარგია, გაგრძელება უკეთესი უნდა იყოს

პაატა თოთაძე

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

**თურქეთი - საქართველო 1:1**

**გოლები:** 1:0 ფათიჰი (49), ასათიანი (85)



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ჟირესმა პირველი გამოცდა ღირსეულად ჩააბარა.*

ბოლო პერიოდში ქართული ფეხბურთის მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, თურქეთში მიღწეული ფრე გარკვეულწილად გამარჯვებადაც შეიძლება აღიქვას ვინმემ. ბუნებრივია, თურქეთში მოპოვებულმა ქულამ ბევრს გაუღვიძა იმედი - ეგებ ახლა მაინც გვეშველოს რამე და მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოვიპოვოთო. ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს, მაგრამ პირველ მატჩში თურქეთში მიღწეულმა ფრემაც არ უნდა ჩაგვაგდოს ეიფორიაში. ჯერ ყველაფერი წინაა, თანაც, არც ისაა დასავიწყებელი, რომ თურქეთის ნაკრები აშკარა რეგრესს განიცდის და სწორედ ამ პერიოდში ვეთამაშეთ. ჯგუფში მეტოქეებად კი უკრაინა, საბერძეთი და დანია გვყავს. ამას გარდა, არც ჩვენი გუნდის თამაში იყო ისეთი, აღფრთოვანება გამოეწვია. ყველაზე დიდი პრობლემა ნახევარდაცვაში გვქონდა, თავდასხმა დაცვისგან მოწყვეტილი იყო. იყო ეპიზოდები, როცა ჩვენი ნახევარმცველები საკმაოდ ხისტად მოქმედებდნენ, თუმცა, დიდხანს ეს არ გრძელდებოდა. ამის ბრალი იყო ისიც, რომ ბურთი ჩვენს საჯარიმო მოედანში თურქებს დიდი პრობლემების გარეშე მიჰქონდათ, უმეტესწილად მაღალ ბურთებს კიდებდნენ საჯარიმოში, აქ კი მცველებს უხდებოდათ საქმეში ჩართვა. მცველთა თამაში საერთო ჯამში დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს, ოღონდ ხარვეზები აქაც იყო. ერთ ეპიზოდში კალაძემ დაკარგა პოზიცია, ერთხელაც იგივე დაემართათ ხიზანიშვილსა და მჟავანაძეს. თუმცა, შეუმცდარი არავინაა და არც თურქები არიან ისეთი ჯაბანნი, საათნახევრის განმავლობაში მეტოქე მცველებს ვერ დაუსხლტნენ და კარში ვერ დაარტყან. ისე კი, სიახლეებიც შეიმჩნეოდა მცველთა თამაშში. ახლა უფრო უკეთ აზღვევდნენ ერთმანეთს, ზონებსაც დროულად კეტავდნენ. დაცვაში პრობლემები ჰქონდათ თურქებსაც. მათ ორი მცველი აკლდათ და ჩვენს ნახევარმცველებს უფრო სწრაფად და, რაც მთავარია, ზუსტად რომ ემოქმედათ, მასპინძლებს გაცილებით მეტი პრობლემები ექნებოდათ. მეტოქის დაცვის ხაზში არსებული პრობლემების გამო შეგვექმნა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. უნდა ითქვას, რომ თურქები ერთობ ფრთხილობდნენ და ჩვენებიც ვერ გამოიყურებოდნენ მთლად კარგად, რადგან სახიფათო მომენეტები მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობების შემდეგ შევქმენით. ასეა თუ ისე, საგოლე მომენტების მხრივ მეტოქეს ნამდვილად არ ჩამოვრჩით, ვაჯობეთ კიდეც და პირველი ბურთი თურქებმა კი არა, ჩვენ რომ ვერ გავიტანეთ, გიორგი დემეტრაძის "დამსახურებაა". ქართველმა თავდამსხმელმა როგორღაც მოახერხა და მეტოქის კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. ერთხელაც გაუმართლათ თურქებს - ისევ დემეტრაძის დარტყმული რუშთუს სახეში მოხვდა.

უმეტესად ფლანგზე მოთამაშე ჰასან შაში გუშინწინ ხშირად შედიოდა ცენტრში. რამდენჯერმე ამან შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა, იყო ეპიზოდები, როცა მის ქმედებას ჩვენმა ნახევარმცველებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ხშირად ერთვებოდნენ შეტევაში თურქი მცველებიც, გაცილებით ხშირად, ვიდრე ჩვენები, თუმცა, ეს არც იყო გასაკვირი.

ძალიან დიდი იყო წუნი გადაცემებში. ქართველებმა უთვალავჯერ დაკარგეს ბურთი სწორედ არაზუსტი გადაცემების გამო. ამის გამო და კიდევ იმის გამო, რომ თავდამსხმელები ხანდახან პასიურობდნენ, ეპიზოდები, როცა შეტევაში სამი სამზე ვიყავით, მუდამ მეტოქის გამარჯვებით სრულდებოდა.

გოლი კი, მართლაც, კარგი გამოგვივიდა, უფრო სწორად, მალხაზ ასათიანს გამოუვიდა. საერთოდაც, ასათიანი ბოლო წლებში აშკარად გამორჩეულია სხვათაგან და რატომ სვამენ სათადარიგოზე, გაუგებარია. ბუნებრივია, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ, სავარაუდოდ, მომავალი მატჩისთვის რაღაც უნდა შეიცვალოს ნახევარდაცვაში. რაც მთავარია, შემცვლელები არიან, ანუ, თუ სურვილი იქნება, ამის შესაძლებლობა არსებობს.

ბოლოს მეკარეზეც ვთქვათ. საერთო ჯამში, აკაკი დევაძის თამაში ნორმალურად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ გამოსვლებზე ცოტა აქტიური რომ იყოს, მთლად კარგად გვექნებოდა საქმე. რეაქცია და კარის ხაზზე თამაში არასოდეს დაეწუნებოდა და შაბათსაც არაერთხელ გვიხსნა, მაგრამ გამოსვლებზე პასიური თამაშის გამო მცველებს იმაზე მეტი პრობლემა ექმნებათ, ვიდრე შესაძლებელია, რომ შეექმნათ და, ბუნებრივია, ჩვენს კართან ხიფათიც მატულობს.

ჩვენთვის არა, მაგრამ ჯგუფში ყველაზე საინტერესო ამბები ალბანეთში დატრიალდა, სადაც მასპინძლებმა ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები დაამარცხეს 2:1, დანიამ კი შინ უკრაინასთან ითამაშა ფრედ 1:1. მომდევნო მატჩს ქართველები სწორედ ალბანელებთან გამართავენ. აქამდე ამ გუნდს თბილისიდან ქულაც არ წაუღია და ამ ტრადიციის დარღვევა არც ღირს.

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ფინეთი - ანდორა | 3:0 |
| რუმინეთი - მაკედონია | 2:1 |

**II ჯგუფი**

| | |
|---|---|
| თურქეთი - საქართველო | 1:1 |
| დანია - უკრაინა | 1:1 |
| ალბანეთი - საბერძნეთი | 2:1 |

**III ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ესტონეთი - ლუქსემბურგი | 4:0 |
| რუსეთი - სლოვაკეთი | 1:1 |
| ლატვია - პორტუგალია | 0:2 |

**IV ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ირლანდია - კვიპროსი | 3:0 |
| შვეიცარია - ფარერები | 6:0 |
| საფრანგეთი - ისრაელი | 0:0 |

**V ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სლოვენია - მოლდოვა | 3:0 |
| იტალია - ნორვეგია | 2:1 |

**VI ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩრდ. ირლანდია - პოლონეთი | 0:3 |
| აზერბაიჯანი - უელსი | 1:1 |
| ავსტრია - ინგლისი | 2:2 |

**VII ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბელგია - ლიტვა | 1:1 |
| სან მარინო - სერბეთი | 0:3 |

**VIII ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ისლანდია - ბულგარეთი | 1:3 |
| ხორვატია - უნგრეთი | 3:0 |
| მალტა - შვედეთი | 0:7 |

**სატურნირო მდგომარეობა პირველი ტურის შემდეგ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| საქართველო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| თურქეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

ფორმულა 1

# მიხაელი და შვიდი საოცრება

გიგა გურასაშვილი

*სამეფო რბოლების დაწყებიდან სამი თუ ოთხი ეტაპი კიდევ რაღაცის იმედი გვქონდა. უფრო სწორად, თავს ვიტყუებდით თუ ვინუგეშებდით, იქნებ ახლა დაუცდეს ფეხი და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, თანაც, მეშვიდედ, ველარ მოიპოვოს-თქო. გვეგონა, ჩემპიონატის დაწყებამდე ფერარელების ძირითადი მოქიშპეები "მაკლარენ-მერსედესი" და "BMW-უილიამსი" რამეს ილონებდნენ, რომ იტალიური საჯინიბოსთვის გზა გადაეღობათ და ამ საშვილიშვილო საქმეში "რენოც" შეეშველებოდათ. მით უფრო, რომ სეზონთა შორის ხანას, როგორც გვარწმუნებდნენ, თითოეული საჯინიბო ნაყოფიერად იყენებდა. მაგრამ სტარტიდანვე ნათელი გახდა - "წითელი ბარონთან" და მიხაელ შუმახერთან ჭიდილი კვლავაც შეუძლებელი იქნებოდა.*

დროთა განმავლობაში, ალბათ, აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ "ფერარის" გამწევი ძალა მიხაელ შუმახერი დროზე ადრე გაინაღდებდა ჩემპიონობას. ჩვენც არაერთხელ გვითქვამს, რაღა აზრი აქვს ფორმულა 1-სთვის თვალის დევნებას, როდესაც წინასწარი იცი მისი შედეგიო. არც შევმცდარვართ. "ბელგიის დიდ პრიზზე", მსოფლიო ჩემპიონატის მე-14 ეტაპზე, მიხაელმა ნაადრევად დაიდგა ჩემპიონის გვირგვინი. მანამდე ერთი ეტაპით ადრე კი, "უნგრეთის დიდ პრიზზე", სკუდერიამ კონსტრუქტორთა ჩათვლა მოიგო.

ამგვარი შედეგის განჭვრეტა რამდენიმე წლის წინათ შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ისიც ფაქტია, რომ მიხაელის ბოლო წლების ასეთმა უპირატესობამ "სამეფო რბოლები" მოსაწყენ, ერთფეროვან შეჯიბრებად აქცია, შეჯიბრებად, სადაც შედეგის წინასწარ გამოცნობა ფანტასტიკის სფეროს ნამდვილად არ განეკუთვნება.

*დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს*
*მოქალაქეობა: გერმანია*
*გუნდი: "ფერარი"*
*პირველი დიდი პრიზი: ბელგია, 1991 წელი*
*მოგებული ეტაპები: 82*
*ჩემპიონის ტიტულები: 7*
*ადრე ასპარეზობდა გუნდებში: "ჯორდანი" და "ბენეტონი"*

და მაინც, არ შეიძლება, გერმანელის რეკორდულ წარამატებათა ნუსხამ არ აღგაფრთოვანოს.

ჩემპიონის შვიდი ტიტული, საერთო ჯამში მოგებული 82 ეტაპი, 12 გამარჯვება სეზონში, მით უფრო, რომ სეზონი ჯერ არ დასრულებალულა. წინ კიდევ ოთხი ეტაპია - იტალიის, ჩინეთის, იაპონიისა და ბრაზილიის, ანუ "მონცა", "შანხაი", "სუძუკა" და "სან პაულოს" ტრასები.

დღეს, როდესაც თვალს ვავლებთ მიხაელის წარმატებათა ნუსხას, იბადება ეჭვი: შეძლებს კი ვინმე მისი მსგავსი შედეგების გამეორებას? არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუმახერი არსად წასვლას არ აპირებს - ის ფორმულა 1-ში რჩება. როდემდე? კაცმა არ იცის. როგორც თავად აცხადებს, მანამდე, სანამ არ მომბეზრდებაო. გარდა ამისა, ისიც უთქვამს, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე არ გამომიმჟღავნებიაო. ამის მერე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ "შუმი" მერვე ტიტულსაც დაეუფლება. ალბათ, რამდენიმე ათეული წელიწადი უნდა ველოდოთ იმასაც, რომ ვინმე მიხაელს გაუტოლდეს.

რამდენი პილოტი უნახავს ფორმულა 1-ის სამყაროს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს ხუთგზის ჩემპიონის ზღვრისთვის გადაებიჯებინოს. შორეულ წარსულში კი ხუთგზის ტრიმუფატორი (1951, 54-57 წლებში) იტალიელი ემიგრანტების შვილი, ლეგენდარული არგენტინელი მრბოლი ხუან მანუელ ფანხიო გახლდათ. ასე რომ, დღეს 35 წლის მიხაელს მოზიარეც აღარავინ ჰყავს ტიტულებში - ის ერთია და ჯერჯერობით განუმეორებელი. თუმცა, ძველი თაობის წარმომადგენლები ამბობენ, ფანხიოს ხანაში ბევრად ძნელი იყო წარმატების მიღწევა, ვიდრე დღესო. დღეს კი მიხაელის მოცილეები ხშირ შემთხვევაში უფრო სუსტად გამოიყურებიან, ვიდრე ადრეული ხანის მრბოლთა მეტოქეები. ერთხელ მიხაელს ჰკითხეს, წარსულის პილოტთაგან რომელს დაასახელებდით თქვენს კერპად ან სამაგალითო ადამიანადო. მიხაელის პასუხი მოკლე აღმოჩნდა - არავის! როდესაც ფორმულა 1-ში მოვედი, წარმოდგენა არ მქონდა მის ისტორიაზე, ამიტომაც გამოჩენილი პიროვნებები უცნობი იყო ჩემთვის. ასე რომ, არც კერპები მყავდაო.



*მიხაელ შუმახერმა მსოფლიო ჩემპიონატი მეშვიდედ ოთხი ეტაპით ადრე მოიგო.*

ძნელია რაიმე პარალელების გავლება, მაგრამ უდავოა, რომ მიხაელ შუმახერის სახელი უკვე დღესვე ფორმულა 1-ის ისტორიაში ოქროს ასოებით არის შესული.

ერთი სიტყვით, შუმახერს ორი ტიტულით მეტი აქვს, ვიდრე ფორმულა 1-ის ისტორიის ყველა სხვა გამოჩენილ პილოტს, ხოლო სამით მეტი, ვიდრე უახლესი ხანის მის უძლიერს კონკურენტს, ბრაზილიელ ალენ პროსტს.

თუმცა, როცა სტატისტიკაზე ვამხვილებთ ყურადღებას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ მიხაელის მეშვიდე ტიტული ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე იოლად დაუფლებული. მიმდინარე სეზონში "ფერარის" უპირატესობა ბევრად უფრო თვალშისაცემია, ვიდრე ეს 2002 წელს იყო. იშვიათად, რომ "შუმის" მეტოქეებს მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის. მაშინაც კი, როდესაც ძალიან მონდომებდნენ, გერმანელი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უმკლავდებოდა მომხდურებს.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ "შუმის" მისამართით ქება-დიდებას არ იშურებენ და თუ ვინმე იმსახურებს უდიდესი მრბოლის ტიტულს, ასეთი კონკურსგარეშე შუმახერიაო.

როდესაც მიხაელის ტიტულებს ვითვლით, ისიც უნდა ვახსენოთ, თუ ვინ შეუწყო მას ხელი. უდავოა, თუ ვინმე უნდა დავასახელოთ, ეს პირველ რიგში იტალიური მანქანათმშენებლობის ერთგვარი სადარბაზო ბარათი "ფერარია".

იტალიური საჯინიბოს პირმშომ 2000 წლის შემდეგ მკვეთრად აწია სტანდარტების თამასა. 2000 წლამდე კი სკუდერიელებს დიდი პრობლემები ჰქონდათ.

დღეს "ფერარის" ტექნიკურ პერსონალსა და მიხაელს შორის შესაშური ჰარმონია სუფევს. ორივე მხარე - "შუმი" და ტექნიკური პერსონალი ახალ-ახალ გამოწვევებს სთავაზობს ერთმანეთს. თუ "ფერარის" მომსახურე კოლექტივი ნიადაგ "შუმისთვის" იღვწის, მის ყველა პრეტენზიას უსიტყვოდ ასრულებს, იცის, რომ მისი შრომა წყალში არ გადაიყრება, რადგან მოგება ბევრად მეტი იქნება.

და ისევ... მაგრამ. სკუდერიას, ალბათ, გაუჭირდებოდა ამგვარი შედეგების მიღწევა, რომ არა ისევ მიხაელის მიზანდასახულობა და თითქმის მექანიკური სრულყოფილება.

ერთხელ შუმახერს ჰკითხეს, როგორც წესი, ფორმულა 1-ში წარმატებას განაპირობებს საიმედო და სწრაფი მანქანა, მრბოლის ოსტატობა და მექანიკოსთა დაუღალავი შრომა... ამ შემთხვევაში თქვენთვის რა უფრო მნიშვნელოვანიაო? შუმახერმა უპასუხა: ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული. წარმატება მაშინ შეიძლება მოვიდეს, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები საჭირო სიმაღლეზეა. აი, ამ დროს ნებისმიერ პილოტს შეუძლია გახდეს ისეთივე წარმატებული, როგორც მე. თუმცა, გუნდიც უნდა გიწყობდეს ხელსო.

დაბოლოს, სამეფო რბოლები, რომელიც ადამიანის შესაძლებლობების ზღვარზე გადის, სადაც თავბრუდამხვევი სისწრაფეა და უმნიშვნელო შეცდომაც კი, შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სხვა რამ აშინებს - შიში მაშინ მეუფლება, როდესაც ბევრ ადამიანს ვხედავ!

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "ლივერპულის ახალწვეულმა ლუის გარსიამ განაცხადა, რომ სურს, 10-ნომრიანი მაისურით ითამაშოს, რომელსაც ადრე მაიკლ ოუენი ატარებდა. "მე ამ მაისურით ვითამაშებ. კარგად მესმის, თუ რას ნიშნავს ეს ნომერი გულშემატკივართათვის. "ლივერპულთან" 5-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ იმედი მაქვს, აქ რაც შეიძლება დიდხანს დავრჩები", - განაცხადა ლუის გარსიამ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის ნაკრების ფორვარდმა ლუკა დონიმ, რომელმაც ნორვეგიის ნაკრების კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, განაცხადა, რომ ამ დროს მან ცხოვრების საუკეთესო წუთები იგემა. "ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტი იყო. გაიტანო ნაკრების სადებიუტო მატჩში, თანაც, შეცვლაზე შესულმა, ეს ნამდვილად ახდენილი ოცნებაა. ძალიან მინდა, მოლდოვასთან მატჩშიც მივიღო მონაწილეობა, მაგრამ თუ არ გამომივა, მაშინ იმათ ვუქომაგებ, ვინც მინდორზე გავა", - განმარტა დონიმ და დაამატა, რომ ამ გოლს უძღვნის მეგობარს, რომელიც ცხოვრებაში ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონმა საბერძნეთის ნაკრებმა ალბანეთში წააგო. ამან ბერძენი გულშემატკივრების გულისწყრომა გამოიწვია. მათ შეხლა-შემოხლა მოუხდათ ალბანელებთან. ჩხუბის შედეგად გარდაიცვალა ერთი ალბანელი და შვიდი ფანი დაიჭრა. კუნძულ ზაკინტოსზე ბერძნული წარმოშობის ამერიკელი დანით ხელში სამ ალბანელს დაესხა თავს. ერთი მოკლა, ორი კი დაჭრა. ათენში დანით ჭრილობა კიდევ ოთხმა ალბანელმა და ერთმა ბერძენმა მიიღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ნიუკასლ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი პენსიაზე გავიდა და ამიტომ "კაჭკაჭების" ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელს ეძებს. ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ ცნობილ ინგლისელ სპეციალისტ ტერი ვენეიბლზთან. "არ მგონია, რომ ამ ქვეყანაში "ნიუკასლზე" ძლიერი გუნდი არსებობდეს. მე შესანიშნავი შანსი მომეცა, ამ გუნდს ჩავუდგე სათავეში. მოხარული ვიქნები, თუ შანსი რეალიზებული იქნება", - განაცხადა ტერი ვენეიბლზმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს ანტონიო კასანოს აგენტებთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. ამჟამად მოქმედი კონტრაქტის ვადა 2006 წლის ზაფხულში იწურება. ახალი შეთანხმება შეიძლება 2011 წლამდე გაგრძელდეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი იური ჯორკაეფი, რომელიც აღარ იცავს ინგლისური "ბოლტონის" ღირსებას, იმედოვნებს, რომ ინგლისის პრემიერლიგაში თამაშის საშუალება კიდევ მიეცემა. "გულგატეხილი ვარ, რომ "ბოლტონში" ველარ დავრჩი. საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ. ვვარჯიშობ საფრანგეთის სამხრეთში და ჩემს აგენტს უილი მაკეის ვთხოვე, ინგლისის პრემიერლიგაში მოეძებნა ჩემთვის გუნდი, სადაც კიდევ რამდენიმე სეზონს გავატარებ", - განაცხადა 36 წლის ჯორკაეფმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი მოლდოვასა და იტალიას შორის, რომელიც 8 სექტემბერს არის დაგეგმილი, ტირასპოლიდან კიშინიოვში გადაიტანეს. ცნობილია, რომ მოლდოვას ნაკრები ბოლო ოფიციალურ მატჩებს საფეხბურთო კლუბ "შერიფის" ახალაშენებულ სტადიონზე მართავდა. ამ სტადიონზე ვარაუდობდნენ მოლდოვას ნაკრების საშინაო მატჩების ჩატარებას იტალიისა და შოტლანდიის წინააღმდეგ. ადრე ამ ქვეყნების წარმომადგენლები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ სტადიონი დნესტრისპირეთში მდებარეობს. ბოლო დროს ეს შეშფოთება გაზარდა მოლდოვასა და დნესტრისპირეთის მთავრობებს შორის შექმნილმა დაძაბულმა ურთიერთობამ. იტალიური და შოტლანდიური პრესა იუწყება, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით, 8 სექტემბრის მატჩი ტირასპოლიდან კიშინიოვში, რესპუბლიკურ სტადიონზე გადაიტანეს. მოლდოვას ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური რეაქცია ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**კრივი.** WBO-ის მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა ჯონი ნელსონმა ქალაქ ესენში წარმატებით დაიცვა ტიტული და მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა გერმანელი რიუდიგერ მაია. იმავე საღამოს პროგრამის ფარგლებში სუპერმძიმე წონაში სინან სამილ სამმა მესამე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ბელორუსი სერგეი დიჩკოვი.

■ ■ ■

**კრივი.** ქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა კორი სპინგსმა წარმატებით დაიცვა ტიტული და მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონი მიგელ ანხელ გონსალესი დაამარცხა. სპინგსს მთელი ორთაბრძოლის განმავლობაში დიდი უპირატესობა ჰქონდა. ბრძოლის დამთავრების შემდეგ მსაჯებმა ერთხმად მას დაუჭირეს მხარი - 118:109 სპინგსის სასარგებლოდ.

## კალათბურთი

# ძმები უილიამსები აქ არიან

პაატა თოთაძე


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*შემონდ უილიამსი ამბობს: ევროპაზეც გავალ და მსოფლიოზეცო.*

ახლოვდება 11 სექტემბერი. დღე, როცა საქართველოს ნაკრები სამწლიანი შესვენების შემდეგ ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს. აქამდე კაცნაკლული საქართველოს ნაკრები გუშინდლიდან შეძლებისდაგვარად სრული შემადგენლობით ვარჯიშობს. 4 სექტემბერს ნაკრებს ვლადიმერ ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი და შემონდ უილიამსი შეუერთდნენ. ვლადიმერ სტეფანიას ამბავი კვლავაც გაურკვეველია. როგორც ჩანს, ეროვნულ გუნდს მის გარეშე მოუწევს თამაში. პრობლემა მხოლოდ ვოვას თამაში ან ართამაში არ არის. პრობლემა ისაა, რომ ამერიკიდან საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოთხოვნაზე თუ კითხვაზე არანაირი პასუხი არ ისმის, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ სტეფანია საქართველოში არ ჩამოვა.

ერთი სიტყვით, გუშინ სპორტის სასახლეში 13 კალათბურთელი ვარჯიშობდა: უილიამსი, ფაჩულია, ცქიტიშვილი, მარკოიშვილი, ბოისა, ცინცაძე, ტუღუში, კილაძე, ი. ბერიშვილი, ბერძენიშვილი, ხეცურიანი, ა. ბოისა, გამყრელიძე. მცირე მოთელვის შემდეგ ბრაიკოვიჩმა გუნდი ორად გაყო. "თეთრებში" მოხვდნენ უილიამსი, ბოისა, მარკოიშვილი, ცქიტიშვილი და ფაჩულია. სასტარტო ხუთეული ფინეთთან მატჩში, ალბათ, სწორედ ასეთი იქნება. გუშინდელ ვარჯიშზე არ იყვნენ ნიკოლაძე და ვიქტორ სანიკიძე. სანიკიძე საბოლოოდ გამოაკლდა ნაკრებს ტრავმის გამო და, შესაძლოა, ვერც მაკედონიასა და ლუქსემბურგში ითამაშოს.

უილიამსის ჩამოსვლის შემდეგ ვარჯიშებმა უფრო სრულყოფილი სახე მიიღო, ბრაიკოვიჩსაც სასტარტო ხუთეულის დაყენების საშუალება მიეცა, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ფინეთთან მოსამზადებლად ძალიან მცირე დროა. "მხოლოდ ეგ პრობლემა მაწუხებს, სხვა არაფერი. ძალიან ცოტა დრო გვრჩება მოსამზადებლად. ჩვენგან განსხვავებით, ფინეთს ამ მატჩისთვის მოსამზადებლად გაცილებით მეტი დრო ჰქონდა. ამიტომაც ვწუხვარ. შესაძლოა, ყველა კომბინაციის დამუშავება ვერ მოვასწროთ. მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ოლიმპიურ თამაშებზე ქართველთა წარმატებამ ბიჭებზე უაღრესად დადებითად იმოქმედა, ფეხბურთელებმაც მშვენივრად ითამაშეს თურქეთში. მომავალ მატჩს ჩვენც დავესწრებით და იმედი მაქვს, მოვიგებთ კიდეც. ესტაფეტას კი განვაგრძობთ ფინეთთან მოგებით", - განაცხადა ბრაიკოვიჩმა.

უილიამსი თბილისში მარტო არ ჩამოსულა, ძმაც თან ახლავს. "საქართველო ახალგაზრდა და პერსპექტიული გუნდი რომ არის, იმიტომ დავთანხმდი აქ თამაშს. მჯერა ამ ბიჭების, ვიცი, ისინი რასაც წარმოადგენენ და ისიც ვიცი, რომ დიდი წარმატებების მიღწევა შეგვიძლია. მარტო ევროპის ჩემპიონატზე კი არა, ოლიმპიურ თამაშებზეც უნდა გამოვიდეთ. პირადად მე ასეთი გეგმები მაქვს და შევეცდები, თქვენც დაგარწმუნოთ მის მართებულობაში", - აღნიშნა უილიამსმა.

ენის ბარიერის გამო ვარჯიშისას დრაჟენ ბრაიკოვიჩს რაღაცებს ვერ უგებდა, თუმცა, საკალათბურთო ტერმინებით და ჩვენი ბიჭების დახმარებით საბოლოოდ ყველაფერს ხვდებოდა. "ვიცი, რომ ბევრი რამაა ჩემზე დამოკიდებული და თავს არ დავზოგავ, მაგრამ მთავარი გუნდის მოგებაა. მე მზად ვარ, არც ერთი ქულა არ ჩავაგდო, ოღონდ გუნდმა მოიგოს", - განაცხადა უილიამსმა. ისე კი, მასზე, მართლაც, ბევრი რამაა დამოკიდებული და ამას არც არავინ მალავს. მაგის გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდაო, - ითქვა სპორტის სასახლეში და ასეცაა. თუმცა, დალხენლები არც ახლა ვართ. ხუთეული კი კარგი გვყავს, მაგრამ მეორე ხუთეულში ცინცაძის გარდა ყველანი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი ბრძოლები ექვს კაცზე გადაივლის.

## რაგბი

# ახალი კავშირის ძველი ჩემპიონატი


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ახალი ჩემპიონატი ძველებურად წარიმართება.*

პაატა თოთაძე

შაბათს "ყოჩები" - "ლელოს" მატჩით რაგბიში საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო. ეს ჩემპიონატი პირველია საქართველოს რაგბის კავშირის ახალი ხელმძღვანელობისთვის, თუმცა, თუ დასაწყისის მიხედვით ვიმსჯელებთ, წლევანდელი პირველობა წინამორბედებისგან არაფრით გამოირჩევა. იგივე პრობლემები, უფულობა, ანუ ყველაფერი ის, რაც ქართულ რაგბის აქამდე აწუხებდა, კვლავაც აწუხებს. არც შეპირებული სპონსორი გამოჩნდა - "ალდაგთან" ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევაო, მხოლოდ ზოგადი პასუხით შემოიფარგლნენ.

ერთადერთი, რაც კაცს თვალში მოხვდებოდა, მოედნის გარშემო შემოვლებული ახლად შეღებილი მესერი იყო. მოედნის საფარზეც ითქვა: ბევრით არა, მაგრამ შედარებით უკეთესიაო. დანარჩენი კი, როგორც ვთქვით, ყველაფერი ისევეა - უფულო გუნდები, უსპონსორო ეროვნული ჩემპიონატი და ასე შემდეგ. უფულობის გამო ქუთაისის "აიამ" "ლოკომოტივთან" სათამაშოდ თბილისში ჩამოსვლაც ვერ მოახერხა. ის კი არა, შესაძლოა, ქუთაისელებმა საერთოდ ვერ მიიღონ მონაწილეობა ეროვნულ ჩემპიონატში, ლიცენზიის ფული არ გვაქვსო, - გაიძახიან. ლიცენზიის თანხა 10 ლარია ერთ მოთამაშეზე. ანუ ყველაზე ბევრი, რისი გადახდაც ქუთაისელებს შეიძლება დასჭირდეთ, 500 ლარია. არა გვგონია, 50 მოთამაშეზე მეტი შეიყვანონ განაცხადში (თუ შეიყვანეს საერთოდ ამდენი). ჰოდა, 500 ლარი თუ არა აქვს გუნდს, საერთოდ რატომ თამაშობს, გაუგებარია. აქ, როგორც ჩანს, სხვა პრობლემაა. ამბობენ, ქუთაისელ მორაგბეებს ბათუმში უნდათ გადასვლა და პრობლემაც ამის გამო იქმნებაო. ასეა თუ ისე, ფაქტია, პირველ ტურში "ლოკომოტივი" - "აიას" დაპირისპირება არ შედგა და ვნახოთ, მომავალში რა მოხდება.

კიდევ ერთ ფაქტორზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ქვეყნის ჩემპიონატი რომ იხსნება, მოედანზე ეროვნული დროშა აღიმართება ხოლმე. ასე ყველგან და ყველა სახეობაში. რაღა მაინცდამაინც ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისები?

უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, "ყოჩების" გამარჯვებით დასრულდა - 23:20. ბოლო წუთზე მოიგეს "ყოჩებმა". მეტოქის ჩათვლის მოედანთან დანიშნული შერკინებიდან გამოვარდნილ ბურთზე გიუნაშვილი წავიდა, თითქოს ლელოს გატანასაც არაფერი უნდოდა, მაგრამ უბურთოდ შეაჩერეს და მსაჯმა გია ამირხანაშვილმა უმალ ტექნიკური ლელო დააფიქსირა. მანამდე ვიცე-ჩემპიონები მდევრის როლში იყვნენ. წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მექულე ლაშა ფირფილაშვილი გახდა - მე-13 წუთზე მშვენივრად გაძვრა მეტოქის დაცვის ხაზში არსებულ ცარიელ სივრცეში და პირველი ლელო გაიტანა. ეს ხომ კარგი იყო, მაგრამ პირველი ტაიმის დასრულებამდე ფაილოძის მიერ გატანილი ლელო უმშვენიერესი გახლდათ. მოედნის ცენტრიდან დაიწყო ფინტაობა "ყოჩების" ნახევარმცველმა. ბოლოს კი ფეხით გადაკიდა ბურთი და, "ლელოს" მცველის თავზე გადამხტარი, თავადვე დაიჭირა. ამის შემდეგ უკვე წინ არავინ ეღობებოდა და ლელოს გატანაშიც ხელს ვინ შეუშლიდა. ამ ეპიზოდში ანგარიში 10:10 გახდა, თუმცა, ტაიმი მაინც "ლელოს" გამარჯვებით დასრულდა, რადგან დარჩენილ ათ წუთში გუნდური ლელოს გატანა მოახერხა.

მეორე ტაიმში "ლელოს" უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა - სარდანაშვილმა მოიპარა ბურთი რაქიდან და, "ყოჩების" ჩათვლის მოედნის სიახლოვეს მყოფმა, ლელოც გაიტანა. იმაზე კი, რაც მატჩის ბოლოს მოხდა, ზემოთ გიამბეთ.

## მოკლედ

### "მანჩესტერისთვის" პრემიერლიგას მოვიგებ"



უეინ რუნიმ, რომელიც წლეულს "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველაზე გახმაურებული ტრანსფერი გახდა, განაცხადა, რომ ახალ სეზონში თავის ახალ კლუბთან ერთად პრემიერლიგას მოიგებს. ლივერპულის "ევერტონის" ახალგაზრდა ფორვარდის სანაცვლოდ "მანჩესტერ იუნაიტედმა" 27 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. 18 წლის რუნიც თავისი განცხადებებით ამ ფულის ამოღებას იწყებს.

"ამჟამად კლუბში რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი ირიცხება. ერთად ჩვენ შეგვიძლია კარგი გუნდი გავხდეთ, - განაცხადა რუნიმ "მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალურ საიტზე, - წლევანდელ სეზონში პრემიერლიგის მოგება ცოტა გაგვიჭირდება. ამისთვის ორი ან სამი წელია საჭირო, მაგრამ უკვე ახლა შემიძლია ვთქვა, რომ "არსენალის" ან "ჩელსის" დონეზე გავედით. ჩვენ ამ კლუბებს კონკურენციას გავუწევთ".

რუნის ჯერ არ მოუშუშებია ტრავმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე მიიღო (ფეხი მოიტეხა), ამიტომ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდში მისი გამოჩენა გადაიდო. "მატჩები პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე ჩემთვის კარგი გამოცდილება იყო. მე საკუთარ თავში, თამაშის თვალსაზრისით, უკეთესობისკენ ცვლილება დავინახე და ახლა მსურს, ჩემპიონთა ლიგაში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელების წინააღმდეგ ვითამაშო, - განაცხადა რუნიმ, - ალექს ფერგიუსონი ახალგაზრდა ფეხბურთელებს გახსნის საშუალებას აძლევს. იმედი მაქვს, ის დამეხმარება, მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრს მივაღწიო".

### ჩაკვეტაძე გამოვარდა

ამერიკის ღია პირველობა დატოვა ქართული გვარის მქონე უკანასკნელმა ჩოგბურთელმა, რუსეთის სახელით მოასპარეზე ანა ჩაკვეტაძემ. ქართული წარმოშობის ჩოგბურთელი ტურნირის მესამე წრეში 29-ე ნომრად განთესილმა ბერძენმა ელენი დანილიდუმ გამოთიშა ასპარეზობას. მან საკმაოდ იოლად, ორ სეტში იმარჯვა - 6:4, 6:2.

აღსანიშნავია, რომ ტურნირს გამოეთიშა უიმბლდონის ჩემპიონი მარია შარაპოვაც. ის ფრანგ მარი პირსთან დამარცხდა - 4:6, 6:2, 6:3.

ვაჟთა თანრიგში მესამე წრის ბარიერი უპრობლემოდ გადალახა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა. მან ფრანგი ფაბრის სანტორო სამ სეტში - 6:0, 6:4, 7:6 დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა. გათამაშებას გამოეთიშა ტურნირის მე-15 ნომერი, ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი. მას სლოვაკმა დომინიკ ჰრბატმა აჯობა - 7:6, 6:3, 6:3.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - ფაბრის სანტორო (საფრანგეთი, 31) | 6:0, 6:4, 7:6 |
| ნიკოლას კიფერი (გერმანია, 19) - ტომას იუჰანსონი (შვედეთი) | 6:4, 6:0, 6:1 |
| ანდრეი პაველი (რუმინეთი, 16) - ჰიუ ტაიკ ლი (ს. კორეა) | 6:4, 6:2, 1:6, 1:6, 6:4 |
| ანდრე აგასი (აშშ, 6) - ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 25) | 6:4, 6:2, 6:3 |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 22) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 15) | 7:6, 6:3, 6:3 |
| სარგის სარგსიანი (სომხეთი) - პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) | 4:6, 4:6, 6:4, 6:2, 7:6 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 5) - მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) | 4:6, 6:3, 5:7, 6:4, 6:3 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 1) - ლიზა რეიმონდი (აშშ) | 6:4, 6:3 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5) - ელენა ბოვინა (რუსეთი, 26) | 7:6, 6:1 |
| ვინუს უილიამსი (აშშ, 11) - ჩანდა რუბინი (აშშ, 20) | 7:6, 6:3 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 14) - სილვია ფარინა-ელია (იტალია, 19) | 4:6, 7:6, 7:6 |
| ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 29) - ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 6:4, 6:2 |
| მარი პირსი (საფრანგეთი, 27) - მარია შარაპოვა (რუსეთი, 7) | 4:6, 6:2, 6:3 |

## TV-სპორტი

### ორშაბათი. 6 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV - NBA შიგნიდან
07:00 NBA TV. სეზონი 2000-2001. "UTAH JAZZ" - "DALLAS MAVERICKS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. ბრაზილია - პარაგვაი
14:10 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია - ბოლივია
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:30 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "ტტგ-იავა"
18:00 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. მეოთხედფინალი. პარაგვაი - ურუგვაი
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია - ბოლივია
21:50 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. მეოთხედფინალი. პერუ - არგენტინა
23:35 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
00:05 "FUTBOL MUNDIAL"
00:15 00:15-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1970. "PHOENIX SUNS"- "ATLANTA HAWKS"

**НТВ+СПОРТ**

10:00, 15:45 პრესცენტრი
10:20, 20:30 "ოლიმპის შვილები"
10:25 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 "საჭადრაკო მიმოხილვა"
11:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
16:00 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
18:00 ჰოკეი. მსოფლიო თასი. რუსეთი - სლოვაკეთი. შესვენებისას (19:30) - პრესცენტრი
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:10 ახალი ამბები
00:25 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. პირველი ნაწილი

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში
11:00 მოტორბოლები. პორტუგალიის გრან-პრი
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოლანდიაში. სპეციალური მიმოხილვა
13:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
16:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

# აშურბანიპალი

სანდრო ნავერიანი

*ასურეთის მეფე (669-635 ჩვ.წ.ა.) აშურბანიპალი აქტიურად აწარმოებდა საომარ და დიპლომატიურ ბრძოლებს ეგვიპტესთან, ელამთან და ბაბილონთან, რათა ასურეთის სამეფო შეენარჩუნებინა. ის შესულია ისტორიაში, როგორც ძლიერი დიპლომატი და ძველი წერილობითი ძეგლების შემგროვებელი.*

**აშურბანიპალი ასურეთის** უკანასკნელი ძლევამოსილი მეფე იყო. დღემდე მისი პიროვნებისა და პოლიტიკის შესახებ საკმარისზე მეტმა ცნობამ მოაღწია, ეს კი **1849-1850** წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების და სარგონიდების დინასტიის ბიბლიოთეკის წყალობით მოხდა. **სარგონიდების დინასტიის ბიბლიოთეკა** ასურეთის დიპლომატიურ, პოლიტიკურ კურსზე და საერთოდ ასურეთზე ძალიან დიდ ინფორმაციას მოიცავს.

**ჩვ.წ.ა. 669** წელს ასურეთის მეფე **ასარჰადონმა** სამეფო ტახტი თავის შვილს, აშურბანიპალს გადასცა, ხოლო, მეორე შვილი **შამაშ-შუმუკინი,** ბაბილონის ტახტზე დასვა. აშურბანიპალის ასურეთის ტახტზე ასვლა იმის მანიშნებელია, რომ იგი მამის საყვარელი შვილი იყო. ცოტა ხნის შემდეგ მან ბაბილონის სამეფოც შემოიერთა.

აშურბანიპალი ტახტზე ასვლამდე, ტრადიციის თანახმად, დაზვერვისა და მშენებელთა ჯგუფებს ხელმძღვანელობდა. თამამად შეგვიძლია იგი ასურეთის ყველაზე განათლებულ მეფედ მოვიხსენიოთ - ეუფლებოდა რა არა მარტო მშვილდისრის ტყორცნას და სამხედრო ეტლის მართვას, არამედ ასურეთ-ბაბილონის ისტორიას და მეცნიერებას.

აშურბანიპალის მეფობის ხანა ანტიასურეთულ კოალიციებთან დაძაბული ბრძოლით გამოირჩევა, რომელიც ხან ერთ, ხან მეორე საზღვარზე ღვივდებოდა. აშურბანიპალი, მოწოდებით ჭეშმარიტი დიპლომატი იყო, თუმცა, ეს მას ხელს არ უშლიდა, რომ მოუხერხებელი მტრები თავიდან მოეშორებინა. მიუხედავად დიპლომატიურობისა, იგი სიმკაცრით არცერთ მის წინამორბედს არ ჩამოუვარდებოდა.

აშურბანიპალის სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, ასურეთისათვის ყველაფერი სასურველად მიდიოდა. მას დაემორჩილა ორი დამოუკიდებელი კუნძული-სახელმწიფო **-ტირა** და **არვადა**. ასურეთი იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვ.წ.ა. 665 წელს **ლიდიის მეფე ჰიგესმა** აშურბანიპალთან კონსულები გაგზავნა **ქიმერიელების** წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების თხოვნით. ასურეთის მეფეს ანალოგიური თხოვნით მიმართა მცირე აზიურმა სამეფო **ტაბალმაც**.

ყველაზე დაძაბული ურთიერთობა ასურეთს **ეგვიპტესთან** ჰქონდა. აშურბანიპალის აგრესიული პოლიტიკა ეგვიპტის ფარაონთა, იმ ხანად ეგვიპტის მმართველების, **ეთიოპიელთა დინასტიის ფარაონების** უკმაყოფილებას იწვევდა. ამ დინასტიიდან ყველაზე მტკიცე პოზიციის მქონე **ტახარკა** იყო.

მას შემდეგ, რაც ასურეთელებმა ტახარკა აიძულეს ეგვიპტიდან წასულიყო, მან მახლობლად, ნილოსის მეორე სანაპიროზე დაიდო ბანაკი, დაიწყო მოლაპარაკებები ჩრდილოეთ ტერიტორიების მმართველ **ნეხოსთან**, რომელიც **საისის** და **მემფისის** მცირე სამეფოებს ედგა სათავეში, თუმცა, აშურბანიპალის ხალხმა ნეხოს შეპყრობა შეძლო და იგი ასურეთში გადაგზავნეს.

ასურეთის სამეფო კარზე ნეხოს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. აშურბანიპალმა მას ძვირფასი ტანისამოსი, ოქროს ქარქაშიანი ხმალი, სამხედრო ეტლი და ცხენები აჩუქა. რა თქმა უნდა, აშურბანიპალი ყველაფერს განზრახ აკეთებდა. ასურეთის მეფემ იმდენი შეძლო, რომ ნეხოს ეგვიპტესთან კავშირები გამოიყენა და თავად ნეხო, ასურეთის ჯარებთან ერთად ტახარკის დასამარცხებლად გაგზავნა, რაც საბოლოოდ ისე დამთავრდა, როგორც მეფეს წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. ასურეთმა, ეგვიპტის სამეფოზე სრული გავლენა მოახდინა. აშურბანიპალმა ეგვიპტის სამართავად ნეხო დასვა, თუმცა, სიფრთხილისათვის თავისი ერთგული კაცი მოადგილედ დაუყენა.

ასურეთის მთავარი მტერი **ელამის** სამეფო იყო. აშურბანიპალმა მათთან შერიგება სცადა (შესაძლოა, მხოლოდ დროის მოსაგებად), თუმცა ამ დროს ელამმა სამხრეთ **მესოპოტამიაში** (შუამდინარეთი) ანტიასურეთული პროპაგანდის გატარება წამოიწყო.

ასურეთის მეფის სამხრეთში ლაშქრობა იღბლიანი ვერ გამოდგა, მაგრამ ძალიან მალე, გაუგებარი მიზეზის გამო ელამის მეფე გარდაიცვალა. როგორც ჩანს, აღნიშნულ ფაქტს ასურეთელი მეფის ინტრიგების გარეშე არ ჩაუვლია. ელამის სამეფო ტახტზე ასვლისათვის ბევრი იბრძოდა, აშურბანიპალმა მომავალ პოლიტიკურ თამაშში გამოყენების მიზნით, ზოგიერთ მათგანს თავშესაფარი შესთავაზა.

**ჩვ.წ.ა. 655** წელს ასურეთის მეფემ მოულოდნელი დარტყმა მიიღო - ეგვიპტემ დამოუკიდებლობა დაიბრუნა. ნეხოს შვილმა **პსამეტიხმა ბერძენი** და **ლიბიელი** დაქირავებული მებრძოლების მეშვეობით შეძლო ასურეთის მარწუხებიდან თავის დაღწევა. აშურბანიპალი კი ეგვიპტეში ჯარებს ვერ აგზავნიდა, რადგან ელამთან კვლავ კონფლიქტი ჰქონდა.

**ჩვ.წ.ა. 653-652** წ.წ. აშურბანიპალის ძმა - **ბაბილონის** მეფე აჯანყდა. შამაშ-შუმუკინმა, რომელსაც ნდობით აღჭურვილი პირები ჰყავდა ასურეთის სამეფოში, ბაბილონში ძლიერი არმია შექმნა. ბაბილონის მეფის წარმატება **არაბ შეიხებთან, არამეთის ტომებთან** და **მიდიასთან** საიდუმლო შეთანხმებებმაც განაპირობა. შესაძლოა, შამაშ-შუმუკინს ეგვიპტელებთანაც ჰქონდა მოლაპარაკება, მაგრამ ბაბილონის "გათავისუფლებაში" ყველაზე დიდი წვლილი მუდამ ანტიასურეთულად განწყობილმა ელამმა შეიტანა. ბაბილონი საერთაშორისო კავშირების და პოლიტიკური ინტრიგების ცენტრად იქცა, რომელიც მხოლოდ ასურეთის წინააღმდეგ მოქმედებდა.

აშურბანიპალმა თავისი ძმა უზურპატორად გამოაცხადა და ომისთვის მზადება დაიწყო. ასურეთის მეფემ იცოდა ბაბილონი რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი სამეფოსათვის. უძველეს სავაჭრო და კულტურულ ქალაქზე სრული კონტროლი, მას ხელს აძლევდა მუდმივ მტრებთან - ეგვიპტესთან და ელამთან ურთიერთობაში.

ანტიასურეთული კამპანია ძალიან მრისხანე იყო, ამიტომაც აშურბანიპალი ძალზედ ფრთხილად ატარებდა შიდა თუ საგარეო პოლიტიკას. მან იცოდა, რომ ანტიასურეთული პროპაგანდა შუამდინარეთის ყველაზე დიდ ქალაქებში - ბაბილონსა და **ნიპურში**, ასევე ელამში ტარდებოდა, ამიტომ მან პრობლემის გადაჭრა დიპლომატიური გზით გადაწყვიტა და ზემოთ ნახსენებ ქალაქებში პირად კონსულს წერილობითი მიმართვა გაატანა. აღნიშნული წერილი **"სამეფო არქივის"** მიერ იქნა შემონახული. **"დაე, თქვენს გულებში სიხარული და ბედნიერება სუფევდეს. მე თქვენ მოგმართავთ არაფრის მთქმელი სიტყვების თაობაზე, რომელიც მატყუარა ადამიანისგან მოისმინეთ, ადამიანისგან, რომელიც იბრალებს თითქოს ჩემი ძმა იყოს. მე სიტყვა-სიტყვით ვიცი მან რაც გითხრათ. მისი სიტყვები ცარიელია, როგორც ქარი. არაფერი არ დაუჯეროთ. ვფიცავარ აშურს და მარდუკს, ჩემს ღმერთებს, რომ ყველა მისი სიტყვა, რომელიც ჩემ წინააღმდეგ წარმოთქვა ზიზღს იწვევს. ჩემი პირით გეუბნებით, რომ მან თავი დაიმცირა, როგორც უკანასკნელი უსინდისო ისე მოიქცა, როდესაც გითხრათ, რომ თითქოს მე ვცდილობ თავს ლაფი დავასხა და შევარცხვინო მოსიყვარულე ბაბილონელთა და ჩემი სახელი. ასეთი რამ არასოდეს მსმენია. ასურეთელებთან თქვენი მეგობრული ურთიერთობა გაცილებით დიდი ყოფილა ვიდრე წარმომედგინა. არ მოუსმინოთ მის არცერთ სიტყვას, ნუ შეილახავთ და ჩირქს ნუ სცხებთ თქვენს სახელს, რომელიც როგორც ჩემი, ასევე მთელ მსოფლიოს წინაშე სუფთაა. ღმერთების წინაშე მძიმე ცოდვას ნუ ჩაიდენთ, გაუფრთხილდით თქვენს კეთილშობილ სახელს. არის კიდევ ერთი რამ რაც, როგორც მე ვიცი, გაღელვებთ. ვინაიდან თქვენ ამბობთ ავუჯანყდით და თუ მან ისევ დაგვიპყრო ხარკსაც გაზრდისო, მაგრამ ჩემს ინტერესებში არ შედის თქვენს წინააღმდეგ გამოლაშქრება. როდესაც თქვენ ჩემი მტრის მხარე დაიჭირეთ, ღმერთების წინაშე დადებული ფიცი დაარღვიეთ და ძალიან დიდი ცოდვა აიკიდეთ. წინ გაიხედეთ და, როგორც უკვე გითხარით, ნუ შეურაცხყოფთ თქვენს პატიოსან სახელს, ნუ დაუჯერებთ იმ ბოროტმოქმედის სიტყვებს. დაბოლოს, მინდა გთხოვოთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მომწეროთ თქვენი აზრი. თვე აირი, 23 რიცხვი. უსტარს გადმოგცემთ ჩემი პირადი კონსული შამაშ-ბალატ-სუიკბი".**





*აშურბანიპალის მეფობის დროს ასურეთმა დაიპყრო თითქმის მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთი. ასურეთის სამეფოს საზღვრები ურარტუდან ნუბიამდე, კვიპროსი და კილიკიიდან-ელამის აღმოსავლეთ საზღვრებამდე იყო გადაშლილი.*



*აშურბანიპალის მონუმენტი სან-ფრანცისკოში.*

აშურბანიპალის მიმართვამ დიდი გავლენა მოახდინა ბაბილონის და ნიპურის დიდებულებზე, რამეთუ არცერთს არ სურდა ასურეთთან ურთიერთობის გაფუჭება. შამაშ-შუმუკინის პირად ამბიციებს კი არავინ არ აყოლია, დიდებულებმა აშურბანიპალის მხარე დაიჭირეს.

აშურბანიპალს ყველგან ნდობით აღჭურვილი პირები ჰყავდა. მათ ყველა ინფორმაცია გააჩნდათ იმის შესახებ თუ რა ხდებოდა ასურეთში და მეზობელ სამეფოებში. ისინი ყველაფერს ეუბნებოდნენ თავის მეფეს. ასე რომ, აშურბანიპალი ყველაფრის საქმის კურსში იყო. მან იცოდა თუ რამდენი სული საქონელი შედიოდა მის სამეფოში და რამდენი გადიოდა. ამიტომაც მან ბაბილონისაკენ გალაშქრება გადაწყვიტა, ზუსტად იცოდა თავისი ძმის სუსტი წერტილები.

დიპლომატიური ნაბიჯის შემდეგ აშურბანიპალი არმიას სათავეში ჩაუდგა და ბაბილონისაკენ დაიძრა. შამაშ-შუმუკინმა მარცხი განიცადა, მაგრამ ელამის სამეფომ მის დასახმარებლად ჯარი გაგზავნა, თუმცა, ელამელები ასურეთელებმა გზაშივე ამოწყვიტეს და დანიშნულების ადგილამდე არც კი მიაღწევინეს.

**ჩვ.წ.ა. 648** წელს ბაბილონი დაეცა. შამაშ-შუმუკინმა ბრძანა ბაბილონის სასახლე დაეწვათ, თვითონ კი ტყვედ ჩაბარება არ ისურვა და თავი დაიწვა... ბაბილონის "მეფედ" დაინიშნა ვიღაც **კანდალანუ**-აშურბანიპალის ნდობით აღჭურვილი პირი.

შამაშ-შუმუკინის განადგურების შემდეგ ბაბილონიდან ძალიან ბევრი გარბოდა და თავს ელამს აფარებდა. აშურბანიპალი კი, იმათ ვინც მას არ მოსწონდა თავიდან იშორებდა და მათ ადგილას თავის ხალხს ნიშნავდა. ასურეთის მეფემ ბაბილონში პირადი საკონსულოც აამოქმედა.

აშურბანიპალმა ელამში კონსულები გაგზავნა მოსალაპარაკებლად. ელამის მეფე **ინდაბიგასმა** ასურეთთან მოლაპარაკებებზე თანხმობა განაცხადა, თუმცა, მათი მოთხოვნები არ შეასრულა. ასურეთელები კი ბაბილონიდან გაქცეულ დამნაშავეთა გადაცემას ითხოვდა. ცოტა ხანში ინდაბიგასი ერთ-ერთმა მისმა მთავარსარდალმა **უმალხალდაშმა** მოკლა და ელამის ტახტზეც ის ავიდა. როგორც ჩანს, ყველაფერ ამაში ასურეთის მეფის ხელი ერია. ახალმა "მეფე" უმალხალდაშმა აშურბანიპალის იმედები ვერ გაამართლა და ის ელამიდან განდევნილ იქნა.

უმალხალდაშის განდევნის შემდეგ ელამის ტახტზე ახალი მეფე **ტამარიტი** ავიდა. ტამარიტი ცოტა ხანს ერთგულად ასრულებდა აშურბანიპალის ბრძანებებს, მაგრამ მალე მან ასურეთის მეფეს უღალატა და მის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორი გახდა. ტამარიტმა გაარღვია ასურეთის გარნიზონები ელამში. ამან ხელი შეუწყო საომარი მოქმედებების დაწყებას ელამსა და ასურეთს შორის. ომის პერიოდში ელამის მეფე ტამარიტი მოკლულ იქნა და პოლიტიკურ არენაზე კვლავ უმალხალდაში დაბრუნდა, რომელმაც ქალაქი **მადაქტუ** და ციხესიმაგრე **ბეტ-იმბი** აიღო, თუმცა, მისი წარმატებები მხოლოდ ამით შემოიფარგლა.

დაახლოებით **639 წელს ჩვ.წ.ა.** ასურეთმა კვლავ დაიბრუნა ელამი. ქალაქი ბარბაროსულად იქნა დამწვარი და განადგურებული. ელამელი მეფეების "პრახი" ამოიღეს სამარხებიდან და მდინარეში გადაყარეს. ელამელთა ღმერთების ძეგლები განადგურებულ იქნა, ხოლო, ბაბილონიდან ელამელთა მიერ მოპარული მრავალრიცხოვანი ფასეულობები კვლავ ბაბილონს დაუბრუნდა.

ასურეთის ჯარების მიერ ელამის დაპყრობა არ ნიშნავდა იმას, რომ ომი დამთავრდა. ანტიასურეთული პროპაგანდის გატარება ბაბილონის მეფის წულმა **ნაბუ-ბელ-შუმატმა** გააგრძელა. აშურბანიპალმა უბრძანა უმალხალდაშს (რომელიც კვლავ ცდილობდა ასურეთის მეფესთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინა) სიტუაცია დაერეგულირებინა. საბოლოოდ აჯანყება ჩაცხრა, ნაბუ-ბელ-შუმატმა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ელამი ასურეთის სამეფოს შეუერთდა.

ელამის და ბაბილონის შემოერთების შემდეგ აშურბანიპალის ინტერესი ჩრდილოეთ სამეფოებმა გამოიწვია. მას განსაკუთრებით რკინის საბადოები ხიბლავდა. აშურბანიპალმა მზვერავები და დიპლომატები გაგზავნა **ურარტუსა** და **ვანის** სამეფოებში. ერთ-ერთმა ასურეთელმა, **უპახირ-ბელმა** აშურბანიპალს წერილი გაუგზავნა: **"მე სომხეთში გავგზავნე სპეციალური მზვერავი. ის უკვე დაბრუნდა და მომახსენა სიტუაცია, რომელიც ქვევით წერია. ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილი ხალხი ამ დროისათვის ქალაქ ჰარდაში არიან დაბანაკებულნი. ისინი ყველაფერს ყურადღებით აკვირდებიან. ყველა ქალაქში დგანან სამხედრო შენაერთები... ვთხოვ ჩემს ბატონს, რომ გამომიგზავნოს ჯარი რათა ქალაქი შურუბუ დავიკავო".**

აშურბანიპალს სომხეთთან ერთად ურარტუს დაპყრობაც ჰქონდა განზრახული. მას ბევრი თანამოაზრე გამოუჩნდა სხვა და სხვა სამეფოებიდან. ერთ-ერთმა ურარტუს მეფე **აშურის** მოკვლაც კი შესთავაზა.

ომი ასურეთსა და ურარტუს შორის რამდენიმე ასწლეული გრძელდებოდა, თუმცა ასურეთმა სასურველ შედეგს ვერა და ვერ მიაღწია. მიუხედავად ბევრი მარცხისა და ასურეთელთაგან დიპლომატიური მიდგომებისა ურარტუმ მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

აშურბანიპალი თავის წერილებში წერდა, რომ ის უშიშარი მეომარი და მონადირეა, რომ ბრძენია და მან ყველა სფეროში იმაზე მეტი იცოდა რაც საჭირო იყო. ის თითქმის არასოდეს არ ღებულობდა მონაწილეობას ომებში და ყოველთვის ეშინოდა ბოროტი სულებისა და ღმერთების უმოწყალობის. აშურბანიპალი მთელი თავისი სიცოცხლე შიშში ცხოვრობდა.

ის უაღრესად განათლებული მეფე იყო. მან თავის სასახლეში უზარმაზარი ბიბლიოთეკა შექმნა, რომლისთვისაც თავად არჩევდა ლიტერატურულ თუ მეცნიერულ ნაშრომებს. ის სულ ცდილობდა გაემდიდრებინა თავისი ბიბლიოთეკა.

აშურბანიპალის ცხოვრების ბოლო წლებზე ძალიან ცოტაა ცნობილი. არსებობს ვარაუდი, რომ ასურეთის მეფე ჩვ.წ.ა. 635 წელს სამეფო ტახტიდან გადააგდეს, თუმცა მისთვის არავის არაფერი არ დაუშავებია და დარჩენილი სიცოცხლე ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ქალაქ **ხარანში** გაატარა.

ასურეთმა აშურბანიპალის მეფობის დროს უაღრესად დიდ დიდებას მიაღწია. აშურბანიპალის მეფობის დროს ასურეთმა დაიპყრო თითქმის მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთი. ასურეთის სამეფოს საზღვრები **ურარტუდან ნუბიამდე, კვიპროსი და კილიკიიდან-ელამის აღმოსავლეთ საზღვრებამდე** იყო გადაშლილი. ასურეთის კულტურა ყველაზე შთამბეჭდავია რაც კი ყოფილა ძველ აღმოსავლეთში.

ომებმა ასურეთი დაასუსტა. ანტიასურეთული კაოლიცია, რომელთანაც აშურბანიპალს ბრძოლა უხდებოდა სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. ასურეთის მდგომარეობა კრიტიკული შეიქმნა-სამეფოს აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ახალ ახალი მტრები უჩნდებოდნენ. ასურეთმა ვერ გაუძლო ასეთ დაწოლას, დაკარგა საერთაშორისო ურთიერთობები და ძალიან მალე ახალი დამპყრობლების გავლენის ქვეშ მოექცა. **აშურბანიპალმა აქ ჰუმანურობა გამოიჩინა და თავისი ხალხი უაზრო ომებში არ გარია.**

აშურბანიპალი გარდაიცვალა დაახლოებით **630 წელს ჩვ.წ.ა.** სწორედ ამ დროს დაიწყო ასურეთის სამეფოსათვის ახალი ეპოქა, რომელმაც ის საბოლოო დაცემამდე მიიყვანა.

# თურმე...

ანა კორძაია-სამადაშვილი

რიზ უიზერსპუნი იმიტომ კი არაა ეკრანის იშვიათი სტუმარი, რომ ექსტრემალური უნიჭობით გამოირჩევა, არამედ იმიტომ, რომ ყველა როლის შესრულებაზე არაა ყაბულს. მსახიობი ამბობს, რომ მხოლოდ ძლიერი ქალების თამაში სურს, რაც რეჟისორებს, ცოტა არ იყოს, აბნევს. "მე არასოდეს დავთანხმდები მორიდებული თაგუნიას ან ტიპური ქალის როლის შესრულებაზე," - ამბობს რივზი. "მე ქალის და საკუთარი ძალისა მწამს, რადგან ქალებს პრაქტიკულად შეუძლებელი რამის გაკეთებაც ძალუძთ".

რამდენადაც მახსოვს, ამის შნო მამაკაცებსაც უნდა ჰქონდეთ, მაგრამ თავს, ცხადია, ვერ დავდებ. ის კი ზუსტად ვიცი, რომ მსახიობი იმის მსახიობია, რომ საკუთარი ღირებულებათა სისტემა და ცხოვრებისეული პრინციპები გვერდზე გადადოს და ყველა და ყველაფერი ითამაშოს. მაგრამ, რა ჩემი განსასჯელია რიზ უიზერსპუნი, რომელიც, სიმართლე გითხრათ, თვალით არ მყავს ნანახი.

■ ■ ■

ჰელენა კრისტენსენი არა მარტო ფოტოკამერის წინაა შესანიშნავი ქალი, არამედ ფოტოგრაფობაც ეხერხება. კომპანია Carlsberg Export-მა სუპერმოდელი თავისი ყველაზე პოპულარული პროდუქციის ახალი სარეკლამო კამპანიის გადასაღებად მიიწვია. პროდუქციაც დანიურია და მისი რეკლამის შემოქმედებიც დანიელები არიან.

"ძალიან მიხარია, რომ ეს კამპანია ყველაზე პოზიტიურსა და კარგს წარმოადგენს, რაც დანიაში არსებობს," - ამბობს ჰელენა. მისი ერთ-ერთი პირველი აღმოჩენა დანიელი მოდელი გახდა, ვაიბ სორენსენი, რომელიც ლონდონის მოდის კვირეულის დროს თავისი თანამემამულის, იენს ლაუგესენის ჩვენებაში მიიღებს მონაწილეობას.

■ ■ ■

კეიტ ბლანშეტი კანის მოვლის საშუალებების მწარმოებელი იაპონური ფირმის, SK-II-ის სახე გახდა. ამასთან დაკავშირებით, მსახიობი ამბობს, რომ კოსმეტიკური საშუალებებისა დიდად არ სწამს და დარდობს, რომ კოსმეტიკამ ქალები მთლად გადარია. "მე მგონი, ქალებს სიბერის შიშს უნერგავენ," - განაცხადა მან.

მაგარი რეკლამა კი გამოვიდა, ღმერთმანი.

■ ■ ■

კანადელი მომღერლის, ავრილ ლავინის საყვარელი ტანსაცმელი შავი ფერისა ყოფილა, "თასმებიანი და ქამრებიანი, თავის ქალებითა და გადაჯვარედინებული ძვლებით მორთული. კამუფლაჟიც მომწონს". ეს მან ჟურნალ "ფეშენ როკს" უამბო.

იმედი მაქვს, იქაური კოლეგები ასეთი ფასეული ინფორმაციის მათი ნებართვის გარეშე გამოქვეყნებისთვის ძალიან არ გამიჯავრდებიან.





# აფიშა

## გამოფენები

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"ელექტრონული დედამიწა"
თანამედროვე ბრიტანული ვიდეო-არტი
გახსნა: 19 საათზე

**გოეთეს ინსტიტუტი**
პროექტი "სამშაბათი გასულია"
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

**ქარვასლა**
პროექტი "სამშაბათი გასულია"
შვეიცარელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ცხოვრება მართლაც მშვენიერია"
დას: 14:00; 19:00; 22:00 სთ

"ნატალი"
დას: 17:00 სთ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# "ინგოლშტატი" თბილისში

ლამაზი ტრადიცია დაუტოვა თავის საყვარელ ქალაქს დიდმა მაესტრომ, ჯანსუღ კახიძემ: ყოველწლიურად, შემოდგომის დასაწყისში, მისი თაოსნობით იმართებოდა მუსიკალური ფესტივალი "შემოდგომის თბილისი". სასიხარულოა, რომ ამ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს მისი ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ კახიძე.

წელს მუსიკის ამ დღესასწაულში პირველად იღებს მონაწილეობას ჩვენი სტუმარი, საქართველის კამერული ორკესტრი "ინგოლშტატი" (ყოფილი საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კამერული ორკესტრი), აღიარებული მუსიკალური კოლექტივი, რომელიც წელს თავისი დაარსების 40 წელს აღნიშნავს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თარიღს ქალაქ ინგოლშტატში (გერმანია) მიეძღვნა ქართული კვირეული, სადაც, მუსიკასთან ერთად, წარმოდგენილი იყო ქართული ლიტერატურა, კინოხელოვნება და მხატვრობა. კვირეულში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა სახელგანთქმულმა ანსამბლმა "რუსთავმა", ხოლო კამერული ორკესტრის კონცერტზე სოლირებდა ახალგაზრდა ქართველი მევიოლინე, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ლიზა ბათიაშვილი.

კამერული ორკესტრი ყოველწლიურად სტუმრობს მშობლიურ ქალაქს და, როგორც წესი, უსასყიდლოდ მართავს კონცერტებს მის მიერ მოწვეული სახელგანთქმული სოლისტების მონაწილეობით.

წელს ორკესტრი თბილისის მუსიკალურ საზოგადოებას სთავაზობს ორ კონცერტს - 7 და 9 სექტემბერს. მათგან პირველი ეძღვნება საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დაარსების 10 წლისთავს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი არგენტინელი მუსიკოსი, ებრაული სტილის მუსიკის მეფედ წოდებული კლარნეტისტი გიორა ფაიდმანი. მეორე კონცერტი შედგება "შემოდგომის თბილისის" ფესტივალის ფარგლებში. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული კვარტეტი. ორივე კონცერტი გაიმართება ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში, ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელის, მარკუს პოშნერის დირიჟორობით.

# ჟურნალისტი - ნოსტრადამუსი და დროში მოგზაური

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

ყოველთვიური ჟურნალ "ჰარპერსის" მთავარმა რედაქტორმა და იმავდროულად მესვეტემ, ლუის ლეპჰემმა, პირველმა დაბეჭდა ჩემი მოგონებები სტალინის შესახებ, რისთვისაც სამარის კარამდე მისი მადლობელი ვიქნები. მაგრამ ცოტა ხნის წინათ მან ისეთი ჩაიდინა, რომ თმა ყალყზე დამიდგა.

ჯერ კიდევ **აგვისტოში** "ჰარპერსის" **სექტემბრის** ნომერი მივიღე, რომელშიც ნიუ იორკში რესპუბლიკური პარტიის ყრილობის შესახებ ლეპჰემის რეპორტაჟი იყო გამოქვეყნებული. არა მომავალი, არამედ უკვე დასრულებული ყრილობის შესახებ! გავიკითხ-გამოვიკითხე და გავიგე, რომ ჟურნალი, რომელშიც ეს რეპორტაჟი იყო დაბეჭდილი, სტამბაში **ივლისში** მიუტანიათ!

რეპორტაჟში ისეთი რამები ეწერა, რისი წინასწარმეტყველებაც ძალზე იოლი იყო: 9/11-ის გმირის, ნიუ იორკის ყოფილი მერის, რუდოლფ ჯულიანის, "პარტიის საყვარელი" სენატორის, ჯონ მაკეინისა და მისი კერპის, კალიფორნიის გუბერნატორის, არნოლდ შვარცნეგერის გამოსვლები. აღწერილია ასევე სავსებით წინასწარმეტყველებადი საპროტესტო დემონსტრაციები, მათი კიდევ უფრო იოლად წინასწარმეტყველებადი შეტაკებები სამართალდამცველებთან. აღწერილია ამ უკანასკნელთა არნახული ძლევამოსილებაც. რეპორტაჟი ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამის ანალიზსაც შეიცავდა, რომელიც ისეთივე იოლად წინასწარმეტყელებადი იყო, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, დაბოლოს, აღნიშნული იყო ყრილობის მთავარი შედეგი - რესპუბლიკური "ტიკეტის" ("ბილეთის"), ბუშ-ჩეინის ერთსულოვანი არჩევა - ნომინაცია.

ლეპჰემის მოგზაურობა მომავალში (აინშტაინის მიხედვით), მისი სამეცნიერო ხედვის ძალა (მარქსის მიხედვით) და მომავლის კითხვის უნარი (ნოსტრადამუსის მიხედვით) მხოლოდ მთელ სურათზე კი არა, დეტალებზეც ვრცელდება (ის თამამად ახდენდა წარმოთქმული სიტყვების "მონტირებას" კონსერვატიული ტელეარხ "ფოქსისა" და გაზეთ "უოლ სტრიტ ჯორნელის" სარედაქციო სტატიებისგან. ესეც, თუ ორჯერ ორი ოთხი არა, სამჯერ სამი ცხრა მაინცაა).

ლეპჰემი არა მარტო რედაქტორია, არა მარტო მესვეტე, არამედ ბრწყინვალე ფელეტონისტიც. ამიტომ მისი მომავლის რეპორტაჟის კითხვისას მოველოდი, რომ ფინალში ის გათამაშების არსსა და მის მორალს "გაგვიხსნიდა": იმის შესახებ, რომ აშშ-ს ძირითადი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ყრილობები ცარიელ ფორმალობად იქცა, სატელევიზიო შოუდ, რომელიც იმაზეც კი არ დებს თავს, რომ "რეალიტი შოუ" იყოს, რომელშიც შეჯიბრის (მაგალითად, ვინ მეთ მატლს შეჭამს) და მოულოდნელობის (ვინ იტყვის უარს გომბეშოს კოცნაზე) ელემენტები მაინც არსებობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი სულ არ ხუმრობდა. ეს მან "ჰარპერსის" "მრავალრიცხოვანი აღშფოთებული მკითხველის გამოხმაურებაზე" ელექტროფოსტით დაგზავნილი პასუხებით დაამტკიცა - "ჰარპერსი" ხომ სოლიდური ჟურნალია, და არა ტაბლოიდი. თავის საიტზე ლეპჰემმა გახუმრებაც კი გაბედა: "უფრო მკაცრი რედაქტორი რომ ვყოფილიყავი," - წერს ის- "არაფრით გავუშვებდი ლეპჰემის სვეტს, რომელიც პოეტურ ფანტაზიებში გადაიჭრა". ამას თვითგვემა და ბოდიში მოჰყვა.

ჰო, ნოსტრადამუსი დაგვეტანჯა...

და მაინც, თუ მომავლის ისტორიკოსი 2004 წლის სექტემბერში ნიუ იორკში გამართული სპილოს პარტიის ყრილობის შესახებ დაიწყებს წერას, მას თამამად შეეძლება, წყაროდ "ჰარპერსში" გამოქვეყნებული ლეპჰემის რეპორტაჟი გამოიყენოს. ნამდვილად არ შეცდება.

## TV პროგრამა

*6 სექტემბერი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** დისკავერი **13.30** მხ. ფილმი "ზამთრის საღამო გაგრაში" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სერიალი "ქრისტეფორე კოლუმბი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "მეწამული შტორმი". მთ. რ-ში: დენიელ ლუ (18).

### TV5

**06.25, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.55** როცა ღმერთები კაცებს გვირგვინით ამკობდნენ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **14.05** უცნაური მოგზაურობა. ტიპი და დათვები. დოკ. ფილმი. **16.25** ჩათვალეთ, რომ მე აქ არ ვარ. მხ. ფილმი. რეჟისორი ოლივიე ჟაჰანი. 2000. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** გადაცემა: როზენბერგი. უკანასკნელი ცეკვა. მარინა ვლადის კომენტარებით. **04.20** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი 09.45-**18.00** პროფილაქტიკა პირველ არხზე **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "კასანდრა" **22.00** ღამის მატარებელი **24.00** მხ. ფილმი "პროზაკის თაობა" (15)

### JIST

**08.00** "ქართული" **12.00** "ფოლკი" **12.30** "მხიარული" 5 **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.00** "მხიარული" 5 **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 15.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "ფან-ფან ტულპანი" (გ) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "დიუნის შვილები" **17.20** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** მინისერიალი "არ გაუშვა" **22.45** "მზერა დღის ბოლოს" **23.15** "ტელეპროცესი. ერეკლე მე-2" **00.00** მხ. ფილმი "პლანეტა კა-პექსი" (18)

### იმედი

**07.00, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **07.15, 09.00, 10.00, 11.05, 12.00, 14.50, 17.20, 18.00, 20.30, 21.25, 01.30** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერაილი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** თამაში "უდაბნოს სამძჭედლოები" **11.30** ტვ-მარკეტი **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** მხ. ფილმი "მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით" (გ) (პ. რიშარი) **15.15** სერიალი "დანაშაულებათა საიდუმლოებანი" **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "მკვლელები" **21.30** ვაკაჭი-ნიუსი **23.00** მხ. ფილმი "ეშმაკით შეპყრობილი" (გ) **01.00** ტვ-მარკეტი

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро" **09.00** Новости **09.10 Х/ф "МУМИЯ ВОЗВРАЩАЕТСЯ" 11.30** Дисней-клуб: **12.00** Новости **12.20 Х/ф "С ТОБОЙ И БЕЗ ТЕБЯ..." 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.00** Новости **15.10** "Угадай мелодию" **15.40 "СЫЩИКИ". Сериал 16.50** "Пять вечеров". **18.00** Новости **18.20** Смехопанорама **19.00 "КЛОН". Сериал 20.00** Жди меня **21.00** Время **21.30 Х/ф "ДИВЕРСАНТ". 1-я с 22.40** "Дикое золото Магадана" **23.30** Ночное "Время" **23.50** Искатели. "Фаворитка императора" **00.20** "Формула власти" **00.50** "Русский экстрим" **01.20 Х/ф "ПАРНИ ИЗ ЖЕНСКОЙ ОБЩАГИ" 02.40 Х/ф "НА КРАЮ" 03.00** Новости **03.05 Х/ф "НА КРАЮ" 04.10 Х/ф "УСКОЛЬЗАЮЩИЙ ВИРУС" 05.00** Новости **05.05 Х/ф "УСКОЛЬЗАЮЩИЙ ВИРУС"**

### НТВ

**06.00** Информканал "Сегодня утром" **10.00** "Сегодня" **10.15** "Преступление в стиле модерн: великая комбинаторша **10.55** "Без рецепта". **11.25 Х/ф "ОТРЯД ОСОБОГО НАЗНАЧЕНИЯ" 13.00** "Сегодня" **13.35 Х/ф "ТРИО" 15.35** "Криминальная Россия" **16.00** "Сегодня" **16.20** "Принцип домино" **17.25 "ТАКСИСТ" Сериал 18.35** "Криминальная Россия" **19.00** "Сегодня" **19.40 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ - VI.". Сериал 20.50 "МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ" Сериал 22.00** "Страна и мир" **22.40 "СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ" Сериал 23.15** "Школа злословия" **00.30** "Сегодня" **00.45 "СКОРАЯ ПОМОЩЬ" Сериал**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი



# მონტანელების სამი თაობა



საერთაშორისო მაყურებლისთვის პიტერ ფონდა, უბრალოდ ,საყვარელი მსახიობი და რეჟისორია, თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი როლით "უდარდელ მხედრებში". ამერიკაში, მონტანას შტატში კი მას კიდევ ერთი მიზეზის გამო სცემენ პატივს - ფონდა მათი მშობლიური შტატიდან არის. ამ დამსახურებების გამო მსახიობს მონტანელები გარი კუპერის სახელობის პრიზს გადასცემენ, ოდნავ ვრცელი სათაურით - გარი კუპერი, მონტანას სულისკვეთების ჯილდო. საზეიმო ცერემონიალი აუდივიზუალური ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში 9-12 სექტემბერს გაიმართება. ჯილდოს ხანდაზმულ მსახიობს ჯეფ ბრიჯესი გადასცემს - კიდევ ერთი მონტანელი.

ფესტივალის ხელმძღვანელის პენი რონინგის თქმით, პიტერ ფონდა კინოში გაწეული ღვაწლისთვის და მონტანური ფესვებისთვის ჯილდოვდება. თვითონ მსახიობი კი აცხადებს, რომ გარი კუპერის სახელობის სიგელის მიღება მისთვის ძალიან დიდი პატივია, კუპერს ის მამის, ჰენრი ფონდასგან იცნობდა. "ის ვესტერნების უდიდესი ოსტატი იყო. ყველაფერი უზადოდ გამოსდიოდა. როცა შევიტყვე, რომ კუპერიც მონტანადან იყო, მაშინ გავიფიქრე, აი, თურმე, რატომ არის ასეთი კარგი", - დასძენს დაჯილდოებული მსახიობი.

# ხუთი მკვლელობა ერთ ღამეში



ტომ კრუზი ახალი სურათით "მკვლელის უნებლიე მოწმე" უკვე ერთი კვირაა, ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ამერიკულ ათეულში პირველ ადგილზე ლიდერობს. ალბათ, ხალხი მას რიდისა და შიშის გამო ირჩევს - ფილმში ხომ კრუზი ცივსისხლიანი და უგულო მკვლელის როლს ასრულებს; მკვლელის, რომელიც მორიგი შეკვეთის შესასრულებლად ლოს ანჯელესში ჩადის, აჰყავს ტაქსი და ხუთ მისამართზე ხუთი ადამიანის მოსაკლავად მიდის. ტაქსის მძღოლი, რომლის როლსაც ჯეიმი ფოქსი ასრულებს, ტომ კრუზის უნებლიე მოწმე ხდება, საქმეს ართულებს ისიც, რომ მათ ლოს ანჯელესის პოლიცია და FBI დასდევთ, არადა, ერთ ღამეში ხუთი მკვლელობაა შესასრულებელი...

სანამ ეკრანზე დიდი სისხლისღვრა და დევნა გრძელდება, რეალურ ცხოვრებაში ტომ კრუზი ფილმის პოპულარიზაციისთვის ევროპაში იმყოფება. ვენეციაში ჩასული მსახიობი ჟურნალისტებს იმასაც უმტკიცებს, რომ თავისი მკვლელი პერსონაჟისგან კარდინალურად განსხვავდება. დაქირავებულ მკვლელ ვინსენტს ის თავისი კარიერის ყველაზე ბოროტ პერსონაჟად მიიჩნევს და დასძენს: "არავის მოვკლავდი, უბრალოდ, იმიტომ, რომ არ მინდა. შეიძლება, მოკვლის ღირსი, მაგალითად, ოსამა ბინ ლადენი იყოს, მაგრამ რა ვქნა, არავის მოკვლა არ შემიძლია".

ასე არ ფიქრობს მაიკლ მენი, თრილერის რეჟისორი, რომელიც თავისი ფილმით კიდევ რამდენიმე მილიონის გაკეთებას გეგმავს. მისი ფილმი ვენეციის ფესტივალზე კონკურს გარე პროგრამაში აჩვენეს.

# სიყვარული დოვილში, სიყვარული პარიზში



ფაქტია, რომ მაშინ, როცა ვენეციის კინო-ფესტივალი მიმდინარეობს, პარალელურად გახსნილი ყველა სხვა კინოღონისძიება ჩრდილში ექცევა ხოლმე. თუმცა, თავის მეორეხარისხოვან ადგილს ნორმანდიის ზღვისპირა ქალაქის დოვილის ფესტივალი წინასწარ შეგუებულია და დიდი პრეტენზიები არც აქვს. იქ გაცილებით უფრო მშვიდ და არავარსკვლავურ გარემოში უყურებენ კინოს და თან დოვილის სილამაზით ტკბებიან. ასე გაგრძელდება 12 სექტემბრამდე.

პარასკევს კი ფესტივალი ფრანგი რეჟისორის კლოდ ლელუშის ფილმმა "პარიზელებმა" გახსნა. ლელუშს ამ ქალაქთან ბევრი სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. სწორედ დოვილში მიმდინარეობდა მისი გახმაურებული სასიყვარულო ისტორიის, 1966 წელს გამოსული "ქალი და მამაკაცის" გადაღებები. შეგახსენებთ, რომ ამ ფილმმა "ოსკარი" მოიპოვა საუკეთესო უცხოური ფილმის კატეგორიაში, კანში კი ოქროს პალმის რტოთი დაჯილდოვდა.

"პარიზელებიც" სიყვარულისა და ღალატის ამბავს მოგვითხრობს, რომელიც სიყვარულის ქალაქში, პარიზში ვითარდება. რაც შეეხება დოვილს, მის შესახებ რეჟისორი ამბობს, რომ ამ ქალაქთან რომანი გაცილებით უფრო ადრე გააბა, ვიდრე "ქალსა და მამაკაცს" გადაიღებდა. "13 წლის ვიყავი, როცა ერთი 12 წლის გოგო მიყვარდა, რომელიც დოვილს არდადეგებზე სტუმრობდა. ყოველ დღე მის სანახავად სანაპიროზე 8 კილომეტრს გავდიოდი ხოლმე და ყველგან ვეძებდი", - აღნიშნა რეჟისირომა "ლე ფიგაროს" ჟურნალისტთან საუბარში.

კლოდ ლელუში ჟიურის თავმჯდომარეც გახლავთ. საინტერესოა, რომ ის მხოლოდ ქალთა საზოგადოებას ხელმძღვანელობს. ჟიური მთლიანად მანდილოსნებითაა დაკომპლექტებული და მათ შორის გახლავთ ანუკ ემეც - ლელუშისა და ტრენტინიანის მთავარი ქალი "ქალი და მამაკაციდან".

დოვილის ფესტივალზე, რომელიც 30-წლიან ისტორიას ითვლის, წელს კონკურსის ფარგლებში 10 ფილმს უჩვენებენ. მათგან, ძირითადად, ამერიკული პროდუქცია ჭარბობს. დოვილის პრიზისთვის იღწვიან ჯიმ კერი და ქეით უინსლეტი ფილმით Eternal Sunshine of the Spotless Mind, დრამა "ჩვენ აქ აღარ ვცხოვრობთ" ნაომი უოტსის მონაწილეობით და "ბოროტებით სავსე ყურე" - ამბავი მდინარეზე გასეირნების შესახებ, რომელიც ცუდად მთავრდება.




საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.